ისტორიულ-მეცნიერებითი ჟურნალი №7 (43), 2014, ივლისი ფასი 3 ლარი

ისტორიანი

თამარის საფლავის პოვნის დრო...

ორბოლ „მოიპარეს" მუსოლინი

უცნობი ქართული ფრესკა ნეინდა მინაზე

ალექსანდრე დიუმა
„კავკასია"
რომანი 3 წიგნად
(ტომი I)

ფასი 3 ლარი

წიგნი „ისტორიანთან" ერთად – 6 ლარი

საჰეროფაბის ასული ფარაონისთვის

საფრანგეთის „ძუ ლომების" სასახლე

ჰიტლერული თამაშები

ბოლშევიზმის მიერ სული დამახინჯების ანატომია

თბილისში მოჭრილი ერაბული ღირჯემები

სულბუნის ომი

სარჩევი

ახალი ამბები
სრული რეაბილიტაცია გელათში 6

მოკლე ამბები
სარკოფაგის ასლი ფარაონისთვის 7
პარაკასის „კანდელაბრი“ — უძველესი ობსერვატორია პერუდან 9

ახალი ამბები
თევზის ბაზარი შუა საუკუნეებში..... 10

ქართული ხელტუხელი მემკვიდრეობა ნმინდა მინაზე
უცნობი ფრესკა იერუსალიმის წმინდა ნიკოლოზის ყოფილ ქართულ მონასტერში 12

ქართული მონეტები
თბილისში მოჭრილი არაბული დირჰემები და მათი იმიტაციები 17

მეცნიერთა ბიოგრაფიები
ზურაბ ავალიშვილი 24

ქართველები ირანდიაში
„მასპინძლობა“ ქართული კულტურითა და ხელოვნებით..... 32

შეხვედრა ბრიბოლ ჩობანიძესთან
ბოლშევიზმის მიერ ადამიანის სულის დამახინჯების ანატომია 38

ათასნლოვანი საიუბილო
თამარ მეფე, ჩრდილოეთი კავკასია და საქართველო 45

ნომრის სტუმარი
საქართველოს გეოგრაფიულ რუკაზე თამარწმინდა გაჩნდა! 48

ღვინო, ქართული!
„ახალი ღვინის ფესტივალი“... დაკველდა!... 55

სარჩევი

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡᲘ „ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ"
ᲡᲣᲚᲒᲣᲜᲘᲡ ᲝᲛᲘ 58

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ
„ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ — ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ 66

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲩᲐᲘᲮᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ
ᲠᲝᲒᲝᲠ „ᲛᲝᲘᲞᲐᲠᲔᲡ“ ᲫᲣᲡᲝᲚᲘᲜᲘ 68

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲡᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲘᲮᲔ-ᲓᲐᲩᲐᲒᲖᲔᲑᲘ
ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ „ᲫᲣ ᲚᲝᲛᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ 78

ᲤᲝᲢᲝᲩᲔᲞᲝᲩᲐᲢᲐᲕᲘ
„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲖᲔᲘᲛᲘ“ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ 86

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ
ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ 90

ᲡᲚᲝᲕᲘᲩᲔᲑᲐ
ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲠᲣᲠᲣᲐᲡ „ᲫᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲨᲣᲐᲓᲦᲔ“ 98

ᲤᲣᲜᲘᲡᲦᲔᲑᲘ ᲜᲐᲮᲡᲔᲦᲘᲓᲐᲜ
ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ 105

ᲛᲮᲘᲠᲘᲡᲦᲔ ᲢᲐᲦᲚᲣᲖᲔ
ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ ᲘᲪᲘᲜᲘᲐᲜ... 108

„ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲜᲘ“ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ 112
ᲡᲞᲐᲜᲒᲕᲝᲠᲓᲘ 122

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲜᲘᲡ“ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ „ᲑᲘᲑᲚᲣᲡᲘᲡ“ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲗᲐ ᲥᲡᲔᲚᲨᲘ. ᲤᲐᲡᲘ 2 ᲚᲐᲠᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ინგუშეთში, მდინარე ასას ხეობაში მეწყრის ჩამოწოლის შემდეგ აღმოჩენილმა უძველესმა გამოქვაბულმა ინგუშ და ქართველ არქეოლოგებს ახალი საფიქრალი გაუჩინა. ინგუშ არქეოლოგთა შეფასებით, სამარხი ქართული წარმომავლობისაა და შესაძლოა, იგი თამარ მეფეს ეკუთვნოდეს. თუმცა გამოკვლევების გარეშე დადასტურებულად რამის თქმა შეუძლებელია.

ხალხური გადმოცემები, რომ თამარი ამა თუ იმ ადგილას არის დაკრძალული, არსებობს როგორც საქართველოში, ისე ჩრდილოეთ კავკასიაში. როგორც საქართველოს ყველა კუთხეში ეძებენ საფლავს, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაშიც რამდენიმე ადგილს მიუთითებენ, სადაც თითქოს თამარია დაკრძალული. ქართულ წერილობით წყაროებში („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და „ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისა“) პირდაპირ არის მითითებული თამარის დაკრძალვის ადგილი.

თამარ მეფის საფლავის (და საერთოდ, ქართველ მეფეთა საფლავების ადგილმდებარეობის) დადგენა, ვფიქრობ, უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით უნდა მოხდეს. წმინდა სინოდმა უნდა შექმნას ჯგუფი, რომელშიც შევლენ ისტორიკოსები, არქეოლოგები და სხვა სპეციალისტები, რომლებიც გახსნიან გელათის მეფეთა სამარხს. ჩვენ უნდა გავაკეთოთ არჩევანი, რა უფრო მნიშვნელოვანია — დაკარგულად მივიჩნიოთ ჩვენი მეფეების საფლავები, დავიკრიფოთ ხელები და ვთქვათ, დაკარგულიაო, თუ ვიცოდეთ, სად განისვენებენ ისინი და პატივი მივაგოთ.

აღნიშნულ თემასთან ერთად „ისტორიანის“ ეს ნომერი ჩვეულებისამებრ მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ წაიკითხავთ თქვენთვის საინტერესო არაერთ მასალას როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს ქვეყნებში მიმდინარე ისტორიულ მოვლენათა შესახებ, მსოფლიო კულტურის სიახლეებს, რომლის განუყოფელი ნაწილიც საქართველოა. იქნება ეს დუბლინში, გემების საერთაშორისო ფესტივალზე ქართული ანსამბლების მონაწილეობა თუ თურქეთის რესპუბლიკაში გამართული 26 მაისის დღესასწაული.

ᲑᲔᲚᲐᲗᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 11 ᲛᲔᲤᲔ, ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ 12 ᲛᲔᲤᲔ ᲑᲐᲜᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲪᲜᲝᲑᲘᲐ...

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი

„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოშიშვილი, ოქროპირ ჯიქური, ნინო ჯაფარიძე, დიმიტრი სილაქაძე, მიხეილ ბარნოვი, შოთა მათითაშვილი, კახაბერ ყალიჩავა, ნიკოლოზ ხოფერია

კორექტორები:
ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 237-78-07, 238-78-70
e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ
რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწერისთვის მიმართეთ პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა.ჯი“.
ტელ.: 238-26-73

„პალიტრამედიის“ ცხელი ხაზი: 219-60-13; 219-60-53
e-mail: contact@palitra.ge

სრული რეაბილიტაცია გელათში

უძველეს არქიტექტურულ კომპლექსზე სამუშაოები იუნესკოსთან შეთანხმებით წარიმართება

ბაგრატის ტაძრის შემდეგ, ქუთაისში გელათის არქიტექტურული კომპლექსის სრული რეაბილიტაცია დაიწყება. სამუშაოები იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრსა და იკომოსთან შეთანხმებით განხორციელდება. პროექტით გათვალისწინებულია ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მთლიანი კონსერვაცია და მისი გადახურვა საქართველოში საგანგებოდ დამზადებული იმ ფერადი მოჭიქული კრამიტის ზუსტი ასლებით, რომელიც გელათის არქეოლოგიური კვლევისას გამოვლინდა.

ნიკა ანთიძე (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი): „ყველა სამუშაო, რომელიც სამონასტრო კომპლექსში შესრულდება, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან, იუნესკოსთან არის შეთანხმებული.

პირველ ეტაპზე დაიწყება ქვის კონსერვაცია, საბოლოოდ კი ტაძარი მოჭიქული კრამიტით გადაიხურება, რომელიც საქართველოში სპეციალურად დამზადდა.

გელათი არა მარტო მომლოცველებისთვის, არამედ ტურისტული თვალსაზრისითაც ხელსაყრელი გახდება. მოეწყობა ტურისტული ბილიკები, საინფორმაციო დაფები და ინფრასტრუქტურა“.

ამ დროისთვის უკვე დასრულდა გელათის აკადემიის, აღმოსავლეთისა და დავითის კარიბჭის, სამრეკლოს, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის და გაბრიელ ქიქოძის საეპისკოპოსო სასახლის რეაბილიტაცია-რესტავრაცია.

გელათის მონასტრის ღვთისმშობლის შობის ტაძრის სამხრეთ კარიბჭეში რესტავრირდა მოხატულობის ბათქაშისა და ფერწერული ფენის დაზიანებები და კონსერვაცია ჩაუტარდა ფრაგმენტულად შემორჩენილ XIV საუკუნის კედლის მხატვრობასა და წმინდა მარინეს ეკვდერის XV-XVI საუკუნის ფრესკებს.

„ისტორიანი“

ფრესკა სამხრეთის კედელზე — ქებათა-ქება მარიამ ღვთისმშობლისა. წმინდა მარიამის მარჯვენა მხარეს დგას ებრაელთა ლეგენდარული მეფე დავითი ქნარით

ᲡᲐᲠᲙᲝᲤᲐᲒᲘᲡ ᲐᲡᲚᲘ ᲤᲐᲠᲐᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲢᲣᲢᲐᲜᲮᲐᲛᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲔᲤᲔᲠᲢᲘᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲔᲗᲘ I-ᲘᲡ ᲐᲙᲚᲓᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲐᲜ

ფარაონ ტუტანჰამონის სარკოფაგის ორი ეგზემპლარი არსებობს. მათგან ერთი ნამდვილად ფარაონს ეკუთვნის და დაახლოებით 3 ათასი წლის წინ ააგეს. ტუტანჰამონის მუმია დღემდე სწორედ ამ სარკოფაგშია განთავსებული. მეორე კი საგანგებოდ ტურისტებისთვის შექმნეს, რათა მათ სიძველესთან გაცნობა შეუზღუდავად შეძლონ. ეს სარკოფაგისა და ფარაონის მუმიის უსაფრთხოებისთვის გაკეთდა.

ჯეიმს მორანი, მკვლევარი, ევროპული ექსპედიციის ხელმძღვანელი: „ეს ნაბიჯი უპრეცედენტოა, ყოველ შემთხვევაში ევროპაში. დამთვალიერებელს შეუძლია ნახოს სარკოფაგის ასლი, რომელიც დედნისგან არაფრით განსხვავდება. ამასთან ინტერიერი ისეა გაფორმებული, რომ ტურისტებისთვის ყველა განმარტება მოცემულია. არ შემიძლია ჩემი აღფრთოვანება არ გამოვხატო, განსხვავებას მეც ვერ ვხედავ და ვგრძნობ“.

როცა 2011 წელს ეგვიპტემ სარკოფაგის დახურვა გადაწყვიტა უნიკალური ფრესკების გადასარჩენად, მადრიდულმა კომპანიამ, რომელიც ასლების დამზადებაზეა სპეციალიზებული, გამონახა კომპრომისი, რომელსაც ყველა დაეთანხმა. სამუშაოების უმეტესი ნაწილი ამ კომპანიამ შეასრულა. თავდაპირველად დამზადდა მაკეტი. სამგანზომილებიანი გადაღება 6 კვირას მიმდინარეობდა, სიძველეებთან რამე კონტაქტის გარეშე, რათა არაფერი დაზიანებულიყო. შემდეგ დაიწყო ობიექტის მშენებლობა ნატურალური ზომებით. ორიგინალსა და ასლს შორის განსხვავების შემჩნევა შეუძლებელია. ესპანელები უკვე შეუდგნენ ნეფერტიტისა და სეთი I-ის აკლდამების ასლების შექმნას.

ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ

(ᲙᲘᲗᲮᲕᲐ, ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ, ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ, ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲐ, ᲨᲔᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲐ...)

ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ ᲛᲔᲓᲘᲐ ᲒᲘᲡᲛᲔᲜᲗ!..

ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ: 219 60 13

ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ: contact@palitra.ge

ᲐᲜ: „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ („ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ“)

ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ

ჰოვარდ კარტერი თავის აღმოჩენასთან, 1922 წ.

ახალაღმოჩენილი უძვირფასესი ნიმუშები ტუტანჰამონის აკლდამიდან, დროებით სათავსში

ტუტანჰამონის სარკოფაგის კომპლექსის ასლი კი 2012 წელს კაიროში წარმოადგინეს — დაამთხვიეს მისი აღმოჩენის 90 წლისთავს. შემდეგ სარკოფაგის ასლი ევროკავშირის საელჩოში გადაიტანეს, სადაც ორ წელიწადს ელოდა თავის მომავალს. ამჟამად ის გადატანილია თავისი აღმომჩენის, არქეოლოგ ჰოვარდ კარტერის სახლთან, მიწის ქვეშ. დამთვალიერებლებს შეუძლიათ ორივე ერთად მოინახულონ, სულ რაღაც 5 ევროდ.

ნამდვილი სარკოფაგი კი ლუქსორში, მეფეთა ველზე რჩება. ჯერჯერობით ისიც ღიაა მნახველთათვის, თუმცა წლეულს სექტემბერში მას ტურისტებისთვის დახურავენ — გეტის ინსტიტუტის (აშშ) ექსპერტებმა სარკოფაგის მდგომარეობა გულდასმით უნდა გააანალიზონ.

ტუტანჰამონის მუმია და სარკოფაგი ჰოვარდ კარტერმა 1922 წელს მეფეთა ველზე აღმოაჩინა. ექსპედიციის დამფუძნებლები და დამფინანსებლები კი ლორდი კარნარვონი და მისი მეუღლე ლედი კარნარვონი იყვნენ.

კარტერმა ტუტანჰამონის აკლდამის გახსნისას თავიდან მცირე ზომის ხვრელი გააკეთა კარში და შიგ შეიხედა. რაღაც დროის შემდეგ ლორდ კარნარვონს მოთმინება ამოეწურა და გაბრაზებით იკითხა: ხედავთ რამეს? — დიახ, — უპასუხა კარტერმა, — საოცარ რამეებს.

ფარაონ ტუტანჰამონის სარკოფაგის ორეული დამთვალიერებლებისთვის ხელმისაწვდომი სულ მალე გახდება.

მომზადებულია Science-ს მიხედვით

პარაკასის „კანდელაბრი“

კანდელაბრის ფორმის ფიგურული გამოსახულება პარაკასში

უძველესი ობსერვატორია პერუდან

პერუში არქეოლოგებმა უძველეს ობსერვატორიას მიაკვლიეს. მეცნიერთა გათვლით, ის სულ ცოტა 2500 წლისაა და რამდენიმე ასწლეულით უფრო ძველია, ვიდრე ნასკას უდაბნოს ნახაზები.

ევროპელ და აზიელ მეცნიერთა ექსპედიცია ობსერვატორიას პარაკასის უძველესი კულტურის შესწავლისას წააწყდა. ჯგუფს ჩარლზ სტანიში ხელმძღვანელობს. მკვლევართა ყურადღება თავდაპირველად კანდელაბრის ფორმის ფიგურულმა მოხატულობამ მიიქცია, რომელიც 71 ხაზისგან შედგებოდა და მიწის ზედაპირზე ჯერ კიდევ შესამჩნევად ჩანდა.

ახალაღმოჩენილი გეოგლიფების საერთო ფართობი დაახლოებით 40 კვადრატული კილომეტრია. ამას გარდა იპოვეს 5 ხელოვნური მთა, რომელთა მწვერვალიდანაც დაკვირვება და გამოთვლები ხორციელდებოდა. მეცნიერები დარწმუნებული არიან, რომ მათ რიტუალების დროსაც იყენებდნენ.

სპეციალისტების მტკიცებით, გეოგლიფები წელიწადის სხვადასხვა დროს მზის სისტემის განლაგებას უკავშირდება. ნახაზები მზის, მთვარისა და სხვადასხვა ვარსკვლავის მიმართულებას აჩვენებენ. მეცნიერთა აზრით, იმ პერიოდში ასეთი კომპლექსის შექმნა საკმაოდ დიდ ცოდნას მოითხოვდა.

***მომზადებულია** National Academy of Sciences Report-ის მიხედვით*

თევზის ბაზარი შუა საუკუნეებში

ლონდონში XIII ასწლეულში ნორვეგიიდან თევზის იმპორტმა უეცრად მოიმატა

XIII საუკუნეში ლონდონში თევზი საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ. ამ დასკვნამდე მეცნიერები თევზის ძვლის ანალიზის შედეგად მივიდნენ.

ლონდონელი მეთევზეები

ვირთევზას ძვლის სამი ათასამდე ნიმუშის შესწავლის შემდეგ, კემბრიჯისა და ლანკაშირის უნივერსიტეტების მეცნიერებმა შეძლეს განესაზღვრათ, საიდან შემოჰქონდათ ინგლისის დედაქალაქში თევზი.

მკვლევართა განმარტებით, XIII საუკუნის დასაწყისში მოულოდნელად შეიცვალა ბუნებრივი რესურსების მდგომარეობა — ადგილზე დაჭერილი თევზი ლონდონელებისთვის საკმარისი აღარ იყო. ისინი იძულებული გახდნენ, თევზი დიდი მოცულობით შემოეტანათ ჩრდილოეთი ნორვეგიის წყლებიდან.

დევიდ ორტონი, არქეოლოგი და პროფესორი ამბობს: „ეს საინტერესო მიგნებაა. ჩვენ ველოდით, რომ იმპორტი ნელ-ნელა, ქალაქის მოსახლეობის ზრდასთან ერთად მოიმატებდა,

თევზის ვაჭრები

„თევზის დიდი ბაზარი“. იან ბრეიგელი-უფროსი (1603 წ.)

ატლანტიკური ვირთევზა



ვიკინგების მცირე სათევზაო ნავი

მაგრამ ასე არ მომხდარა. ადგილზე ვირთევზის მოპოვება შემცირდა, თევზის შემოტანამ სწრაფად მოიმატა. რას ნიშნავდა ეს ადგილობრივი მრეწველობისთვის? ჩვენ ჯერ არ გაგვიანალიზებია თევზის სხვა სახეობებისა და ბრიტანეთის სხვა ქალაქების ბაზრები. მაგრამ საგარეო ვაჭრობის ეს მკვეთრი ზრდა მოთხოვნისა და მიწოდების ძველი ცვლილების შესახებ მოგვითხრობს“.

დოქტორ ჯეიმს ბარეტის შეფასებით, „ეს აღმოჩენა, ფაქტობრივად, ხსნის, რატომ გაიზარდა შორეული საკვები პროდუქტების შემოტანა იმ დროისთვის ევროპის ერთ-ერთ უმსხვილეს ცენტრში — ადგილობრივი მეთევზეები მოთხოვნას ფეხდაფეხ ვეღარ მისდევდნენ. თავის მხრივ, სავაჭრო ურთიერთობათა ზრდა უფრო პატარას აჩენდა სამყაროს, რომელმაც „შავი სიკვდილის“ ეპიდემია საუკუნის წინ გადაიტანა“.

კვლევა აჩვენებს, რომ ინგლისში თევზის იმპორტი XIV საუკუნის ბოლოს დროებით დაეცა და შემდეგ კვლავ გაიზარდა. ტრანსატლანტიკური ვაჭრობის განვითარების შემდეგ კი ვირთევზა ბრიტანეთსა და ევროპაში კანადიდან (ნიუფაუნდლენდიდან) შემოჰქონდათ.

medievalists.net-ის მიხედვით

უცნობი ფრესკა იერუსალიმის წმინდა ნიკოლოზის ყოფილ ქართულ მონასტერში

წმინდა მიწასთან საქართველოს ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. IV საუკუნიდან მოყოლებული, როცა ქრისტიანობა ჩვენში ოფიციალურ რელიგიად აღიარეს, ქართველ ქრისტიანთა ინტერესი წმინდა მიწის, როგორც რჯულის სამშობლოსადმი, დღემდე არ განელებულა. ძველ ქართულ წერილობით წყაროებში არაერთი ცნობაა დაცული ქართველთა წმინდა მიწაზე პილიგრიმობისა თუ სხვა სახის მოღვაწეობის შესახებ. ჩვენმა წინაპრებმა მკაფიო კვალი დატოვეს ადგილზეც. წმინდა მიწაზე დღემდეა შემორჩენილი მათ მიერ ნაშენი, მოხატული და ნაქონი ეკლესია-მონასტრები, მათგან შეწირული ხატები თუ ხელნაწერები, ქვაზე ნაკვეთი თუ მოზაიკით გაწყობილი ქართული წარწერები.

დასავლეთ ფასადი. თაღოვანი სტოა. ავტორის ფოტოები

მონასტრის შესასვლელი

წარსულში არაერთი წმინდა სავანის მფლობელ ქართველობას, სამწუხაროდ, დღეს იქ არც ერთი მათგანი აღარ ეკუთვნის. ქართული ეკლესია-მონასტრების უმრავლესობა XVII საუკუნის მიწურულიდან უცხოთა ხელში გადავიდა. წმინდა მიწაზე არსებული ჩვენი კულტურული მემკვიდრეობიდან თუ რამ გადაურჩა ჟამთა სიავეს, ამჯერად მათ ახალ მფლობელთა მსახვრალი ხელი სჰობს. ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი იერუსალიმის ქართული ძეგლების (ფრესკების, წარწერების) მიმართ უკანასკნელ წლებში ჩადენილი ვანდალიზმის ფაქტების შესახებ. ამის მიუხედავად, წმინდა მიწაზე ჯერ კიდევ შესაძლებელია ქართველთა ისტორიული ნაკვალევის ხილვა, მიმდინარე არქეოლოგიური კვლევა-ძიებები კი ახალ-ახალი არტეფაქტებით ამდიდრებენ ამ მიწასთან საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიას.

ყოფილი ქართული წმინდა სავანეების რიგს ეკუთვნის იერუსალიმის წმინდა ნიკოლოზის მონასტერიც. იგი მდებარეობს ძველი

ქალაქის ქრისტიანულ უბანში, ბერძნული საპატრიარქოს მახლობლად. გადმოცემის თანახმად, სამლოცველო აქ უკვე V საუკუნეში გაჩენილა, თავის დროზე წმინდა მიწაზე მოსალოცავად ჩასული წმინდა ნიკოლოზის საცხოვრებელი სენაკის ადგილას. VII საუკუნის დასაწყისში ეს სავანე, ისევე როგორც წმინდა მიწის ეკლესია-მონასტრების უმრავლესობა, სპარსთა გამანადგურებელ შემოსევას შეეწირა. მისი ხელმეორედ აღორძინება უკავშირდება ჯვაროსნული ლაშქრობების საწყის პერიოდს. XI-XVII საუკუნეებში მონასტერს მთლიანად ქართველები ფლობდნენ.

ეკლესიის ამჟამინდელი ნაგებობა გვიანდელის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა შეინიშნება ადრინდელი, სავარაუდოდ, XI-XII საუკუნეების ფრაგმენტებიც. კერძოდ, ტაძრის ჩრდილოეთ მცირე აფსიდაში შემონახულია სუფთად თლილი ქვის კვადრების წყობა. ეკლესია თავდაპირველად გეგმაში ჩახაზული ჯვრის ტიპისა იყო, მოგვიანებით კი გუმბათი ყელიანად მოუშლიათ და მის ადგილას ჯვაროვანი კამარა გაუკეთებიათ. ამჟამად ტაძრის ნაგებობა კუბური სივრცეა. აღმოსავლეთის მხარეს ნახევარწრიულად გამოწეულია მხოლოდ შუა დიდი აფსიდა, რომელიც ბერძნული საპატრიარქოს ბაღში გადის. ეს ბაღი წინათ მონასტრის სასაფლაოს წარმოადგენდა. ტაძარს ადრე დასავლეთიდან ღია თაღოვანი სტოა ამკობდა, რომელიც მოგვიანებით ბერძნებს ამოუშენებიათ.

წმინდა ნიკოლოზის მონასტრის ოდინდელ ქართულობას ყველაზე ცხადად ტაძრის კედლებზე შემორჩენილი ძველი წარწერები მოწმობს. ისინი, ისევე როგორც მთლიანად მონასტრის ნაგებობა, ქართველ მეცნიერთა 2001-2002 წლების ექსპედიციისას (ხელმძღვანელი თამილა მგალობლიშვილი) საფუძვლიანად შეისწავლეს. ტაძრის დასავლეთის ფასადზე, სტოას ძველი კედლების ზედაპირზე XV-XVII საუკუნეებით დათარიღებული ბევრი ქართული პილიგრიმული წარწერა გვხვდება. აქ მოხსენიებული ზოგი პირი (ვარძელი მაყა და მისი ცოლი ანუსია, ფოცხვერ თავდგირიძე და მისი ცოლი ეკატერინე, ქაჟინარი და სხვ.) იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარის აღაპებშიც იხსენიებიან. იქვეა ნახსენები ნიკოდიმოსიც, რომლის მოსახსენებელი ასომთავრული წარწერა (XVI-XVII სს.) ასევე ტაძრის დასავლეთის ფასადზეა განთავსებული და ქარაგმების გახსნით იკითხება: „აწყურისა ღ(მრ)თისმშობლისა კ(ა)ნდელ(ა)კსა ნასძესა ნიკოდიმოს შ(ეუნდვ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ“. ამავე ფასადზე გვხვდება ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა იერუსალიმური ქართული ხელნაწერების მინაწერებში მოხსენიებული საბა ყოფილი სოფრონისა: „ცოდვ(ი)ლს ს(ა)ბა ყოფილს სოფრ(ო)ნს შ(ეუ)ნ(დო)ს ღ(მერთმა)ნ“. ეს უკანასკნელი XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე იერუსალიმში მოღვაწე, ცნობილი წიგნთა შემმოსველ-შემკაზმველი იყო.

წმინდა ნიკოლოზის სავანე კიდევ ერთხელ განუახლებიათ XVII საუკუნის შუა წლებში. 1755-1758 წლებში იერუსალიმში მოსალოცად მისულ არქიეპისკოპოს ტიმოთე გაბაშვილს ეკუთვნის ცნობა, რომ მონასტერი კახთა დედოფალმა ელენე ყოფილმა ელისაბედმა ააშენა. რუსი არქიმანდრიტის, ლეონიდ კაველინის (XIX საუკუნის 50-იანი წლები) ცნობითაც, მონასტერი კახეთის დედოფალ ელენე-ელისაბედს აუშენებია. იმავეს გვამცნობს 1888 წელს ალექსანდრე ცაგარელიც; ის მშენებლობის დროზეც უთითებს (XVII

წმინდა ნიკოლოზის მონასტრის ოდინდელ ქართულობას ყველაზე ცხადად ტაძრის კედლებზე შემორჩენილი ძველი წარწერები მოწმობს. ნიკოდიმოს კანდელაკის წარწერა



ქაჟინარის წარწერა



ახალაღმოჩენილი XII საუკუნის ფრესკა (ზემოთ) და მისი ფრაგმენტები (ქვემოთ)
ქართულ ბეჭდვით სივრცეში ქვეყნდება პირველად

საუკუნის შუა ხანები). იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის (+1707 წ.) ცნობით, მონასტერი XVII საუკუნის ბოლოს განახლებულა. მისი წინამორბედი პატრიარქი ქრისანთი ამ სავანეს ქართულ მონასტრად მოიხსენიებდა. ბერძნული ტრადიციის თანახმად, ეს მონასტერი, ისევე როგორც სხვა დანარჩენი იქაური ქართული წმინდა სავანეები, ბერძნებს ქართველებისგან თითქოს 1685 წელს უყიდიათ. მეფე ერეკლე I-ის მიერ 1681 წელს შედგენილი აქტის თანახმად, საქართველოში სტუმრად მყოფი დოსითეოს პატრიარქისთვის ქართულ მხარეს თავისი მონასტრების დავალიანების დასაფარად გადაუცია 60 ათასი მარჩილი, სტამბოლში გასაყიდად გამიზნული აბრეშუმის ქსოვილი და სხვადასხვა ძვირფასეულობა, რის სანაცვლოდაც ეს წმინდა სავანეები ისევ მის კანონიერ მფლობელებს — ქართველებს უნდა დაბრუნებოდათ. მაგრამ უკვე 1695 წელს დოსითეოსის მხრიდან უწინდელი ქართული მონასტრების (მათ შორის, წმინდა ნიკოლოზის მონასტრის) ბერძნულად გამოცხადების ფაქტი იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ იერუსალიმის პატრიარქს ქართველებისთვის მიცემული პირობის შესრულებაზე შემდგომში აღარ უზრუნია.

რაც შეეხება მონასტრის მაშენებელ ელენე ყოფილ ელისაბედ დედოფალს, ის მოხსენებულია ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე რელიეფურად ამოჭრილ ორსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაში: „წ(მინდა)ო ნიკ(ოლო)ზ მ(ეო)ხ ექმ(ე)ნ წ(ინაშ)ე ქ(რი)ს(ტეს)ა კახთა დედოფ(ა)ლსა ელენე ყ(ო)ფ(ილ)სა ელისაბ(ედს)“. 2002 წლის მარტში ეს წარწერა ვანდალურად განადგურდა უცნობ პირთა მიერ. იმავე წლის სექტემბერში ქართველ მეცნიერთა ექსპედიციამ შეძლო იმავე ადგილას წარწერის ზუსტი ასლის აღდგენა (სამუშაო შეასრულა მოქანდაკე პაატა გიგაურმა).

მართალია, წმინდა ნიკოლოზის ეკლესია ოფიციალურად მოქმედ ტაძართა რიგში ირიცხება, მაგრამ ლიტურგიკული წლის განმავლობაში წირვა-ლოცვა იქ მუდმივად არ მიმდინარეობს; ეკლესია მეტწილად დაკეტილია. ამ მიზეზით, მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა და მცდელობისა, მასში შეღწევა წლეულს იანვარში არ მოგვიხერხდა. თუმცა აპრილის მიწურულს ტაძრის კარი ჩვენდა საბედნიეროდ, ღია დაგვხვდა. უნდა ითქვას, რომ მონასტრის ამჟამინდელი წინამძღვარი

ბერების ყოფილი სენაკები ამჟამად საცხოვრებელ ბინებად არის გადაქცეული

სოფრონის წარწერა

ვარძელი მაყასა და მისი მეუღლის წარწერა



მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი არისტობულოსი

ელეონორა გორი ქართული კულტურული მემკვიდრეობის დიდი პროპაგანდისტია წმინდა მიწაზე. უკანა პლანზე — შესასვლელი ურიათუბნის წმინდა გიორგის ყოფილ ქართულ მონასტერში

— არქიმანდრიტი არისტობულოსი საზოგადოდ კეთილგანწყობილია საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი.

წმინდა ნიკოლოზის ტაძარს ბოლო წლებში ჩაუტარდა რესტავრაცია, რომლის დროსაც მოიხსნა ბათქაში და კედლებზე გამოჩნდა ქვისმთლელთა ნიშნები, რომლებსაც ბერძნები ჯვაროსნული ლაშქრობების საწყისი პერიოდით (XI-XII სს.) ათარიღებენ. რესტავრაციამ ტაძრის საკურთხევლის კედელზეც გამოავლინა ძველი კედლის მხატვრობის საკმაოდ მოზრდილი ფრაგმენტი, რომლის ძირითადი ნაწილი უჭირავს წმინდა ნიკოლოზის მოღვაწეობის ეპიზოდებს. შეუიარაღებელი თვალით ფრესკაზე ორ ადგილას შეინიშნება ბერძნული წარწერის კვალი. აღნიშნული აღმოჩენის შესახებ ინფორმაცია შარშან, დეკემბერში ისრაელიდან მოგვაწოდა ქალბატონმა ელეონორა გორმა, რომელიც ისრაელელ ენთუზიასტ მხარეთმცოდნეებთან — მიხეილ კოროლთან და ილია მაზიასთან ერთად, შეიძლება ითქვას, ქართული კულტურული მემკვიდრეობის დიდი პროპაგანდისტია წმინდა მიწაზე. ცნობისთვის, მათ შეადგინეს იერუსალიმის ე.წ. „ქართული“ საექსკურსიო მარშრუტი, რომელზეც უცხოურ ტურისტულ-პილიგრიმულ ჯგუფებს დეტალურად აცნობენ წარსულში ქართველთა მფლობელობაში მყოფი ეკლესია-მონასტრების ისტორიას. სამწუხარო ფაქტია, რომ მათი მომსახურებით საკუთრივ ქართველ მომლოცველთა ჯგუფებს დღემდე არ უსარგებლიათ.

ქართველ მეცნიერთა ზემოხსენებული ექსპედიციების დროს ტაძრის საკურთხევლის კედლები ჯერ კიდევ არ იყო გაწმენდილი, რის გამოც წმინდა ნიკოლოზის მოღვაწეობის ეპიზოდების ამსახველი ფრესკა მაშინ ჩვენს მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა. ამ ფრესკის ფოტოგამოსახულება დღეს პირველად ქვეყნდება ქართულ ბეჭდვით სივრცეში. თუკი სადავო არ გახდება თვალსაზრისი წმინდა ნიკოლოზის მონასტრის უკვე XI-XII საუკუნეებიდან ქართველთა მფლობელობაში ყოფნის შესახებ, მაშინ ცხადია, ძეგლის ისტორიის მკვლევართათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ახალგამოვლენილი ფრესკის შესწავლით მიღებული შედეგები. იმედია, ჩვენი ხელოვნებათმცოდნეები ამ საკითხით დაინტერესდებიან.

გესიკ ხურცილავა

თბილისში მოჭრილი არაბული დირჰემები და მათი იმიტაციები

მოზაიკა ომაიანთა მეჩეთში (დამასკო)

ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის მონეტაც არაბული დირჰემების მიბაძვით მოიჭრა

VII საუკუნეში მახლობელ აღმოსავლეთში დიდი პოლიტიკური ძვრები მოხდა. მუჰამედმა არაბეთის ნახევარკუნძულზე ახალი თეოკრატიული სახელმწიფო დააარსა, რომელშიც მთავარი რელიგია მის მიერ ახალნაქადაგები ისლამი იყო. არაბთა სახალიფო სწრაფად აფართოებდა თავისი სახელმწიფოს საზღვრებს. მას მუჰამედის მოადგილეები, ანუ ხალიფები მართავდნენ, ამიტომ ამ სახელმწიფოს სახალიფოსაც უწოდებენ.

არაბთა სახალიფოს წარმოქმნა მალე აისახა ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკასა და ფულად მიმოქცევაში. სახალიფოს შემადგენლობაში მოექცნენ სასანიანთა ირანი და ბიზანტიის აღმოსავლური პროვინციები. VIII საუკუნის პირველი ნახევრიდან კი არაბებმა ფეხი საქართველოშიც მოიკიდეს. არაბული დირჰემების შემოსვლის გამო ქართული სამონეტო ბაზრიდან განიდევნა როგორც სასანური, ისე მისი აქაური მინაბაძები, თვით სასანიანთა ირანი არაბებმა მთლიანად დაიპყრეს.

არაბულ მონეტებზე არ არის გამოსახულებები, აქ მხოლოდ წარწერებია, სადაც ძირითადად ალაჰისა და მუჰამედის სახელები მოიხსენიება.

არაბთა თვალუწვდენელ სახელმწიფოს თავდაპირველად ომაიანთა დინასტიის ხალიფები მართავდნენ. მათ ეპყრათ როგორც სასულიერო, ისე საერო ხელისუფლება. ომაიანებმა მოახერხეს და დაიმორჩილეს ჩრდილოეთი აფრიკა, პირენეს ნახევარკუნ-



ადრეული მუსლიმური ექსპანსია: ყავისფერი აღნიშნავს მუჰამედის მიერ გაერთიანებულ ტერიტორიას (622-632 წწ.), ვარდისფერი — პირველი ხალიფების სახელმწიფოს (632-661 წწ.), ხოლო ნარინჯისფერი — ომაიანთა სახალიფოს საზღვრებს (661-750 წწ.)

ძულის უდიდესი ნაწილი, მცირე აზია, სინდი, ტაბარისტანი და სხვ. VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე არაბებმა მდგომარეობა კავკასიაშიც განიმტკიცეს. საქართველოს ტერიტორიაზე შექმნეს სახალიფოს ადმინისტრაციული ერთეული — თბილისის საამირო.

თბილისი მალე იქცა არაბთა სახალიფოს მნიშვნელოვან პუნქტად. იმდროინდელ არაბულ წყაროებში თბილისის დაწინაურების შესახებ მრავალი ცნობაა დაცული. თბილისში არაბებს განუახლებიათ ზარაფხანის მუშაობა, სადაც არაბული დირჰემები იჭრებოდა.

პირველი არაბული მონეტა თბილისის ზარაფხანაში ომაიანი ხალიფა აბდ ალ-მალიქის (685-705 წწ.) დროს, ჰიჯრით 85 წელს (ანუ 704 წ.) მოიჭრა. როგორც სახალიფოს ყველა სხვა ზარაფხანის დირჰემები, ისიც ანონიმურია, მასზე არც გამოსახულებაა დატანილი და არც ხალიფას სახელი, არამედ მხოლოდ თარიღი. თბილისში მოჭრილი ომაიანთა დირჰემი სულ ოთხი ცალია ცნობილი. მონეტის მოჭრის თარიღისა და ადგილის მიხედვით ნათელია, რომ 704 წელს არაბებს თბილისი უკვე დაპყრობილი ჰქონიათ.

როგორც ვარაუდობენ, არაბთა მხრიდან VIII საუკუნის დასაწყისში თბილისში სამონეტო ემისიას უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ვიდრე ეკონომიკური. რადგან, როგორც ჩანს, მონეტები ფართო მიმოქცევისთვის არ იყო გამიზნული.

ომაიანთა დირჰემები

ალწერა: ვერცხლი
წონა: 2,64-2,91 გრამი
რემედიუმი: 2,64-2,91 გრამი
დიამეტრი: 23-27,5 მილიმეტრი
შუბლი: მონეტის ცენტრში სამსტრიქონი-

ომაიანთა მეჩეთი დამასკოში (სირია)

ანი არაბული ზედწერილი: „არ არს ღვთაება გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, არ ჰყავს მას მოზიარე“. ირგვლივ: „სახელითა ალლაჰისა, იჭედა ეს დირჰემი თბილისს 85 წელს (=704 წ.)“. ირგვლივ შერწყმული წერტილებისგან შემდგარი სამმაგი რკალი.

ზურგი: ცენტრში ოთხ სტრიქონად არაბული ზედწერილი: „იგია ალლაჰი ერთადერთი, ალლაჰი მარადი, არცა უშვია და არცა შობილა, არცა მოზიარედ ჰყოლია არავინ“. შერწყმული წერტილებისგან შემდგარი ორმაგი რკალი და ირგვლივ: „მუჰამმადი მოციქულია ალლაჰისა, რომელმაც გამოგზავნა ის სწორი გზითა და რჯულით ჭეშმარიტით, რათა აღამაღლოს ყველა სარწმუნოებაზე, თუნდაც სძულდეთ ეს ურწმუნოებს“.

ზარაფხანა: თბილისი

ნომინალი: დირჰემი

თარიღი: 704 წ.

კოლექცია: კერძო კოლექცია — 1 ცალი, ეშმოლის მუზეუმი — 1 ცალი, ბერლინის მუზეუმი — 1 ცალი, კატარის ეროვნული მუზეუმი — 1 ცალი

ამ ემისიის შემდეგ, თითქმის 125 წელიწადის განმავლობაში თბილისის ზარაფხანაში არაბული ფული აღარ იჭრებოდა. მიზეზი უცნობია. IX საუკუნის შუა წლებში კი არაბთა სახალიფოში დიდი გადატრიალება მოხდა, ომაიანთა დინასტია დაემხო და სახალიფოს სათავეში ახალი — აბასიანების დინასტია ჩაუდგა. თბილისის ზარაფხანამაც მუშაობა უკვე არაბეთში აბასიანთა დინასტიის მმართველობის დროს, ჰიჯრით 210 წელს (=825/6 წწ.) განაახლა. ამის უტყუარი საბუთია თბილისში მოჭრილი ამ წლით დათარიღებული პირველი თბილურ-აბასიანური დირჰემები.

აღნიშნული ემისიების შემდეგ, ჰიჯრით 248 წლამდე (=862/63 წწ.) არაბული ფულის მოჭრა თბილისში კვლავ შეწყდა.

აბასიანთა დირჰემები

მონეტა ხალიფას სახელის გარეშე

ალწერა: ვერცხლი

შუბლი: მონეტის ცენტრში სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „არ არს ღვთაება გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, არ ჰყავს მას მოზიარე“. მის ირგვლივ, ასევე არაბული ლეგენდა: „სახელითა ალლაჰისა, იჭედა ეს დირჰემი თბილისს 210 წელს (=825/26 წწ.)“. ირგვლივ შერწყმული წერტილებისგან შემდგარი ორმაგი რკალი.

ზურგი: ცენტრში სამ სტრიქონად არაბული ზედწერილი: „მუჰამმადი მოციქულია ალლაჰისა“. შერწყმული წერტილებისგან შემდგარი ორმაგი რკალი და ირგვლივ: „მუჰამმადი მოციქულია ალლაჰისა, რომელმაც გამოგზავნა ის სწორი გზითა და რჯულით ჭეშმარიტით, რათა აღამაღლოს ყველა სარწმუნოებაზე, თუნდაც სძულდეთ ეს ურწმუნოებს“.

ხალიფა ალ-მუსთაინ ბილლაჰის მონეტა

ალწერა: ვერცხლი

რემედიუმი: 2,84-4,36 გრამი

დიამეტრი: 26 მილიმეტრი

შუბლი: მონეტის ცენტრში სამსტრიქონი-

აბასიანთა მეჩეთი სამარაში (ერაყი)

არაბი მეომარი

ანი არაბული ზედწერილი: „არ არს ღვთაება გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, არ ჰყავს მას მოზიარე“. ირგვლივ არაბული ზედწერილი: „სახელითა ალლაჰისა, იჭედა ეს დირჰემი თბილისს 248 წელს (=862/63 წწ.)“. ხაზოვანი რკალი და მეორე წრიული ლეგენდა: „ძალაუფლება ალლაჰისაა, ადრეც და მერეც, და იმ დღეს გაიხარებენ მორწმუნენი ალლაჰის შეწევნით“.

ზურგი: ცენტრში ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი ხალიფას სახელით: „ალლაჰს. მუჰამმადი მოციქული ალლაჰისა. ალ-მუსთაინ ბილლაჰი“. ირგვლივ ორმაგი ხაზოვანი რკალი, შემდეგ არაბული ლეგენდა: „მუჰამმადი მოციქულია ალლაჰისა, რომელმაც გამოაგზავნა ის სწორი გზითა და რჯულით ჭეშმარიტით, რათა აღამაღლოს ყველა სარწმუნოებაზე, თუნდაც სძულდეთ ეს ურწმუნოებს“.

ზარაფხანა: თბილისი

ნომინალი: დირჰემი

თარიღი: 825/26-946/47 წწ.

კოლექცია: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟი, მოსკოვის ისტორიული მუზეუმი, აზერბაიჯანის ეროვნული ისტორიული მუზეუმი, ბერლინის მუზეუმი, ბრიტანეთის მუზეუმი, საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა (პარიზი), ჰელსინკის უნივერსიტეტი, ამერიკის ნუმიზმატიკური საზოგადოების კოლექცია, კერძო კოლექცია.

ამის შემდეგ, თბილისში მოჭრილ აბასიანთა დირჰემებზე მხოლოდ მოჭრის თარიღები და ხალიფების სახელები იცვლება, ხოლო ისლამური ფორმულები, ძირითადად, მეორდება. ეს არის ჰიჯრით 249-335 (=862-945 წწ.) წლების ძირითადი ემისიები.

ჯაფარიანი ამირების მონეტები

თბილისში მჯდომი არაბი ამირა მონეტებს აბასიანი ხალიფების სახელით ჭრიდა. ამირას ინსტიტუტი საქართველოში VIII საუკუნის შუა ხანებიდან დამკვიდრდა. ცნობილია თბილისის ამირების სამი დინასტია: შუაბიანები, შაიბანიანები და ჯაფარიანები. პირველი ორი დინასტიის წარმომადგენლები მონეტებს მხოლოდ და მხოლოდ ხალიფების სახელით ჭრიდნენ, რაც ცენტრალური ხელისუფლებისადმი მათ სრულ ლოიალობასა და დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

ჯაფარიანთა დინასტიის წარმომადგენლები კი უკვე საკუთარი სახელით ჭრიდნენ მონეტებს. ამ დირჰემების საშუალებით ნათელი ხდება, როდის დასრულდა წარმატებით ბრძოლა თბილისის საამიროს დამოუკიდებლობისთვის, როდის გამოეყო იგი არაბთა სახალიფოს. აგრეთვე ვადგენთ ჯაფარიანი ამირების გენეალოგიურ ნუსხას (მაგალითად, მანსურ იბნ ჯაფარი და ჯაფარ იბნ მანსური, არც ერთ წერილობით წყაროში არ იხსენიებიან, მათი სახელები მხოლოდ მონეტებზეა აღნიშნული).

ჯაფარიანთა (ბანუ ჯაფარ) არაბული დინასტია თბილისში დაახლოებით IX საუკუნის 80-იან წლებში დამკვიდრდა და მისი წარმომადგენლები ქალაქს ორი საუკუნის განმავლობაში ფლობდნენ. ამ დინასტიის პირველი ამირა, რომლის მონეტამაც ჩვენამდე მოაღწია, მანსურ იბნ ჯაფარი იყო.

თბილისის ჯაფარიან ამირათა დირჰემები

მანსურ იბნ ჯაფარის მონეტა

ჯაფარ იბნ მანსურის მონეტა

ალი იბნ ჯაფარის მონეტა

ალფერა: ვერცხლი

შუბლი: მონეტის ცენტრში სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „არ არს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, არ ჰყავს მას მოზიარე“. მის ირგვლივ, ასევე არაბული ლეგენდა: „სახელითა ალლაჰისა, იჭედა ეს დირჰემი თბილისს 342 წელს (=953/54 წწ.)“. ყოველივე გარშემორტყმულია არაბული ლეგენდით: „ძალაუფლება ალლაჰისაა, ადრეც და მერეც, და იმ დღეს გაიხარებენ მორწმუნენი ალლაჰის შეწევნით“. ირგვლივ შემოუყვება ორმაგი ხაზოვანი რკალი.

ზურგი: შუაში ხუთსტრიქონიანი არაბული წარწერა ხალიფასა და ამირას სახელების მოხსენიებით: „ალლაჰს. მუჰამმადი მოციქული ალლაჰისა. ალ-მუტი ლილლაჰი. მანსურ იბნ ჯაფარი“. ირგვლივ ორმაგი ხაზოვანი რკალი, რომლის გარეთაც არაბული ლეგენდაა: „მუჰამმადი მოციქულია ალლაჰისა, რომელმაც გამოგზავნა ის სწორი გზითა და რჯულით ჭეშმარიტით, რათა აღამაღლოს ყველა სარწმუნოებაზე, თუნდაც სძულდეთ ეს ურწმუნოებს“.

ზარაფხანა: თბილისი

ნომინალი: დირჰემი

თარიღი: 953/54-1027/28 წწ.

კოლექცია: მანსურ იბნ ჯაფარის მონეტები: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი — 2 ცალი; სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟი — 2 ცალი; მოსკოვის ისტორიული მუზეუმი — 1 ცალი.

ჯაფარ იბნ მანსურის მონეტები: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი — 2 ცალი; სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟი — 5 ცალი.

ალი იბნ ჯაფარის მონეტები: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი — 440 ცალი; მოსკოვის ა.ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი — 17

2012 წელს თბილისის ძველი გალავნის გათხრებისას აღმოჩენილი უცნობი არაბული წარწერა

ერთიანი საქართველოს პირველ მეფეს, ბაგრატ III-ს თავისი მონეტა 980 წელს ქართლის რეზიდენციაში — უფლისციხეში უნდა მოეჭრა

ბაგრატ III-ის ფრესკა ბედიაში (XX საუკუნის მიწურულის ფოტო). დღეს ფრესკა პრაქტიკულად განადგურებულია

ცალი; მოსკოვის ისტორიული მუზეუმი — 4 ცალი; სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟი — 3 ცალი; სომხეთის სახელმწიფო მუზეუმი — 1 ცალი; ამერიკის ნუმიზმატიკური ასოციაციის კოლექცია — 1 ცალი.

ამის შემდეგ, თბილისის ჯაფარიან ამირების მიერ მოჭრილ დირჰემებზე, თბილურ-აბასიანურის მსგავსად, მხოლოდ მონეტის მოჭრის თარიღები და ხალიფებისა და ამირების სახელები იცვლება. ისლამური ფორმულები კი იგივე მეორდება.

არაბული დირჰემების ქართული მინაბაძები

როგორც ჩანს, არაბულ ყაიდაზე ფულს შიდა ქართლის ფეოდალური სახლებიც ჭრიდნენ. მათ მიერ გამოშვებული ეს მონეტები არაბული დირჰემების ქართული მინაბაძების სახელით არის ცნობილი. აღნიშნული ფული ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური თვალსაზრისით ახლოს არის თბილურ-აბასიანურ და ჯაფარიანთა დირჰემებთან.

არაბული დირჰემების ქართული მინაბაძები საკმაოდ დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი და თითოეულ ეგზემპლარს შორის განსხვავება მხოლოდ ცალკეულ დეტალშია, რის გამოც, ქვემოთ მონეტების მხოლოდ განზოგადებული აღწერილობაა მოცემული.

არაბული დირჰემების ქართული მინაბაძები

აღწერა: ვერცხლი
რემედიუმი: 1,2-2,78 გრამი

დიამეტრი: 21-26 მილიმეტრი

შუბლი: დამახინჯებული არაბული ლეგენდები, გარშემორტყმული ორმაგი წერტილოვანი ან ხაზოვანი რკალით.

ზურგი: დამახინჯებული არაბული ლეგენდები და კვლავ რკალი. მეცნიერთა ნაწილი მინაბაძებზე ქართულ ასოებსაც კითხულობს.

ზარაფხანა: უცნობია.

ნომინალი: ნახევარი დირჰემი(?), დირჰემი

თარიღი: X საუკუნის მეორე ნახევარი(?)

კოლექცია: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი — 1 ცალი; სოხუმის მუზეუმი — 105 ცალი; სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟი — 12 ცალი; ამერიკის ნუმიზმატიკური საზოგადოების კოლექცია — 3 ცალი.

ბაგრატ III-ის ნახევარი დრამა

არაბული დირჰემების მიბაძვით არის მოჭრილი ასევე ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) მონეტა.

ბაგრატი შიდა ქართლში 975 წელს, ხოლო აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში) 978 წელს გამეფდა. ქართლში მან თავისი დედა, გურანდუხტი დატოვა და თავად დასავლეთ საქართველოში გადავიდა. მაგრამ როცა ბაგრატი საქმეების მოსაგვარებლად აფხაზეთიდან კვლავ აღმოსავლეთ საქართველოში ბრუნდებოდა, ქართლის საზღვარზე მას დიდგვაროვნები დახვდნენ და წინააღმდეგობა გაუწიეს. ბაგრატმა ქართლში საკუთარი უფლებები იარაღის ძალით აღიდგინა. სწორედ ამ დროს, 980 წელს, ქართლის რეზიდენციაში — უფლისციხეში უნდა მოეჭრა მას თავისი მონეტა. ეს ფული ბაგრატს უფრო გვიან რომ მოეჭრა, მასზე სხვა ტიტულებიც იქნებოდა აღნიშნული — კერძოდ, კურაპალატი, ქართველთა მეფე, ასევე რანთა და კახთა.

მონეტის ტიპის (არაბული დირჰემი) შერჩევითა და მასზე „აფხაზთა მეფის" ტიტულის განთავსებით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო ერთი პოლიტიკური რეგიონი იყო, რომ სამონეტო ემისიის რეგალია ქართლში ბაგრატ III-ის კომპეტენციას წარმოადგენდა.

ბაგრატ III-ის ნახევარი დრამა თბილისის მიდამოებში 1863 წელს აღმოჩნდა. მონეტა ნუმიზმატმა ივან ბართოლომეიმ შეიძინა და სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟში გააგზავნა.

ბაგრატ III-ის ნახევარი დრამა

ალწერა: ვერცხლი, ნახევარი დრამა

წონა: სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟის ცალი — 1,78 გრამი

დიამეტრი: 23 მილიმეტრი

შუბლი: მონეტის ცენტრში სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „არ არს ღვთაება გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, არ ჰყავს მას მოზიარე". ირგვლივ დამახინჯებული არაბული წარწერა, რომლის გაშიფვრა ვერ ხერხდება.

ზურგი: ცენტრში არაბული ლეგენდა: „მუჰამმადი მოციქულია ალლაჰისა", რომელსაც გარს ქართული დაქარაგმებული ასომთავრული ზედწერილი შემოუყვება: ⊕ⱢⰵⰾⰻⰴⰻⰵⰣⰻⰽⰻⰣⰰⰶⰰⰽⰰ (ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე).

ზარაფხანა: უფლისციხე

ნომინალი: ნახევარი დრამა

თარიღი: 980 წ.

კოლექცია: კონკრეტული ეგზემპლარი დაცულია სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟში

ასეთია თბილისში მოჭრილი არაბული მონეტების სახე და მათი მოკლე ისტორია, თბილისი, რომელიც არაბთა სახალიფოს მნიშვნელოვანი პუნქტი იყო, სადაც მალე არაბული ადმინისტრაციული ერთეული — საამირო ჩამოყალიბდა. თბილისში მოჭრილი მონეტების მიბაძვით ქართლის ფეოდალებისა და მეფე ბაგრატ III-ის მიერ მოიჭრა ფული, რომელსაც არაბული და ქართული წარწერები აქვს.

„ქართული ნუმიზმატიკის" (ნაწ. I. ავტორები: გიორგი დუნდუა, თეიმურაზ დუნდუა; თბ., 2006) და „ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგის" მიხედვით მოამზადა

ალექსანდრე ბოშიშვილმა

ზურაბ ავალიშვილი

ნაწილი I

მშობლები, წინაპრები და ნათესავები

გამოჩენილი მეცნიერი, იურისტი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და დიპლომატი ზურაბ დავითის ძე ავალიშვილი (1875-1944) მიეკუთვნება XX საუკუნის პირველი ნახევრის დიდ ქართველ მამულიშვილთა რიცხვს. მიუხედავად ამისა, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა დღემდე არ არის სათანადოდ შესწავლილი.
წინამდებარე სტატიით „ისტორიანი“ იწყებს პუბლიკაციების ციკლს ზურაბ ავალიშვილის შესახებ.
ამ ნარკვევში დადგენილია ავალიშვილთა საგვარეულოს წარმომავლობა და მისი გამოჩენილი წარმომადგენლები, მათ შორის ზურაბ ავალიშვილის მშობლები, და-ძმა, წინაპრები და ნათესავები.

ზურაბ ავალიშვილის ფოტო და ფაქსიმილე (ქართული ემიგრაციის მუზეუმის არქივიდან)



ძირძველ ქართულ ფეოდალურ საგვარეულოთა შორის ავალიშვილებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ. ეს გვარი სათავეს მესხეთიდან იღებს.

XV-XVI საუკუნეებში ისტორიულ თორის მხარეში (ახლანდელი ბორჯომის ხეობა) ჩამოყალიბდა ავალიშვილთა საფეოდალო — საავალიშვილო, რომლის ცენტრსაც სოფელი სადგერი წარმოადგენდა.

XVI საუკუნეში ავალიშვილებს მამული ჰქონდათ ჯავახეთშიც, სადაც ქიშვად ავალიშვილმა ააგო კოთელიის წმ. კვირიკეს საყდარი.

1535-1545 წლებში საავალიშვილო სამცხე-საათაბაგოსთან ერთად შედიოდა იმერეთის სამეფოში, 1545 წლიდან — სამცხე-საათაბაგოში, ხოლო იმავე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან ოსმალეთმა მიიტაცა.

ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცეული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართველი მოსახლეობა მძიმე არჩევანის წინაშე დადგა: ან ისლამი უნდა მიეღოთ, ანდა დაეტოვებინათ მშობლიური მხარე და გადასახლებულიყვნენ საქართველოს სხვა მხარეებში, სადაც ქრისტიანობას შეინარჩუნებდნენ.

XVII-XVIII საუკუნეებში ავალიშვილთა ერთი ნაწილი გადასახლდა შიდა ქართლში, კახეთსა და იმერეთში. შიდა ქართლში გადასახლებულნი დამკვიდრდნენ ტაშისკარში, სურამში, არადეთში, ბრეთსა და აბისში; კახეთში გადასულები — თელავში, კონდოლში, კალაურში, ჩუმლაყში, კაკაბეთსა და საგარეჯოში, ხოლო იმერეთში — ხიდარში, ვარძიასა და კიცხში.

იმერეთსა და გარეკახეთში (თანამედროვე საგარეჯოს რაიონი) დამკვიდრებულმა ავა-

ლიშვილებმა თავადობა დაკარგეს და გააზნაურდნენ.

მშობლიურ მხარეში დარჩენილი ავალიშვილები იძულებული გახდნენ, გამუსლიმებულიყვნენ. მათ ოსმალეთის ხელისუფლებისგან იქაური ფეოდალის — ბეგის წოდება მიიღეს.

უფლისწული ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1756) ავალიშვილებს სამცხის წარჩინებულთა შორის მოიხსენიებს და მიუთითებს: „ავალისშვილი, რა დაშთა ხეობა მეფესა ქართლისასა, ეგრეთვე ერთი ძმა დაშთა აქ და მეორე სამცხეს“. ვახუშტისავე შენიშვნით, სამცხეში დარჩენილი და გამაჰმადიანებული ქართველი წარჩინებული გვარიშვილნი „არღარა იწოდებიან გუარითა, არამედ ფაშად, ბეგად და სანჯახად“.

უფლისწული იოანე ბაგრატიონი (1768-1830) მოგვითხრობს, რომ ავალიშვილები „ძველად იყვნენ ციციანთა გვართაგან შორეულნი ნათესავნი, რომელსაც ამათ წინაპარსა ავალა ეწოდა. ესენი იყვნენ მოსახლენი ახალციხისა კერძოთა ადგილთა შინა და ოდეს განდგა ათაბეგი და დაიპყრა ახალციხე თვისად შეწევნითა თურქთა წელსა 1601, მათგანი რომელნიმე შთავიდნენ იმერეთს. სხვანი მოსახლენი იყვნენ ძველადვე მტკვრის ხეობასა შინა და იწოდებოდნენ მტკვრის მოურავად და მერე მტრიანობისა მიზეზითა აიყარნენ და შთამოვიდნენ ბრეთსა, რომელიმე განვიდენ კახეთს და არიან მუნითგან წოდებულნი ავალიანნი ქართლს მოსახლენი და კახეთს

თავად ავალიშვილთა საგვარეულო გერბი, ცენტრში გამოსახული არწივით

მოსახლენი. ხოლო ქართლს მოსახლენი არიან უპირველესნი: 1) პეტრეს შვილები, 2) გოგიას შვილები, ანუ გიორგისა და სხვანი ამათნი სახლის კაცნი, ხოლო იმერეთს შინა რომელნიმე არიან თავადად და რომელნიმე აზნაურად და ესრეთვე ამათ გვარნი არიან ახალციხესა შინაცა“.

კახეთში გადასახლებულ თავად ავალიშვილთა შესახებ იოანე ბაგრატიონი მიუთითებს, რომ ისინი იყოფოდნენ ორ შტოდ: 1)

წმ. გიორგის ეკლესია სოფელ სადგერთან (XV ს.)

მეფე თეიმურაზ I მეუღლესთან ერთად (ნახატი კასტელის ალბომიდან)

გივის შთამომავლებად და 2) ივანე მეითრის შთამომავლებად.

იმერეთის სამეფოში გაწეული ერთგული სამსახურისთვის, მეფე თეიმურაზ I-მა ზემოხსენებულ ბოქაულთუხუცეს ავალ ავალიშვილს უბოძა: სახასო მამული უჯარმაში; ამოწყვეტილი თავადის, ჯავშანა ვაჩნაძის მამულები კალაურში, ბაკურციხესა და კარდანახში; ყული დავითისეული მამულები ენისელსა და ბაზარში; ღონენა ხიმშიაშვილისეული მამულები ძაგნაკორნასა და ხეობაში და ასევე, ამილახორისა და ლარგველისთვის ნაბოძები მამულები.

ქართლის მეფე როსტომმა, რომელიც 1648-1654 წლებში კახეთსაც განაგებდა, ასევე არ დაიშურა წყალობა ავალისადმი, რომელსაც 1651 წელს ცოლად შერთო ასული ამოვარდნილი თავადისა დავით ვაჩნაძისა (გოშფარიშვილისა) და მისი მამულიც უბოძა. როსტომის მეუღლემ, დედოფალმა მარიამ დადიანმა ავალს უბოძა კისისხევის მოურავობა და ყმა-მამული იმავე სოფელში.

ქართლის მეფე როსტომმა თავად ავალიშვილებს სოფელი ბრეთი უბოძა. ქართლში გადასახლებულ ავალიშვილთა ძირითად სამკვიდრო მამულად იქცა სწორედ ეს სოფელი, რომელიც ადრე თავად ბაგრატიონ-დავითიშვილების საკუთრებას წარმოადგენდა. თუმცა ბრეთი მათ ებოძათ არა სამუდამო მფლობელობაში, არამედ ბორჯომის ხეობაში დაბრუნებამდე. მიუხედავად იმისა, რომ ავალიშვილებმა ბრეთში ყმა-მამული გაიჩინეს, მათ ხელი მაინც არ აიღეს თორზე, რომლითაც ორ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში სარგებლობდნენ. ავალიშვილებმა ბრეთში ჩაიყვანეს თავიანთი ყმები, რომელთა ნაწილიც თორის რეგიონის რუსეთის იმპერიის გამგებლობაში გადასვლის შემდეგ, ფეოდალებთან ერთად დაუბრუნდა თავდაპირველ საცხოვრისს.

XIX საუკუნის ბოლო ოცწლეულში, ქართლელ ავალიშვილებს ყმა-მამული ჰქონდათ როგორც ბრეთში, ასევე ქვიშხეთში, წვერში, სურამში, კახელ ავალიშვილებს — ჩუმლაყსა და სანიორეში, ხოლო გარეკახელ ავალიშვილებს — საგარეჯოში.

თავადი ავალიშვილები წარმატებით მოღვაწეობდნენ როგორც სახელმწიფო და სამხედრო, ასევე სასულიერო სარბიელზეც და ქართლისა და კახეთის სამეფოთა კარზე საპატიო თანამდებობანი ეპყრათ. კერძოდ, ისინი იყვნენ: ეშიკაღასბაშები ანუ საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის უფროსები (ეს თანამდებობა შემოიღეს XVII საუკუნეში, ნაცვლად მანდატურთუხუცესისა); ბოქაულთუხუცესები ანუ საპოლიციო აპარატის ხელმძღვანელები, ეშიკაღასბაშის მოადგილეები; მეითრები ანუ მეფის მსახურთა ხელმძღვანელები (იგივე ეჯიბები, რომელთაც ებარათ მეფის გარდერობი); მეჯინიბეთუხუცესები ანუ საჯინიბოს გამგენი; მილახვრები ანუ სამეურნეო დარგის მოხელენი, რომლებსაც მრავალი საერთო ჰქონდათ სახლთუხუცესის თანამდებობასთან; მოურავები და სხვ.

ავალიშვილთა გვარი ქართულ საისტორიო წყაროებში XVII საუკუნის პირველი მეოთხედიდან საკმაოდ ხშირად იხსენიება.

ამ საგვარეულოს გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ (ჩამოთვლილია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით): კოთელიის წმ. კვირიკეს ეკლესიისა და ლიკანის მონასტრის სამრეკლოს ამშენებელი ქიშვად ავალიშვილი,

რომელსაც ცოლად ჰყავდა თამარ ბატონიშვილი, ასული ქართლის მეფისა ლუარსაბ I-ისა; მროველი ანუ რუისის ეპისკოპოსი დომენტი ავალიშვილი, რომელმაც თავი ისახელა 1625 წელს მარაბდასთან მომხდარ ბრძოლაში; ქართლის მთავარეპისკოპოსი იოვანე ავალიშვილი; ბოდბელი და ალავერდელი არსენ ზაქარიას ძე ავალიშვილი, მისი ძმა საბახტარ ავალიშვილი, რომლის ნახატიც შემოგვინახა დონ კრისტოფორო დე კასტელიმ, რომელიც 1627-1654 წლებში საქართველოში მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა; მათივე ძმა, ბოქაულთუხუცესი ავალ ავალიშვილი და მისი ვაჟი, მეჯინიბეთუხუცესი ლევან ავალის ძე ავალიშვილი (მოღვაწეობდნენ XVII საუკუნეში); ეშიკაღასბაში ავალიშვილი (საისტორიო წყაროებში ჩანს 1700 წელს); ახალდაბის (ამჟამად ბორჯომის რაიონი) მოურავი გიორგი ავალიშვილი (ჩანს 1678-1703 წლებში), რომელიც იმავდროულად მილახვარიც იყო; ეშიკასღაბაში ასლან გივის ძე ავალიშვილი (ჩანს 1755-1765 წლებში); მეითარი ივანე ბეჟანის ძე ავალიშვილი (გარდაიცვალა 1779 წელს) და მისი ვაჟი, ქართული დრამატურგიის მამამთავარი, მწერალი, დიპლომატი, მოგზაური გიორგი ივანეს ძე ავალიშვილი (1769-1850), რომელიც რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს დიპლომატიურ წარმომადგენლად მსახურობდა; რუსეთის საიმპერიო არმიის გენერალ-მაიორები — ივანე სოლომონის ძე (1798-1860), ზურაბ დიმიტრის ძე (1818-1884) და ალექსანდრე სიმონის ძე (1852-1916) ავალიშვილები; თერგდალეულთა მიერ წამოწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, თეატრალური მოღვაწე ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე ავალიშვილი (1844-1929); თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორი დავით ივანეს ძე ავალიშვილი (1845-1897); რუსეთის საიმპერიო არმიის ოფიცერი, ხოლო შემდეგ, გენერალ ანტონ დენიკინის სარდლობით მოქმედი მოხალისეთა არმიისა და სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკი სიმონ ნიკოლოზის ძე ავალიშვილი (1880-?), რომელიც საარტილერიო სკოლას ხელმძღვანელობდა; საქართველოს დამსახურებული ექიმი, პარაზიტოლოგი სალომე დიმიტრის ასული ავალიშვილი (1899-1966); ცნობილი კალათბურთელი,

მეფე როსტომი (ნახატი კასტელის ალბომიდან)

წმ. გიორგის მონასტერი სოფელ ბრეთში

საომრად შეჭურვილი საბჭარ ავალიშვილი (ნახატი კასტელის ალბომიდან)

საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი და დამსახურებული მწვრთნელი გიორგი ივანეს ძე ავალიშვილი (1913-1986); საქართველოს სახალხო მხატვარი, მოქანდაკე ბიძინა გიორგის ძე ავალიშვილი (1922-2002); ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გია ბიძინას ძე ავალიშვილი (1941-2004) და სხვები.

ავალიშვილთა საგვარეულოს სახელოვან წარმომადგენელთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია ზურაბ დავითის ძე ავალიშვილს (1875-1944). მისი წინაპრების შესახებ დღემდე არაფერი იყო ცნობილი. ზოგიერთი მკვლევარი ზურაბ ავალიშვილს მიიჩნევდა დიპლომატ გიორგი ავალიშვილის შთამომავლად, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. რეალურად, გიორგი ავალიშვილი იყო ვაჟი მეითარ ივანე ბეჟანის ძე ავალიშვილისა, რომელიც 1779 წელს გარდაიცვალა.

ზურაბ ავალიშვილის ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ძველი წინაპარი — თავადი გივი ავალიშვილი, თავის ძმასთან, ზაალთან ერთად, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართლიდან კახეთში გადასახლდა. ისინი დამკვიდრდნენ სოფელ ჩუმლაყში. გივის ვაჟი იყო ზემოხსენებული ეშიკასღაბაში ასლან ავალიშვილი.

ჩვენთვის ცნობილია ზურაბ ავალიშვილის ექვსი უშუალო წინაპრის ვინაობა პირდაპირი, ანუ მამრობითი ხაზით.

ზურაბ ავალიშვილის გენეალოგიური ხაზი, დაწყებული მისი უშუალო წინაპრის, გივი ავალიშვილისაგან, ასე წარმოგვიდგება: 1) გივი — 2) ასლანი (საისტორიო წყაროებში იხსენიება 1755-1765 წლებში) — 3) გივი (იხსენიება 1755-1791 წლებში) — 4) დიმიტრი (1783-?) — 5) იოანე (1806-1850) — 6) დავითი (1845-1897) — 7) ზურაბი (1875-1944).

ზურაბ ავალიშვილის პაპის — რუსეთის საიმპერიო არმიის კაპიტან იოანე (იგივე ივანე) ავალიშვილის (1806-1850) უმცროს ძმებს შორის იყვნენ: გენერალ-მაიორი ზურაბ (1818-1884), ტიტულარული მრჩეველი ნიკოლოზ (1816-1869) და პოდპორუჩიკი გიორგი/ასლან (1821-1885) ავალიშვილები.

ახლა რაც შეეხება ზურაბ ავალიშვილის წინაპარ მანდილოსნებს.

ზურაბის დიდ პაპას, დიმიტრი გივის ძე ავალიშვილს (1783-?) ცოლად ჰყავდა თამარ დავითის ასული ჯორჯაძე (1788-1836), ხოლო ზურაბის პაპის, იოანე ავალიშვილის (1806-1850) მეუღლე იყო ეკატერინე იოსების ასული ვაჩნაძე (1818-1872). ეს უკანასკნელი განეკუთვნებოდა ამ საგვარეულოს ერთ-ერთ განშტოებას — ბებურიშვილებს ანუ ბებურ ვაჩნაძის შთამომავალთა შტოს. ასე რომ, ზურაბ ავალიშვილის დიდი ბებია (პაპის დედა) იყო თავად ჯორჯაძის ასული, ხოლო ბებია (მამის დედა) — თავად ვაჩნაძის ასული.

ზურაბ ავალიშვილის ბიძებს (მამის ძმებს) ცოლად ჰყავდათ ასევე თავადის ასულები, კერძოდ, დიმიტრი ავალიშვილს (1841-1880) — მარიამ აქაზის ასული ანდრონიკაშვილი (1851-1917), ხოლო გრიგოლ ავალიშვილს (1848-1897) — ჯერ მარიამ გიორგის ასული ჯანდიერი, ხოლო შემდეგ სოფიო ალექსანდრეს ასული ვაჩნაძე (1861-1935).

ზურაბის მამა — იურისტი დავით ივანეს ძე ავალიშვილი (1845-1897) რუსეთის საიმპერიო არმიაში შტაბსკაპიტნად მსახურობდა. თადარიგში გასვლის შემდეგ, ის მუშაობდა

ჯერ ნაფიც ვექილად, ხოლო შემდეგ — დიდი ილია ჭავჭავაძის მიერ დაფუძნებული თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის დირექტორად.

1871 წელს, 26 წლის დავით ავალიშვილმა ცოლად შეირთო 15 წლის ოლღა ედუარდის ასული ჰოლმბლადტი (1856-1914). მისი მამა იყო ცნობილი ექიმი, შვედური წარმომავლობის ბალტიელი არისტოკრატი (ბარონი), კავკასიის მხარის სამედიცინო ნაწილის მმართველი — ედუარდ ჰოლმბლადტი, რომელიც მონაწილეობდა კურორტ აბასთუმნის დაარსებაში. ოლღას ძმა — გენერალ-ლეიტენანტი ოსკარ ედუარდის ძე ჰოლმბლადტი (1843-1898) იყო კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე.

საგულისხმოა, რომ ზურაბ ავალიშვილის პაპასთან — ედუარდ ჰოლმბლადტთან მეგობრობდა პოეტი და სამხედრო მოღვაწე, გენერალი გრიგოლ ორბელიანი (1804-1883).

1846 წელს გრიგოლ ორბელიანი თავის ძმას, ზაქარიას სწერდა: „თემირხანშურაში ღოშპიტლის სმოტრიტელმა მიფლანგა ორიათას ორასი თუმანი თეთრი ფული და ამის გამო არიან პოდარესტში კამენდანტი და საბრალო ჩინებული, კეთილშობილი დოხტორი ღოლმბლატი, რომელთაცა აუწერეს ყოველივე ქონება. ახლა გაიგონე ისტორია ღოლმბლატისა, რომ ეგებ შეიძლო ვისთანმე შემწეობა ლაპარაკითა, შჩერბინინთან, ანუ სხვა კარისკაცთან, რომელთაცა აქუსთ ხმა რაიმე.

ღოლმბლატი, ვითარცა გამოჩენილი დოხტორი, იყო გამოგზავნილი აქა განგებ მისთვის, რომ აქაურს ღოშპიტალში შეამციროს ის საშინელი მოკვდაობა, რომლითაცა 1844 წელს იხოცებოდნენ თვეში ხუთასი კაცი. მართლად, რა მოვიდა, თავისის მეცადინეობით, ცოდნით პირველს თვეშივე ხუთასიდან ჩამოვიდა ასორმოცამდის და შემდეგ შეამცირა უფრო და უფრო და ასეთს მდგომარეობაში მოიყვანა ღოშპიტალი ყოვლის მხრით, რომ კნიაზ ვარანცოვმა კორპუსში მოსცა მადლობა და შემდეგ მოუტანინა ყელზედ ანნა.

ამ წლის 1-სა ღოშპიტლის სუმმა იყო მხოლოდ 250 მანათი, მაშასადამე, სმოტრიტელი მაშინ მაგდენს ვერას მოიპარამდა. შემდეგს თებერვალში მოუვიდათ 3 ათასი თუმანი კამისიიდამ. სმოტრიტელი დაეთხოვა ბებუთოვსა ასტრახანში და ფული იაშჩიკით, დაბეჭდილი მიაბარა კამენდანტსა, რომელ-

უფლისწულმა იოანე ბაგრატიონმა ავალიშვილთა წარმომავლობის შესახებ საყურადღებო ცნობები შემოგვინახა

გენერალი გრიგოლ ორბელიანი მეგობრობდა ზურაბ ავალიშვილის პაპასთან (დედის მამასთან), ედუარდ ჰოლმბლადტთან

ნიკო ავალიშვილი — ავალიშვილთა საგვარეულოს გარეკახეთის შტოს წარმომადგენელი, აღმოსავლეთ საქართველოს არისტოკრატიის ტრადიციული სამოსითა და აღკაზმულობით. მას უფროსი შვილი თვით დიდმა ილია ჭავჭავაძემ მოუნათლა

მანცა თავისის დაუდევნელობით და უფრო მით, რომ ენდობოდა, მიიღო ეს იაშჩიკი და არ გაშინჯა, თუ რა იყო, ანუ რაოდენი და როდესაც ღოლმბლატმა ჰკითხა კომისარსა ფულისათვის, ამან უთხრა, რომ რაც საჭირო არის ღოშპიტლისათვის, მე მაქუსო და დანარჩენი სუმმა იაშჩიკით კამენდანტმა ნაობახტში მიაბარაო. ეს საბრალო დოხტორიც მარტში დაეთხოვა ქალაქსა. შემდეგ, რა დაბრუნდა იქიდამ, გაერთო კიდევ ავათმყოფების მოვლაში, რადგანაც ბევრი შეგროვილიყვნენ ცინგოტნითა და თვალის ტკივილითა, რომელიცა ძალიან გახშირებული იყო მაშინა და სრულიად ფიქრში არ მოუვიდა შემოწმება სუმმისა ყოველს თვეს კანონისამებრ. და ამის გამო იღუპება სრულიად ეს ჩინებული, უანგარო, მსწავლული დოხტორი ღოლმბლატი თავისის ცოლშვილით. ამას იხვეწება მხოლოდ, რომ რაცა მაქუს, გაყიდონო, დანარჩენი ჩემის ჯამაგირიდამ გამომირიცხონო, ოღონდ კი ეს მოწყალება მიიღოს სარდალმაო, რომ ჩემს ოცდაორი წლის სამსახურსა ნუ გამიფუჭებენო; რასაკვირველია, დანაშაული მაქვსო, რომ არ შევამოწმე სუმმაო, მაგრამ რა მომაფიქრებდაო, რომ სმოტრიტელი, რომელნიცა მდიდრდებიან ღოსპიტლებიდამ, ასე თავისთავსაც და ჩვენცა დაგვღუპავდაო: მე მხოლოდ იმაზე მეჭირა თვალყურიო, რომ ავათმყოფებს არა დაჰკლებოდათ-რაო.

ახლა, ჩემო ზაქარიავ, ეგებ შჩერბინინსა, ანუ სხვას ვისმე კარის კაცთაგანსა, ჩააგონო ამ საწყალის მდგომარეობა, რომ ამოდენის წლის სამსახური არ წაუხდეს ამას“.

დავით ავალიშვილს და ოლღა ჰოლმბლადტს შეეძინათ შვიდი შვილი: ივანე (1872-1937), იოსები (1874-?), ზურაბი (1875-1944), გივი (1877-?), ნატალია (1879-?), ეკატერინე (1884-1910) და დავითი (1887-1887). მათგან ნაბოლარა შვილი დაბადების წელსვე გარდაიცვალა.

ზურაბ ავალიშვილის უფროს ძმას — ივანეს (1872-1937) ცოლად ჰყავდა ნინო ყარანგოზიშვილი (1879-1962), ასული აზნაურ დიმიტრი ყარანგოზიშვილისა. მათი ერთადერთი ასული — სოფიო ივანეს ასული ავალიშვილი (1905-?) ცოლად გაჰყვა თავად ასლან ანტონის ძე წულუკიძეს (1905-1969).

პეტერბურგში მოღვაწეობდნენ ზურაბის ძმები: ინჟინერ-ქიმიკოსი იოსებ (ოსინკა) ავალიშვილი, რომელიც სამთო ინსტიტუტში ასისტენტად მუშაობდა და სტუდენტებს ქიმიაში ლაბორატორიულ მუშაობას ასწავლიდა და თავისუფალი მხატვარი გივი ავალიშვილი, რომელიც ამ ქალაქის ოპერის თეატრში მოღვაწეობდა...

აი, ასეთ დიდებულ ოჯახსა და სანათესავო წრეში ჩამოყალიბდა ავალიშვილთა საგვარეულოს გამოჩენილი წარმომადგენელი — ზურაბ ავალიშვილი.

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი

TIME

მე-20 საუკუნე

გაზეთ „კვირის პალიტრასთან" ერთად, თვეში ორჯერ

მსოფლიო ბესტსელერი!

შეაგროვე 16 წიგნად

ლეგენდარული ჟურნალის მიერ „ცხელ კვალზე" მოპოვებული მასალები დოკუმენტური ფაქტები, რეალური მოვლენები

და შეეხე ეპოქას!

14-დან 21 ივლისამდე

წიგნის ფასი: **7 ₾**

გაზეთთან ერთად: **8 ₾**

წიგნი მეცხრე
ისლამური
სამყარო

შემდეგი წიგნი
ბერლინის
კედლის
დაცემა

ფაქტები • პლაკატები • კარიკატურები • კინემატოგრაფია
ინტერვიუები ეპოქის მნიშვნელოვან ფიგურებთან

„მასპინძლობა“ ქართული კულტურითა და ხელოვნებით

ხორუმი და მრავალჟამიერი დუბლინის გემების ფესტივალზე

ფესტივალის დაწყებიდან მეორე დღეს ირლანდიაში იგებენ, რომ შორეული საქართველოდან ჩამოსული მოცეკვავეები სცენაზე არნახულ სანახაობას შექმნიან. ქალაქელები დუბლინის პორტში, სანაპიროზე იყრიან თავს... წუთი წუთზე სუხიშვილების კონცერტი დაიწყება, ტევა არ არის, მაყურებელთა რიგებს შორის ნემსს ვერ ჩააგდებ. დოლისა და ზურნის ხმაც გაისმა და XIX საუკუნის დანიური ფრეგატის ქართული დროშებით მორთულ იალქნების ქვეშ ხორუმი დაიწყო. გაოცებულ თვალებს, აღფრთოვანებულ მზერასა და აღტაცებულ ყიჟინას ბოლო არ უჩანდა. იმავე საღამოს დუბლინის პოლიცია ოფიციალურად გამოაცხადებს, რომ სუხიშვილების კონცერტს 1-ელ ივნისს დუბლინში 20 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო...

ანსამბლი „სუხიშვილები“

ირლანდიაში ქართული კულტურის დღეები 29 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით, მსოფლიოში ცნობილი გემების ფესტივალის დროს გაიმართა. ამ ფესტივალზე საქართველო მასპინძელი ქვეყნის სტატუსით მონაწილეობდა. ჩვენი დელეგაცია საკმაოდ დიდი იყო, პროგრამა კი მრავალფეროვანი. ანსამბლები „რუსთავი“ და „სუხიშვილები“, ქართული საბრძოლო ხელოვნების კავშირი „შავფაროსნები“, ხელოვნების სასახლე, ირლანდიაში არსებული ბავშვთა ქართული ანსამბლი „საბასეული“ და მომღერალთა ჯგუფი „ზურმუხტი“ ლუის მორონის ხელმძღვანელობით — თითოეული კოლექტივი ოთხი დღის განმავლობაში ქართული კულტურის პოპულარიზაციის ამოცანას ემსახურებოდა.

გემების 25-ე საერთაშორისო ფესტივალი სასტუმრო The Marker-ის დიდ დარბაზში ადმირალის მეჯლისით გაიხსნა. ოფიციალურ სადილზე საქართველოს დელეგაცია კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილის ხელმძღვანელობით, ირლანდიის ტრანსპორტის, ტურიზმის და სპორტის მინისტრს ლეო ვარადკარის შეხვდა, სადაც განიხილეს დუბლინისა და ფოთის პორტების სამომავლო დამეგობრებისა და კულტურული გაცვლითი პროგრამების პერსპექტივები. ფესტივალის გახსნის დღესვე ქართული დელეგაცია მიიღო ქალაქ დუბლინის ლორდ-მერმა ოიშინ ქუინმა. დუბლინის ლორდ-მერის მოსაზრებით, ფესტივალის ქართული კულტურული პროგრამა ხელს შეუწყობდა საქართველოს პოპულარიზაციას ევროპაში, გაზრდიდა ირლანდიელების ინტერესს ქართული კულტურისადმი.

დუბლინის ქუჩებში

ანსამბლი „რუსთავი“

სუხიშვილების გამოსვლა

ადმირალის მეჯლისის მუსიკალური ნაწილი მრავალჟამიერით გახსნა ირლანდიაში არსებულმა ქართულმა ანსამბლმა, რომელიც ზიზი ნანობაშვილ-ლოფტუსმა დააარსა და აქ ოცამდე ემიგრანტი მღერის.

მეორე დღეს ჩHQ-ცენტრის საგამოფენო დარბაზში ბრწყინვალე კოლექცია წარმოადგინა ხელოვნების სასახლემ, მათ შორის იყო „სადარბაზოს“, „მთიულურისა“ და „ხანჯლურისთვის“ ქართული ხელოვანის, სოლიკო ვირსალაძის მიერ შექმნილი კოსტიუმები. დიდი მოწონება დაიმსახურა ქართულ მხატვრულ ფილმ „გიორგი სააკაძეში“ გამოყენებულმა ისტორიულმა ტანსაცმელმაც. დარბაზის კედლებს ამშვენებდა პეტრე ოცხელის, ირაკლი თოიძის, ლადო გუდიაშვილის,

დუბლინის ქართული ანსამბლი

ვიკინგების ხომალდზე ოქროს საწმისსაც შავფაროსნები იცავდნენ

ელენე ახვლედიანისა და დავით კაკაბაძის თეატრალური ესკიზების ასლები.

განსაკუთრებულ მოვლენად იქცა XIX საუკუნის დანიურ ფრეგატზე ქართული დროშების აღმართვის ცერემონიალი. ხუთჯვრიანი, სამეფო სამთავროებისა და ვახტანგ VI-ის დროშები დანიელმა მეზღვაურებმა დიდი პატივით აიტანეს ფრეგატის იალქნებზე და ყველაზე საჩვენებელ ადგილას გამოფინეს, გემბანზე კი ოქროს ვერძის დასაცავად „შავფაროსნებმა“ პერფორმანსი გამართეს. საერთოდ, შავფაროსნების წარმოდგენებს დიდი ინტერესით შეხვდნენ. მათ სანახავად ათასობით მაყურებელი მოდიოდა და სუნთქვაშეკრული ადევნებდა თვალს ქართველი მამაკაცების თავბრუდამხვევ ტრიუკებს.

შავფაროსნების წარმოდგენისას

დანიურ ფრეგატზე ქართული დროშები მეზღვაურებმა დიდი პატივით აღმართეს



„რუსთავი“ – სიმღერის ღვთაებრივი პოეზია“, — ასე შეაფასა ცნობილმა ირლანდიურმა ინტერნეტგამოცემამ ქართული ანსამბლის კონცერტი. ამ სახელოვან ანსამბლს ირლანდიაში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური დახვედრა მოუწყვეს — დუბლინურ ჯგუფ „ზურმუხტის“ იაპონელმა, ფრანგმა, ინგლისელმა და ირლანდიელმა წევრებმა, თავიანთ ხელმძღვანელ ლუის მორონთან ერთად, დუბლინის აეროპორტში მრავალჟამიერი სწორედ მაშინ წამოიწყეს, როცა გამოსასვლელში „რუსთავი“ გამოჩნდა. ანსამბლის წევრების სახეებზე გაოცება, ანზორ ერქომაიშვილის თვალებზე კი სიხარულის ცრემლები მოჩანდა. ქართველებს მთელი აეროპორტი ტაშით შეეგება.

საქართველო და ქართული ხელოვნება ოთხი დღის განმავლობაში მთავარ მოვლენად იქცა ირლანდიის კულტურულ ცხოვრებაში. ქვეყნის დედაქალაქი ანსამბლ „სუხიშვილების“ პლაკატებითა და სარეკლამო ბანერებით მოერთოთ, ქუჩებში უფასოდ რიგდებოდა პოსტერები, რომლებზეც „სამაიასა“ და „ხანჯლურის“ ფოტოები იყო გამოსახული, ქართული რეწვისა და მინანქრის ნიმუშებს, აგრეთვე ქართული ყველის უნიკალური ასორტიმენტის დეგუსტაციას ასობით ვიზიტორი გაეცნო.

დუბლინის გემების ფესტივალზე საქართველოს მონაწილეობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რამდენად დიდი შედეგი შეუძლია მოიტანოს კოორდინირებულმა მუშაობამ. კულტურისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებისა და საქართველო-ბრიტანეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანამშრომლობამ, აგრეთვე ირლანდიაში საქართველოს საელჩოს თანამშრომელ ნათია კალანდიას განსაკუთრებულმა მეცადინეობამ ჩვენს ქვეყანას დიდი აღიარება მოუტანა. საქართველომ „რივერდანსის“ ქვეყანაში ხელოვნების უმაღლესი კლასი წარმოაჩინა.

გიორგი კალანდია

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, პროფესორი

ხელოვნების სასახლის გამოფენა დუბლინში და გამოფენის სარეკლამო ბანერები

საქართველომ „რივერდანსის“ ქვეყანაში უმაღლესი კლასის ფოლკლორი წარმოადგინა

ბოლშევიზმის მიერ ადამიანის სულის დამახინჯების ანატომია

როგორც „ისტორიანის“ წინა ნომერში აღვნიშნავდით, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას ლევილის არქივი გადაეცა. ამ არქივში არის კრებული „გრიგოლ რობაქიძე“ (მიუნხენი, 1984 წელი. კარლო ინასარიძის გამოცემა), რომელშიც გამოქვეყნებულია კონსტანტინე სალიას ვრცელი ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან.

მკითხველი უკვე გაეცნო ამ ინტერვიუს პირველ ნაწილს. ამჯერად გთავაზობთ ინტერვიუს მეორე ნაწილს.

საქართველოში ლევილის არქივს „ჩამოყოლილი“ გრიგოლ რობაქიძის ინტერვიუ

(დასასრული)

გრიგოლ რობაქიძე

კ.ს. — უნდა მოგახსენოთ, ბატონო გრიგოლ, რომ რუსებთან ურთიერთობის საკითხში ვამყარებთ ჩვენ პოლიტიკას იმ ფაქტზე, რომ რუს ემიგრანტების ყველა წრეები დღესაც იმპერიალისტურ იდეებს ეტრფიან და აქედან წარმოშობილ „ველიკოდერჟავნიჩესტვოს“ სენით არიან შეპყრობილნი, რაც ხდის შეუძლებლად მათთან თანამშრომლობას. ხოლო ახლა გთხოვთ ერთი მიბრძანოთ: გამიგონია, რომ თქვენ განსაკუთრებული შეხედულება გაქვთ რუსეთის რევოლუციაზე, მართალია ეს?

გ.რ. — ჩემი აზრი რუსეთის რევოლუციაზე სრულებით სხვაა, ვიდრე არსებული. სულ ერთია, არის იგი: ქართველთა, არა-ქართველთა, ევროპიელთა, ამერიკელთა, სულ სხვაა, ვიდრე თვითონ რუსთა. აი იგი მოკლე ფორმულით. თებერვლის რევოლუცია გამოვიდა დღენაკლული. ვინაითგან კერენსკებმა ვერ შეძლეს „მეფის მითოსი“ შეენაცვლებინათ სხვა მითო-

სით, ახალით (1913 წელს შევხვდი კერენსკის. გავაფრთხილე სწორეთ „მეფის“ საკითხში. ამის შესახებ ერთს ჩემს გამოუქვეყნებელ წიგნში). დამარცხდა „უსისხლო“ თებერვალი, გაიმარჯვა „სისხლიანმა“ ოქტომბერმა. გაიმარჯვა, რადგან ლენინმა წამოაყენა დამხობილი „მეფის მითოსის“ ალაგას სხვა მითოსი — მართალია ყალბი, მაგრამ მაინც „მითოსი“: და მითოსი ყოველგვარი გარდატეხისას არა თუ მნიშვნელოვანი, გადამწყვეტია.

კ.ს. — როგორც მოგეხსენებათ, ბატონო გრიგოლ, დღეს მსოფლიო ორ ფრონტად არის გაყოფილი: ბოლშევიკური და ანტიბოლშევიკური. რას ფიქრობთ თქვენ ამ ფრონტების შესახებ?

გ.რ. — მე პოლიტიკოსი არ ვარ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ გამეგებოდეს. ის მხოლოდ ჩემი საქმე არაა! მოგახსენებთ მოკლედ ჩემს აზრს: ბოლშევისტური ფრონტი შესანიშნავად იცნობს ანტიბოლშევისტურს. ეს არ ითქმის ანტიბოლშევისტურ ფრონტზე.

კ.ს. — მიუხედავად ამდენი გამოკვლევებისა, უამრავი წიგნებისა და სხვა?

გ.რ. — სწორედ მიუხედავად ამისა.

კ.ს. — მიკვირს, როგორ?

გ.რ. — უამრავი გამოკვლევებია ბოლშევიზმზე და მნიშვნელოვანია თითქმის ყოველივე მათგანი. ხოლო ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე წვდებოდეს შუაგულს ბოლშევიზმის ფენომენისა. ზოგიერთნი ავტორნი, უმეტეს წილ დასავლეთიდან ცდილობენ ბოლშევიზმის ძირები აღმოაჩინონ. საგანთან არიან ახლო, ხოლო რუსები რომ იტყვიან, იდუტ მიმო ნეგო. ხდება ეს იმის გამო, რომ ამათ სენი, რომელსაც მე ვუწოდებ „ბოლშევიტის“, არ განუცდიათ. გასაგებია თუ არა აქვთ მათ მეექვსე გრძნობა, რაც აუცილებლად საჭიროა ბოლშევიზმის შექმნილ ატმოსფეროს გაგებისთვის. სხვებს, უმეტეს წილ საბჭოეთითგან, განცდილი აქვთ ეს ავადობა, ხოლო მათ აკლიათ გონმეტყველური ანალიზი განცდათა. მრავალ ავტორთ საბჭოეთითგან, არ არის საჭირო ისინი დავასახელო, შეეძლოთ გონმეტყველურ აეხსნათ თავიანთი განცდანი, მაგრამ ამათ დასტოვეს საბჭოეთი ჯერ კიდევ იმ დროს, როცა დემონური ფაზა ბოლშევიზმის არ იყო დაწყებული.

კ.ს. — ნება მიბოძეთ, ბატონო გრიგოლ, შეგეკითხოთ, მაშ, თქვენ ფიქრობთ, რომ ორივე გაქვთ, განცდაც და გონმეტყველური განჭვრეტაც?

„კერენსკებმა ვერ შეძლეს „მეფის მითოსი“ შეენაცვლებინათ სხვა მითოსით, ახალით. 1913 წელს შევხვდი კერენსკის. გავაფრთხილე სწორეთ „მეფის“ საკითხში“ (სურათზე: ალექსანდრ კერენსკი, დროებითი მთავრობის უკანასკნელი თავმჯდომარე)

გ.რ. — უთუოდ. ამის საბუთი არის ჩემი რომანი, ამ ოცი წლის წინათ გერმანულ ენაზე გამოცემული „ჩაკლული სული“, საცა, ასე რომ ვთქვათ, მოლეკულარულად არის განხილული თუ რა ემართება ადამიანს ბოლშევისტურ წრეში, სულ ერთია არის იგი ბოლშევიკი თუ არაბოლშევიკი. ალბათ ამით აიხსნება ის ამბავი, რომ ამ რომანში წინასწარ ხილულია შინაარსი ე.წ. საჩვენებელ პროცესთა.

კ.ს. — კარგი იქნებოდა, მოკლეთ მაინც განმარტავდეთ „ბედი ქართლისას“ მკითხველებისათვის თუ რა არის არსი ბოლშევიკური სისტემისა?

გ.რ. — ეს კითხვა გადაიჭრება, თუ გადავჭრით პირველ ყოვლისა ერთ საკითხს, ვინ ბატონობს საბჭოეთში. გაგიკვირდებათ და ყველას გაუკვირდება ჩემი პასუხი: ვინმე, რომელიც არავინაა.

კ.ს. — რას ნიშნავს ეს?

გ.რ. — განმარტებისთვის ერთ საკითხს

„სტალინი სოსო ჯუღაშვილი კი არ არის, არამედ პიროვნული განსახიერება იმ უპიროვნო ძალთა, რომელთაც წარმოშვეს ბოლშევიზმი... საკმაოა ერთი წუთით კვლავ სოსო ჯუღაშვილად იქცეს, რომელსაც იმგვარადვე მოიცილებს ის უპიროვნო ძალა, როგორც სტალინმა მოიცილა თვისი მოწინააღმდეგენი“

დაგიყენებთ. დამისახელეთ, თუ გინდ ერთი პიროვნება, რომელიც თავისუფალი იყვეს საბჭოეთში. არა მარტო არაბოლშევიკურ, არამედ ბოლშევიკურ წრეებშიაც ერთს ვერ დამისახელებთ. მოლოტოვი შეიძლება უფრო ძრწის იქ, ვიდრე უბრალო მოქალაქე. ერთად-ერთი გამოკლება არის მხოლოდ სტალინი, მაგრამ ის სოსო ჯუღაშვილი კი არ არის, არამედ პიროვნული განსახიერება იმ უპიროვნო ძალთა, რომელთაც წარმოშვეს ბოლშევიზმი. მისი სიძლიერე სწორედ იმაშია, უნდა ვთქვა უფრო მეტი, ვიდრე ლენინისა, რომ მან შესძლო გადახტილება უპირ. ძალთა დენაში. საკმაოა ერთი წუთით, ერთი ასე ვსთქვათ, volte face-ით (*მკვეთრი ცვლილება — შეხედულებების, პოლიტიკის და სხვ. — მ.გ.*) ამოვარდეს იგი ამ ხტილთაგან, რომ კვლავ სოსო ჯუღაშვილად იქცეს, რომელსაც იმგვარადვე მოიცილებს ის უპიროვნო ძალა, როგორც სტალინმა მოიცილა თვისი მოწინააღმდეგენი.

კ.ს. — რა არის კონკრეტულად ეს უპიროვნო ძალა?

გ.რ. — ამ საკითხის განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანდა. ვიტყვი მხოლოდ ერთს: სათავე ამისა არის ერთი მხრით „რაციოდ“ გადაგვარება... ძველი სწავლით თუ გონს თესლი აკლია და ისე ჩაეწვეთა მატერიაში, იგი განოყიერების მაგივრად იწვევს უკანასკნელში ვაკუუმს, სიცალიერეს, და ამით ქაოსს. აქ არის ძირები ყოველი ამოხეთქისა, არის ის ომი თუ რევოლუცია. მეორე მხრით, სათავე იმავე მოვლენისა არის დაშლა საკრალური წყობისა, რომელიც ქართველთა გენიამ ერთი სიტყვით გამოხატა იდეაში: ხელ-მწიფება. აი აქ, შვეიცარიაში საცა მე ამ სიტყვებს გეუბნებით, დემოკრატია მტკიცეა და ურყევი, ხოლო ეს მომდინარეობს წმინდა შეფიცვისაგან შვეიცარიელთა „Ruttli Schwur“ (*რიუტლის ფიცი, გერმ. — მ.გ.*). ეს ფიცია ძვალ-რბილი შვეიცარიის დემოკრატიისა.

კ.ს. — რა ემართება ადამიანს, რომელიც მოქცეულია ამ უპიროვნო ძალთა მიერ შექმნილ ატმოსფეროში?

გ.რ. — იგი იხრწნება სულიერად.

ბოლშევიზმის გავლენა სულიერ არსში მეტად რთული მოვლენაა. იგი უფრო ატმოსფერულია, ვიდრე ფიზიკური ხელსახები. ჩემი „Gemordete seele“ (*ჩაკლული სული, გერმ. — მ.გ.*) უმთავრესად ამ ატმოსფეროს

მხატვრული გადმოცემაა. ერთს მაგალითზე შეგვიძლია ნათელვყოთ ამ ატმოსფეროს გავლენა. წარმოიდგინეთ ვინმე მხეცად ქცეულმა ვაჟმა ძალა იხმარა ქალწულზე, რომელსაც თავის სიქალწულე საკრალურად მიაჩნია. წმინდათა-წმინდა უკანასკნელისა სამუდამოდ შელახულია, ხოლო სიცოცხლე მისი თავის გზით მიდის მაინც. პატივაყრილი ქალწულის ქვეშეცნეულ ფენებში თავს იჩენს დროდადრო ერთი მეტად საიდუმლო და თან საგულისხმო პროცესი. ქალწულს უელვებს ხანდახან ფიქრი: შესაძლოა სასწაული მოხდეს და მან კიდევაც შეიყვაროს პატივამყრელი. მაშინ? მაშინ მომხდარი თითქო არ მომხდარა, ქალწული აღარ იტანჯვის. იგი უახლოვდება თავის პატივამყრელს: დღითიდღე თანდათან, თითქმის უნებლიედ. უახლოვდება, რადგან მოწადინებულია მასში რამე დადებითი ნახოს. ნახავს ასეთ რამეს, თუ გინდ სულ მცირეს, იგი აზვიადებს მას უზომოდ. პატივამყრელი რასაკვირველია უცვლელი რჩება, ქალწულს ხანდახან ეჭვიც ეპარება დაახლოვებაში. ხოლო უკან დახევა მისთვის უკვე ძნელია. იგი განაგრძობს ერთხელ აღებულ გზას და ვერ ხედავს, რომ ყოველი მის მიერ გადადგმული ნაბიჯი დასაახლოვებლად მხოლოდ უფსკრულისკენ მიაქანებს მას. მისი არსი ორდება, მისი თვითების მთლიანობა ირღვევა. იგი ასე ვთქვათ, გულწრფელია თავის ქცევაში ყოველ წამს, ხოლო არცერთს წამს ნამდვილ, ვინაიდან მეობა მისი გაბზარულია შინაგან.

საბჭოეთის მოქალაქე, არაბოლშევიკი ასეთს ქალწულს გვაგონებს. იგიც გაბზარულია და გაორებული და როგორც ასეთი, გულწრფელი და არანამდვილი (სენსერ, მე პა ვრე) ერთსა და იმავე დროს. „საჩვენებ. პროცესები“ მავნებელთა თუ განხრილთა, ასე გავრცელებულნი საბჭოეთში, ადასტურებენ მხოლოდ ამას. საოცარი და საცნაური ამ პროცესებისა აქ მარხია. ეს გაფიქრებული ქალწული ვერასოდეს იქცევა „ნამდვილად“, ესე იგი ვერასოდეს მიაღწევს სიყვარულს გამაუპატიურებელთან. მოკლედ მოვსჭრი: ვერ იქცევა „სხვად“.

კ.ს. — საკლე ხომ იქცა სხვად: პავლედ?

გ.რ. — ეს მაგალითი აქ მოსატანი არაა. საკლე იქცა პავლედ „Supra-Humain“-ის (*ზეადამიანური, ფრანგ. — მ.გ.*) მიმართ. ეს მეტაფიზიური ქცევა აზრია ადამიანის ბუნებისა, რომლის ფესვი მეტაფიზიურ არეშია.

„რიუტლის ფიცი“ შვეიცარიის ეროვნული მითია. სამი კომუნის — ურის, შვიცისა და უნგტერვალდენის (შვეიცარიის თავდაპირველი კანტონები) წარმომადგენლებმა რიუტლის მდელოზე ერთმანეთს ურთიერთდახმარება და მხარდაჭერა შეჰფიცეს. ამ კავშირს ხალხი შვეიცარიის კავშირის საძირკვლად მიიჩნევს. ისტორიული თვალსაზრისით, შვეიცარიის შექმნის მომენტად მიჩნეულია 1291 წელს სამოკავშირეო წიგნის ხელმოწერა.
(სურათზე: „სამი შვეიცარიელი ფიცს დებს რიუტლიში“, იოჰან ჰაინრიხ ფიუსლი, 1780 წ.)

აქ კი, საცა ადამიანი ბოლშევიკური ხაზით იხრება, სუფევს „Infra Humain“ (*ქვენა, შლეგური, ფრანგ. — გ.მ.*) გამანადგურებელი თვითონ ადამიანური თვითებისა. ადამიანი აქ ძირს ეშვება, ღალატობს თავის თავს. ხოლო ამ ღალატის თავის თავისა ბოლომდე გაყვანა შეუძლებელია. რა გინდ წარხდეს ადამიანი, მასში მაინც რჩება ნაბერწკალი მისი ღვთიური ცეცხლისა. ახლა აიღეთ საბჭოეთის ადამიანი, მასში შეჭრილია ბოლშევისტური

ელემენტი, ხოლო ისე, რომ ამ ელემენტს ვერც შეუნთქავს მისი ადამიანური ელემენტი და ვერც განუდევნია იგი. გრაფიულად ასეთი ადამიანი წააგავს არაბულ ციფრს „8“. ერთი ნახევარი ამ ციფრისა ბოლშევისტური ელემენტია, მეორე კი ადამიანური. ამ ორ ელემენტთა შორის განუწყვეტელი ბრძოლაა გამართული. ხშირად პირველი ერევა მეორეს — გარნა მომრევი ვერ ადგენს მთლიანობას. გამოვთქვათ ესეც გრაფიულად: პირველი ელემენტი ვერ იქცევა წრედ: „0“. იქ რჩება კიდევ „8“-ის მეორე ნახევარი თუ გინდ სულ პაწა მაჭიკი შეიწროებული და მიმჭნარი. აქაა მოქცეული გაორება საბჭოელ ადამიანისა. აწვალებდა მას თავში შემოჭრილი ელემენტი — ეხლა მას აწუხებს თავის საკუთარი, რომელიც ერთ წუთსაც არ უთმობს უცხოს. მას აჯავრებს ეს და გაჰკივის ისტერიულად. მე უკვე გარდაქმნილი ვარო. გაჰკივის, რომ ამ კივილით ჩააჩუმოს ნელი, მაგრამ ულმობელი ხმა მიჩქმალულისა. „ეს არ იქნებაო“. ასეთს ყოფაში ადამიანი ყოველ წუთს გულწრფელია, ხოლო არცერთ წუთს ნამდვილი: „გულწრფელი“, თუ მას „8“-ის პირველ ნახევარში ვხედავთ — „არნამდვილი“, თუ მის მეორე დაკნინებულ ნახევარში ვუცქერთ. „სენსერ, მე პა ვრე“ — ვიმეორებ ფორმულას. ხმა იგი — „არ იქნებაო“ — ბნელ ძალთა მატარებელთაც ესმით. აქეთგან ორი რამ, ერთი: მათ არ სჯერათ ბოლომდე აღსარება „მოქცეულთა“ — მეფობს უნდობლობა. მეორე: იგინივე ქვეშეცნეულ გრძნობენ, რომ საქმეს ბოლომდე ვერ გაიყვანენ — მეფობს შიში. აი ავადობა „ბოლშევიტის“. ამ ავადობისგან არ არიან თავისუფალნი თვითონ ბოლშევიკებიც. ამას ნათელჰყოფენ საჩვენებელი პროცესები. ეხლა ნათელია მგონია ჩემი ფორმულა: საბჭოეთში ბატონობს ვინმე, რომელიც არავინაა. სახელი მისი არის ლევიათან.

აი, შედეგი, როცა ადამიანი დემონურ ძალებთან შეგუებაში დათმობის გზას ირჩევს.

კ.ს. — ბატონო გრიგოლ, არ შეიძლება ერთი მაგალითი მოგვიყვანოთ ამგვარი დათმობისა?

გ.რ. — ავიღოთ მაგალითად რომანი კონსტანტინე გამსახურდიასი „დიდ ოსტატ კონსტანტინეს მარჯვენა“. ეს რომანი ლიტერატურულად გაცილებით უკეთესია, ვიდრე მისივე „დიონისეს ღიმილი“ — ყოველ მხრით. შევეხოთ ახლა „დათმობას“. რომანში გამოყვანილია ერთი ფეოდალი, მეფის მოწინააღმდეგე, რომელი აგრეთვე ეკლესიასაც ებრძვის. რადგან განხრილია წარმართობისაკენ — (და ეს მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს). მეფეს უნდა თავითგან „მოიცილოს“ იგი, ეკლესიას ჰსურს მოიგოს მისი გული.

იმართება შეხლა-შემოხლა. ფეოდალი იძულებული ხდება, ერთხელ „სვეტი ცხოველი“-ს სასწაულმოქმედ ხატს ეამბოროს, შინაგან „უგულოდ“ რასაკვირველია. რამოდენიმე წუთის შემდეგ იგი კვდება. ხალხს ჰგონია, ხატმა „უწია“ რჯულის უარისმყოფელსო. ხოლო აქ სხვა რამეცაა. ფეოდალის უეცარი სიკვდილი იწვევს ათასგვარ მითქმა-მოთქმას. საქმე იქამდეც მიდის, რომ ხატსაც სინჯავენ. მოჰყავთ ერთი ჯიშიანი ძაღლი, რომელმაც ხატი ენით უნდა ალოკოს. ალოკვის შემდეგ ძაღლიც კვდება წამსავე. ირკვევა: თურმე ერთს აგენტს მეფისა მოუწამლავს ხატი რაღაც სითხით. შინაგანი მიმართება ამ ადგილისა აშკარაა. 1. მეფე „გაბითურებულია“ — რაა ის მეფე, რომელიც მოწინააღმდეგის მოსაცილებლად ასეთს საშუალებას მიმართავს. 2. „გაბითურებულია“ ხატიც — რაა ის სათაყვანო ხატი, რომელსაც ასე ექცევიან და ასე იყენებენ? ბოლშევიკები, რასაკვირველია გაიხარებდნენ, როცა რომანის ამ ადგილს წაიკითხავდნენ. ხოლო ქართველნი? ყოველ ქართველს, ნამდვილ ქართველს, ეს სცენა ისარივით მოხვდებოდა და მოხვდება გულში. შესაძლოა რომელიმე ქართველი მეფე ვერ იდგა მეფურ სიმაღლეზე: ამის მაგალითებსაც ვხედავთ საქართველოს ისტორიაში, ხოლო აქ მალულად თითქოს სუნთქვით თვითონ „ხელმწიფების“ იდეაც არის გაკაწრული. ის იდეა, რომლითაც გამართულია „ცხოვრებაი ქართლისაი“. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. თავი და თავი აქ ხატის შელახვაა. „სვეტი ცხოველი“ საკრალური შუაგულია საქართველოს ისტორიისა და მისი ხატი სიმბოლური სახე ამ შუაგულის. მცხეთის ახლო ერთს გორაკზე, რომელსაც „მოგვთაის“ უხმობდნენ, ძველად მოგვნი მზესა და ცეცხლს თაყვანსა სცემდენ: მცხეთის გვერდით ეგულვებოდათ კარდჰუს საფლავი. მცხეთაში მივიღეთ ჩვენ ქრისტეს სჯული მეოთხე საუკუნის პირველ მესამედში. აქ გამოსჭრა წმინდა ნინომ ჯვარი, რომელსაც თავის თმები მოახვია. უნივერსალური სიმბოლო მთელს საქრისტიანოში. მცხეთა უძველესი დედა ქალაქი იყო საქართველოსი. მის წიაღში განისვენებენ მეფენი და მთავარნი. არა არს შემთხვევითი ამბავი, თუ აქ აგებულ ტაძარს „სვეტი ცხოველი“ დაერქვა. გასაგებია ისიც, რომ ქართველთა განცდაში და შეგნებაში ამ „სვეტის გარდამქმნელი ძალა „გასაგნდა“, როგორც სასწაულმოქმედი ხატი, და აი, გამსახურდიას რომანში ეს ხატია შეგინებული. რელიგიური კულტი რომ განზე დავტოვოთ — ეს „შეგინება“ ფსიქოლოგიურად მაინც ქეძაფივით მწველია. ეს არის ერთი მოკლე ეპიზოდი რომანში, გარნა ვიცით, ხშირად ერთს წვეთს საწამლავისა შეუძლია მოსწამლოს მთელი წყარო. აი სადამდე მისულა გამსახურდიას „დათმობა“. იმ გამსახურდიასი, რომელიც ერთ დროს მისტიკოსად და მორწმუნედ თვლიდა თავის თავს. ამ „დათმობით“ მოსწამლა მან არა მხოლოდ თავის წიგნი, არამედ თავის თავიც. საბჭოეთის ატმოსფეროში რომ არ ეცხოვრა, ამ „დათმობას“ იგი არ დაუშვებდა და ვერც დაუშვებდა. თავი და თავი აქ ესაა. ეს დათმობა ხდის ადამიანს საბჭოეთში ზემოხსენებულ 8-ად. ეს არის მთავარი ხტილი საბჭოთა ხტილის ადამიანის ფსიხიკისა. თუ ეს ვერ გაიგეს, მაშინ ყოველგვარი ცდა „ფსიქოლოგიურ ომში“ საერთო ენის მონახვისა საბჭოელ კაცთან თუ ხალხთან, წინდაწინვე განწირულია. განწირულია ასეთი ცდა ყველასი. ქართული ემიგრაციისა, ყოველი არა ქართული ემიგრაციისა, ევროპისა და თვით ამერიკისაც.

* * *

ხანგრძლივი საუბარი მქონდა ბატონ გრიგოლთან მასთან სტუმრობის დროს ბევრ მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე. ზოგ ჩემთვის საინტერესო კითხვებზე მისგან გარკვე-

კრებული „გრიგოლ რობაქიძე“ (მიუნხენი, 1984 წელი. კარლო ინასარიძის გამოცემა)



ბოლშევიზმი დღესაც ცოცხალია...



გრიგოლ რობაქიძე

ული და კონკრეტული პასუხი არ მიმიღია. ეს გასაგებიცაა, რადგან გრიგოლ რობაქიძე პოლიტიკური მოღვაწე არ არის და პოლიტიკურ საქმიანობაში არ ერევა.

შესაძლოა განძრახ არ უპასუხნია. მისი სიტყვით პასუხიც ხანდისხან თავის დროს ითხოვს. ხოლო ეს ორიგინალური აზრები, რომლებიც მან გამოსთქვა, ის ღრმა და იშვიათი ანალიზი მოვლენათა, რომელიც მან გააკეთა, უაღრესად მნიშვნელოვანია, რასაც მკითხველიც დაინახავს.

საჭიროდ მიმაჩნია გასაკუთრებით აღვნიშნო შემდეგი. ბევრი გამოკვლევები წამიკითხავს ბოლშევიზმზე, ბევრი მიფიქრია ამ მოვლენის ირგვლივ, მაგრამ ასეთი დახასიათება და გაგება, როგორიც ბატონი გრიგოლისგან მოვისმინე, არსად არ შემხვედრია. ღრმა ანალიზით გადამიშალა მან ქვაფენილი შინაარსი ბოლშევისტური სისტემისა და თანვე უაღრესად რთული, წინააღმდეგობებით სავსე სული „საბჭოური ადამიანისა“.

ინტერვიუ დამთავრდა. გაუთავებელი კითხვებით დავღალე ჩვენი დიდი მგოსანი. ვის მოსწყინდება მასთან საუბარი და მოსმენა მისი ცეცხლით და იმედით ანთებული სიტყვებისა? დღესაც მესმის ყურში მისი ხმა, შინაგან შემარხეველი: გახსოვდეთ ყოველ წუთს რაც მოგახსენეთ შესახებ ხალხისა, იგი ცოცხალი არსია ზეპიროვნული ბუნებისა. ყოველი ცალკეული — იყვეს იგი მოაზრე თუ მწერალი თუ პოლიტიკოსი — განსაკუთრებულ კვანძში არის ამ არსთან მოქცეული. გაწყდება ეს კვანძი — მაშვინ უთესლო და უნაყოფო იქნება ყოველი აქტი. აზროვნებაში თუ მწერლობაში, თუ პოლიტიკაში. ამ კვანძის გაწყვეტით იწყება შინაგანი გადაგვარება, გადაშენება ხალხისა, იყვეს უკანასკნელი რიცხვით თუ გინდ ასი მილიონი. 1917 წელს ტფილისში გამართულ „ეროვნულ ყრილობაზე“ სწორედ ეს კვანძი იყო მოქმედი და შემოქმედი. ქართულ პოლიტიკურ დარაზმულობათ უნდა ახსოვდეს ეს. ცოცხლდება მათში კვანძი იგი — მაშვინ კვანძი — მაშვინ მათ შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა არ იქცევა გამთიშავ უთანხმოებად. არ ცოცხლდება — მაშვინ საქმე ქართული წყალწაღებულად უნდა ჩაითვალოს.

იმედი მაქვს, არ მოხდება უკანასკნელი.

25.02.1953 წ.

მოამზადა მანანა გაბრიჭიძემ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲔᲤᲔ, ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

„ᲒᲔᲚᲐᲗᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 11 ᲓᲐ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ 12 ᲛᲔᲤᲔ ᲒᲐᲜᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲡ“

თამარის საფლავის ადგილმდებარეობის შესახებ კამათი კიდევ ერთხელ განახლდა ინგუშეთის მთიანეთში უძველესი გამოქვაბულის აღმოჩენის შემდეგ, რომელიც მდინარე ასას ხეობაში მეწყრის ჩამოწოლის შემდეგ გამოჩნდა. ინგუშ არქეოლოგთა მტკიცებით, სამარხი ქართული წარმომავლობისაა: გაწმენდის სამუშაოებისას მიაკვლიეს გამოქვაბულს, რომლის შესასვლელშიც განლაგებულია მასიური ქვები ქართული წარწერებით. ყველაფერი მიუთითებს, რომ აქ დიდგვაროვანია დაკრძალული. თუმცა არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური კვლევების გარეშე დადასტურებულად რამის თქმა შეუძლებელია.

ხალხური გადმოცემები, რომ თამარი ამა თუ იმ ადგილას არის დაკრძალული, არსებობს როგორც საქართველოში, ისე ჩრდილოეთ კავკასიაში. როგორც საქართველოს ყველა კუთხეში ეძებენ საფლავს, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაშიც რამდენიმე ადგილს მიუთითებენ, სადაც თითქოს თამარია დაკრძალული. ეს გადმოცემები გვიანდელ ლეგენდებს უკავშირდება და მათზე დაყრდნობით ძნელია თქმა, სად არის საქართველოს მეფის ძვალშესალაგი.

ჩრდილოეთი კავკასია თამარის დროს საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული გავლენის სფეროში შემოდიოდა. ბუნებრივია, ლეგენდების წარმოშობას ამ გარემოებამაც შეუწყო ხელი. ყოველ შემთხვევაში, ინგუშეთში XI-XIII საუკუნეების რამდენიმე მართლმადიდებლური ტაძარია აღმოჩენილი, მათ შორის ქართული ლაპიდარული წარწერებით.

თამარის საფლავს უჩვეულო ბედისწერა დაჰყვა. მეფექალის თანამედროვე ისტორიკოსებიდან მოყოლებული, თითქმის ყველა მემატიანე, XVIII საუკუნის ჩათვლით, ერთგულია იმ აზრისა, რომ თამარი გელათშია დაკრძალული. თუმცა ქართველ საზოგადოებას კვლავინდებურად ხალხური გადმოცემების უფრო სჯერა. ჩნდება კითხვა, — ნუთუ რამე სიმართლე შეიძლება ამ გადმოცემებში იმალებოდეს?

აშკარაა, რომ ეს გადმოცემები უნდა შექმნილიყო თამარის გარდაცვალებიდან კარგა ხნის შემდეგ. თამარ მეფის ეპოქაში საქართველო კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს ქვეყანას წარმოადგენდა და მისი ხელმწიფის ნეშტის გადამალვა აზრად არავის მოუვიდოდა, ამის აუცილებლობაც არ იარსებებდა. XIII საუკუნის II ნახევარში ყველამ იცოდა, სად განისვენებდა თამარ მეფე. გვიან შუა საუკუნეებში კი, როცა საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა და გახშირდა მტერთა შემოსევები, შესაძლებელია (ჩვენ ამ მოსაზრებას ერთ-ერთ ვარიანტად



მდინარის ხეობაში მეწყრის ჩამოწოლის შედეგად უძველესი გამოქვაბული გამოჩნდა. მის შესასვლელში განლაგებულია მასიური ქვები ქართული წარწერებით. ყველაფერი მიუთითებს, რომ აქ დიდგვაროვანია დაკრძალული

თამარ მეფის საკარაულო ფრესკა მისსავე სახელობის ეკვტერში. გელათი

ვტოვებთ), ბერებს თამარის ნეშტი მართლაც გადაემალათ. ამან კი ლეგენდების გაჩენას მისცა დასაბამი.

ჩვენს წერილობით წყაროებში პირდაპირ არის მითითებული თამარის დაკრძალვის ადგილი. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ მოგვითხრობს: „და წარიყვანეს სამკვიდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა“. „ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისა“ აღნიშნავს: „მაშინ უკუე აღმოიყვანეს და მცირეთა შინა დღეთა მცხეთად დადვეს, და მერმე უკანასკნელ თვით მუნვე გელათს დაამკვიდრეს თვისსა შინა სამარხოსა“. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე კი ამბობს: „დამარხეს ახალსა მონასტერსა, გელათს“. ამ წყაროთა ავტორები შესაძლოა თამარის დაკრძალვასაც ესწრებოდნენ. ჩვენ გვაქვს არაპირდაპირი ცნობა, რომ თამარის საფლავი მისი გარდაცვალებიდან 70 წლის შემდეგაც გელათშია. კიდევ არსებობს მეტად საინტერესო დოკუმენტი — 1260-1267 წლებში შედგენილი ლიხთ-იმერთა მეფე დავით ნარინის მეუღლის მიერ გელათის მონასტრისთვის შეწირული სიგელი, სადაც ნათქვამია, რომ ამ დროს უკვე ცნობილი იყო გელათში თამარის საფლავის არსებობის შესახებ და მას მწირველიც ჰყავს მიჩენილი — ილარიონ ფავნელი, დავით ნარინის გამზრდელი.

ლეგენდა, თითქოსდა ლაშა-გიორგიმ, ანდერძის თანახმად, დედა იერუსალიმში დაკრძალა, ეფუძნება ჯვაროსანი რაინდის არაპირდაპირ ცნობას, რომლის მიხედვითაც, იერუსალიმისკენ მოემართება თამარის ვაჟი, რომელსაც დედის ნეშტი მოაქვსო. მაგრამ ლაშა-გიორგისა და ქართველთა ამალას იერუსალიმამდე რამდენიმე მაშინდელი პოლიტიკური ერთეულის ტერიტორიაზე უნდა გაევლო, ეს კი არავითარი წყაროთი არ დასტურდება. არის სხვა გარემოებაც: დანამდვილებით ცნობილია, რომ ლაშა-გიორგი იერუსალიმში არ გამგზავრებულა.

თამარ მეფის საფლავის (და საერთოდ, ქართველ მეფეთა საფლავების ადგილმდებარეობის) დადგენა, ვფიქრობ, უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით უნდა მოხდეს. წმინდა სინოდმა უნდა შექმნას ჯგუფი, რომელშიც შევლენ ისტორიკოსები, არქეოლოგები და სხვა სპეციალისტები, რომლებიც გახსნიან გელათის მეფეთა საძვალეს. გელათში ერთიანი საქართველოს 11 მეფე, იმერეთისა კი 12 მეფე განისვენებს. სამწუხაროდ, რამდენიმეს გარდა, მათი საფლავების ზუსტი ადგილი უცნობია.

ჩვენ უნდა გავაკეთოთ არჩევანი, რა უფრო მნიშვნელოვანია — დაკარგულად მივიჩნიოთ ჩვენი მეფეების საფლავები, დავიკრიფოთ ხელები და ვთქვათ, დაკარგულიაო, თუ ვიცოდეთ, სად განისვენებენ ისინი და პატივი მივაგოთ.

ჯაგა სამუშია

საქართველოს გეოგრაფიულ რუკაზე თამარწმინდა გაჩნდა!

მამა ადამი შინდისის მშენებარე ტაძართან

მამა ადამი: დღევანდელი დღე ისტორიის ისეთივე ნანილია, ოოგორიც ჩვენი ნარსული

„ისტორიანის“ სტუმარია არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე) — მეცნიერი, ფილოსოფოსი, ექიმი, პოეტი, ტაძრის წინამძღვარი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მისი სტუდენტებისა და მრევლისთვის კი უბრალოდ, მამა ადამი. მას ახლახან მიენიჭა ვარშავის უნივერსიტეტის წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის საერთაშორისო პრემია — ქართული ორიგინალური სასულიერო პოეზიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. პრემია 2010 წელს დააარსა ვარშავის უნივერსიტეტის ქართველოლოგიურმა ჟურნალმა „პრო გეორგიამ“ და იგი ორ წელიწადში ერთხელ გაიცემა.



საკმევლის თეთრი ნისლი ოოდა
ერევა ღრუბლებს,
მიეპბა და ტოდებს მიუნვდომლებს,
ბანების რეკვებს
სისხლია ვიხაფავ... თვალია ალგეის
გაკუკურეს ძუ მგლებს
და ფეკვილებია მოველი ნუკრის –
ხარების ლოცვებს!

მამა ადამი

— ლექსის ამ ფრაგმენტის (იხ. ფოტო მარცხნივ) თქვენეულ ხელმოწერაში პირველი ასონიშანი ასომთავრულით წერია...

— როდესაც საბერო აღკვეცით მეწოდა წმინდა მამამთავრის სახელი, დავფიქრდი, როგორ მოვაწერდი ხელს... ასე გაჩნდა ქართული ასომთავრული „ანისა“ და ჯვრის შერწყმული გამოსახულება, რომელიც ჩემი ბერული ცხოვრების გრაფიკულ ატრიბუტად იქცა. ჩემს ცხოვრებისეულ სამეულზე კი ალბათ, ასე ვიტყოდი: ღმერთი-სიტყვა, სამშობლო, მოყვასი... ამ საკრალური სამეულის ერთგვარი ინტეგრალია ლექსიც.

— რა იცით თქვენი გვარის წარმოშობაზე?

მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის თავდადება

საკუთარ თავს სულთა მწყემსს უწოდებდა. მღვდლის ოჯახში გაზრდილს სხვა გზაზე არც უფიქრია. სრულიად ახალგაზრდა გრიგოლი უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ, ივანე ჯავახიშვილმა და კორნელი კეკელიძემ გერმანელი მწერლის, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელის, არტურ ლაისტის დახმარებით 1921 წელს ბერლინის უნივერსიტეტში გაგზავნეს თეოლოგიური განათლების მისაღებად. შემდეგ იყო ბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, სადაც დოქტორის ხარისხი მიიღო საქართველოს მონასტრებზე დაწერილი ნაშრომისთვის. უმოკლეს დროში თორმეტი ენა შეისწავლა, მათ შორის ძველებრაული, ძველბერძნული, ძველსომხური, ძველსლავური და ლათინური.

ის დრო იყო, როცა საბჭოთა საქართველოში დაბრუნებაზე ფიქრიც კი გაძნელებოდათ უცხოეთში მყოფ ქართველთ. გრიგოლი ერთხანს დიდ ბრიტანეთში მუშაობდა უძველეს ხელნაწერებსა და ისტორიულ მასალებზე. მოგვიანებით ბონში მიიწვიეს ლექციების წასაკითხად, შემდგომ — ოქსფორდში.

1930 წელს, შობის დღეებში უმძიმესად დაავადებულს უხილავს, უფალს უნდა მიუძღვნა თავიო და სულ მალე ლონდონის წმინდა სოფიის ბერძნულ საკათედრო ტაძარში ბერად აღიკვეცა. მალე დიაკვნად ეკურთხა და მაისში უკვე პარიზში, მღვდლად ხელდასხმულს წინამძღვრად ამწესებენ მისივე დაარსებულ წმინდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაში. აქვე გამოსცემდა საეკლესიო ჟურნალს „ჯვარი ვაზისა“. მამა გრიგოლის მიერ შედგენილი ქართული ეკლესიის წესის მიხედვით, პარიზის ქართულ ტაძარში მხოლოდ ქართველ მღვდელმსახურებს უნდა ეწირათ და ექადაგათ და მხოლოდ ქართულ ენაზე.

ევროპის სამეცნიერო ცენტრებში საქართველოზე კითხულობდა ლექციებს, მუზეუმებსა თუ ბიბლიოთეკებში ქართულ ხელნაწერებსა და წყაროებს მოიძიებდა. საქართველოში კი თითქმის არავინ არაფერი იცოდა მისი ერისა და ღვთისკაცობის შესახებ. როცა მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტებმა შეიტყვეს, საფრანგეთის ერთ-ერთ ბანკში ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოს ძვირფას საგანძურს ინახავსო, ამ ქონების შემფასებლად გრიგოლ ფერაძე მიიწვიეს. მამა გრიგოლი თვით სიკვდილით დასჯის საფრთხესაც არ შეუშინდა და მტერს განუცხადა, ბანკში განთავსებული ნივთები მხოლოდ ეროვნული თვალსაზრისითაა ქართველთათვის მნიშვნელოვანი, თორემ სხვაგვარად მათ არანაირი ღირებულება არ გააჩნიათო და ასე გადაარჩინა ფასდაუდებელი საგანძური.

ერთხელ კი გადაურჩა ფაშისტებს, მაგრამ მეორედ ვეღარ... მამა გრიგოლი ომის წლებში გერმანელთაგან დევნილ ებრაელებს იფარებდა და ლუკმას უყოფდა. გაუგეს და ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში ჩასვეს. ამ ბანაკის სასწაულებრივად გადარჩენილი ტყვეები ომის შემდგომ იხსენებდნენ დაუჯერებელ ამბავს. მამა გრიგოლის გვერდით თურმე ერთი მრავალშვილიანი ებრაელი ყოფილა, რომლის სასჯელი თავის თავზე აუღია და გაზის კამერაშიც მის მაგივრად შესულა.

1995 წელს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა გრიგოლ ფერაძე წმინდანად შერაცხა და ქრისტიანობის, სამშობლოსა და მოყვასისთვის თავგანწირულს მღვდელმოწამე გრიგოლი უწოდა.

მამა გრიგოლ ფერაძე

ლიტურგიაზე ვარშავის წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის ეკლესიაში

როგორ „ასწავლით“ თქვენს მრევლს, სტუდენტებს, თქვენ გარშემო მყოფთ წინაპართადმი დამოკიდებულებას...

— ჩვენი გვარი სათავეს ისტორიული მესხეთიდან იღებს. წერილობითი წყარო, რომელშიც მოხსენიებულია „მონაზონი საბა, ყოფილი სტეფანე, ახალასძე“, აგრეთვე ახალაძე იოსები, XI საუკუნეს განეკუთვნება. იგი ხელნაწერთა ცენტრშია დაცული. მესხეთიდან ახალაძეები მოგვიანებით გურიაში გადასულან. საგვარეულო სალოცავი, წმინდა გიორგის სახელობისა, კოხნარსა და საჭამიასერს შორის აუშენებიათ. გასული საუკუნის 80-იან წლებში ჯერ კიდევ იკრიბებოდნენ თურმე წელიწადში ერთხელ საგვარეულო გიორგობის დღესასწაულზე, თუმცა ეს ტაძარი კომუნისტებმა დაანგრიეს. გადარჩენილია ტაძრის ხატი, რომელიც ხელოვნების მუზეუმის საგანძურში ინახება. ბაბუაჩემის ბაბუა კი გურიიდან გოჩა-ჯიხაიშში გადასულა საცხოვრებლად. დღეს ახალაძეები ცხოვრობენ ბათუმში, თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, თერჯოლის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ხონის, წყალტუბოს, ოზურგეთის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების სოფლებში.

რაც შეეხება დედულეთს... დედაჩემი — სამონოზვნე ანასტასია, ერში ნუნუ (ნინო) იასონის ასული თევზაძე, სასულიერო პირთა შთამომავალი და ნათესავი იყო. ბებოჩემი ჩხიკვაძის ქალი გახლდათ ბაღდათის რაიონის სოფელ ობჩიდან, ხოლო ბაბუა იასონი წიაღობნელი თევზაძე გახლდათ, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ქუთაისში, დახვრიტეს 1937 წელს. ობჩის ეკლესიების წინამძღვრები დეკანოზი ბასილი და დეკანოზი ირაკლი ბებოჩემის — ოლდა ჩხიკვაძის ბიძები იყვნენ, ასევე ბიძა იყო (ვენახებიც გვერდიგვერდ ჰქონდათ გაშენებული — ასე შემორჩა ჩემს მეხსიერებასაც) ობჩის სკოლის დირექტორიც კონსტანტინე (კოწია) ჩხიკვაძე — არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკის მფლობელი და მეტად განათლებული ადამიანი. მისმა ინტელექტუალურმა მემკვიდრეობამ — წიგნებმა, პირადმა გამოცდილებამ, ანტისაბჭოთა და დისიდენტურმა განწყობა-შეხედულებებმა ღრმა კვალი დაამჩნია ჩემს სულს... ჩემს პოეზიაში ყოველთვის გამოკრთებიან წინაპართა სილუეტები. ზოგჯერ ხორცსაც შეისხამენ და ჩემს მკითხველს ესაუბრებიან ცოდვა-მადლის განკითხვაზე, სიყვარულზე, კაცურკაცობაზე...

— რა განცდაა, როცა რომელიმე მრევლთაგანი (თუნდაც ასაკით უფროსი) მოგმართავთ: „დამლოცე, მამაო“. ალბათ ღირს ამისთვის სიცოცხლე...

— ჩემი აზრით, სიცოცხლე უფრო მეტად სხვა რამისთვის ღირს — როდესაც სხვაგვარად არ ძალგიძს!!! შეიძლება ვერ იცხოვრო წმინდა მამა ვიტალივით, არ ეყოს შენი კაცობა ამას, შენი სულიერება, სიყვარული თუ გულწრფელობა... ვერც წმინდანებივით — ალექსი შუშანიასა ან იოან სერგიევივით... ალბათ, არც მხოლოდ ხელზე მთხვევით, არც მხოლოდ დალოცვით, არც აღსარების მოსმენითა და შენდობის ლოცვის წაკითხვით, არც ბევრი სხვა რამით, მით უმეტეს, ქცევით ან სიტყვის წარმოთქმით არ გამოიხატება ის, რისთვისაც ღირს სიცოცხლე. იგი, ჩემო საყვარელნო და საცხოვნებელნო, რაღა თქმა და გაცხადება უნდა, ჩვეულებრივ თვალთაგან დაფარული მისტიკური, საიდუმლოებრივი რამაა...

— როგორ მიხვედით ბერად აღკვეცის დღემდე?

— რთულად, ძნელიად. ამას ჩემი ცხოვრების 42 წელიწადი დასჭირდა და კიდევ 42 რომ სჭირდებოდეს ახლა, სულ თავიდან რომ მიხდებოდეს ყველაფრის დაწყება, სხვას არაფერს ვისურვებდი. ოღონდაც, ღმერთმა არ განმაგდოს!

— მშობლიურ ბათუმს როგორ გაიხსენებთ?

— ბოლო გამოცდა ჩავაბარე თუ არა სიმწიფის ატესტატზე, იმ დღესვე გამოვემგზავრე თბილისში, რომ დარჩენილ მცირე დროში მომესწრო მისაღები გამოცდებისთვის მომზადება... მალე სტუდენტი გავხდი. ასე დამთავრდა ჩემი ცხოვრების ბათუმური ხანა. მას შემდეგ გადაბმულად ერთი თვეც არ მიცხოვრია მშობლიურ ქალაქში. თუმცა, როგორც მკითხველი ხვდება, იქ გატარებულმა ბავშვობამ და ყრმობამ წვიმის წყალთან ერთად შეისრუტეს იმდენი ბათუმური სევდა და სიხარული, მზეც და ჰაერიც, რომ ვწურავ ჩემი ბავშვობის ტანსაცმელს და დღემდე ვერ გავწურე ისე, რომ გასაშრობად გავკიდო...

— „ღრუბლების სითეთრეში, კენწეროების სიმწვანის მიღმა, ანუ დაბადების დღეს გილოცავ, დე!“ — ასე ერქვა თქვენს ლიტერატურულ-მუსიკალურ პერფორმანსს,

აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკში მოწყვეტილთა პირველი პანაშვიდი (პოლონეთი, ოსვენციმი)



მამა ადამის პოეტური კრებული

თქვენივე მონაწილეობით, რომელიც მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში ვიხილეთ და რომელიც ასე მოუხდა სცენას. თქვენი ლექსების „გმირებად“ იქცნენ მსახიობები და ბახის, მოცარტის, შოპენის მუსიკაც. მგონია, რომ იმ საღამოს ბოლომდე დაიხარჯეთ...

— არა! ვერ დავიხარჯე! ღვთის მადლით, ბევრის გაკეთების სურვილი მაქვს. როცა რაიმე გეხარჯება — ჩერდები. სიხარულით მოვამზადებდი კიდევ ერთ პერფომანსულ პროექტს სამშობლოს სიყვარულზე! დიდ სცენაზე. სცენოგრაფიაზეც მიფიქრია. უკვე მქონდა მცდელობებიც, მაგრამ ჯერჯერობით — გაგრძელების გარეშე, ალბათ, ცოტა ვიჩქარე, დროც არ მაქვს თავზე საყრელად. იქნებ შემოდგომაზე?! ვნახოთ!

დედაშვილობა ფაქიზი თემაა, მით უმეტეს, ბერისთვის. რა მიზანს ისახავდა ჩვენი პერფორმანსი? ჩემს ადგილას უნდა წარმოედგინა თავი მაყურებელს და სურვილი გასჩენოდა, დედისთვის სიყვარულით სავსე სიტყვები ეთქვა, ვიდრე ამის საშუალება აქვს... რა თქმა უნდა, ეს არ იყო ჩვეულებრივი მიძღვნა ერთი შვილისა დედისადმი. პერფორმანსის გმირი მხატვრულ პერსონაჟად ვაქციე და ყველაფერი განზოგადდა.

— „გვახარებდა პიანინოზე შემოწყობილი ნიჟარები / ნოტების გვერდით. / ისინი ახლაც ქათქათა ბავშვობას, უნახავ ზღვას / და ნამდვილ ბანანებს მოგვაგონებენ, / აფრიკიდან რომ ჩამოგვიტანა მამამ — მეზღვაურმა“. „უნახავ ზღვაში“ რას გულისხმობთ, ზღვის სიღრმეში შეჭრის სურვილს ხომ არა? და კიდევ, მამა მართლა მეზღვაური იყო თუ ეს მხოლოდ პოეტური სამკაულია?

— უნახავი ის ზღვებია, რომლებიც მამამ თავისი მეზღვაურობის წლებში გადაცურა, ჩვენ კი დღესაც არ გვინახავს... მამის მეზღვაურობა იყო არა მარტო რომანტიკა ჩემთვის, ეს იყო სარკმელი მსოფლიოში, რკინის ფარდის მიღმა ქვეყნიერებაში გაჭრილი. ამ სარკმლიდან არა მარტო საუცხოო ჰაერი, მუსიკა, ქალაქებისა და პორტების ხედები, ადამიანები, თევზები, ნიჟარები, ნივთები, ჯინსები, სურათები, სიტყვები იჭრებოდნენ ჩემი ყრმობის სივრცეში, არამედ მომავალიც შემოიხედავდა ხანდახან... როდესაც წლების შემდეგ ვენეციაში აღმოვჩნდი, იგი ჩემთვის ისეთი მშობლიური იყო, მეგონა, მამაჩემს შევხვდი — აკი ათჯერ მაინც ყოფილა ამ ქალაქში... ვენეციური გონდოლით რომ ვსეირნობდი, თვალი ცრემლით მევსებოდა და ვლოცულობდი მამაჩემის სულისთვის.

— რას გვეტყვით, როგორ უნდა გვიყვარდეს ოჯახი, როგორ უნდა გვუფრთხილდეთ მშობლების, და-ძმების, შვილების სიყვარულს...

— ლექსებით უნდა გიპასუხოთ, რადგან არ მგონია, ინტერვიუში მოხერხდეს ზედაპირულად მაინც თქმა, რა არის ოჯახი, დედაშვილობა, მამაშვილობა, დაძმობა, ცოლქმრობა, ბებიების, ბაბუებისა და წინაპრების სიყვარული... ამაზე იმდენი მიქადაგია! ახლახან საერთაშორისო სიმპოზიუმი გავმართეთ — „ოჯახი გლობალურ სივრცეში“. მაქვს მასალებიც და გეგმა ამ საკითხზე მონოგრაფიის დასაწერად. ოჯახზე მეცნიერული კვლევა მნიშვნელოვანია კაცობრიობის მომავლისთვის. პასუხად მხოლოდ ერთ ლექსს შემოგთავაზებთ:

ლექსში გახსენდება მშობლების სახლი:
აივანი (დედა ჭრელ საბნებს აშზეურებს),
კედლები (აქ ფოტოსურათებში
გადასახლდა
დიდი ოჯახის მცირე ნაწილი),
იატაკი (ჩემი და ჩემი და-ძმის ფეხის
(ენისაც) ადგმის
და გაუბედავი ნაბიჯების მოწმე)

და ჭერი —
ცის ნაჭერი!

— შინდისში ტაძარს აშენებთ, თამარ მეფის სახელობისას...

— თამარ მეფე უდიდესი ზეციური პატრონი ჩვენი ერისა. არადა, მისთვის სათანადო პატივი ჯერაც არ მიგვიგია, არცთუ მრავალი ლექსი ან სიმღერა მიგვიძღვნია, არც მისი ხატები შეგვიქმნია უთვალავი... ამიტომაც გადავწყვიტეთ თამარ მეფის სულიერი მემკვიდრეობის ღრმად შესწავლა და ქადაგება. ამ გზაზე გაგვიჩნდა ჩვენი დიდი წმინდანი მეფისა და დედუფალთ დედუფლის სახელობის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის სურვილიც.

მონასტრული ცხოვრება შრომის გარეშე წარმოუდგენელია. მომავალში ჩვენი მონასტრის ყველა მკვიდრი მოხუცებულთა მოვლაში მიიღებს მონაწილეობას. აკი ავადმყოფის მოვლა ქრისტიანობაში უმაღლეს სათნოებათა რანგშია აყვანილი. მათეს სახარება შეგვახსენებს, რომ როგორც ავადმყოფს ვექცევით, ისე ვექცევით ქრისტესაც.

ჩვენი მიზანი კიდევ ერთი სამონასტრო კომპლექსის აშენება კი არ არის: ამ იდეას სულიერი აღორძინებაც უნდა მოჰყვეს, წმინდა თამარმეფისეული სულის აღორძინება დღევანდელი საქართველოს სინამდვილეში. ისიც ვთქვათ, რომ ადგილს, სადაც სამონასტრო კომპლექსი შენდება, ჩვენ თამარწმინდა დავარქვით. ასე რომ, საქართველოს გეოგრაფიულ რუკაზე გაჩნდა ახალი და ძალიან ლამაზი სახელი — თამარწმინდა!

— ისტორიისა და საკუთარი ქვეყნის წარსულის ცოდნას რა ადგილი უკავია ადამიანის ცხოვრებაში? რა უნდა ვისწავლოთ წარსულისგან?

— ისტორიული დროის არასწორ გაგებაზე გავამახვილებ ყურადღებას. ქვეყანაში არსებული გაჭირვების პირობებში ადამიანებმა გამოსავლის ძებნა დაიწყეს, გამოსავლისა, რომელიც, სამწუხაროდ, ყოველთვის როდია სულიერი და ზნეობრივი თვალსაზრისით მისაღები. სამაგიეროდ, საზოგადოებაში მკვიდრდება განწყობა: აბა, რა ექნა, შვილებს შიმშილით ხომ არ დახოცავდა? აბა, რა ექნა, ნიჭს აქ ხომ არ დამარხავდა, არ წასულიყო? სანამ უნდა ეთმინა ეს ყველაფერი? თუ ფულს უხდიდნენ, რატომ არ უნდა დათანხმებოდა?.. და ა.შ. და ა.შ. რატომ ფიქრობს საზოგადოება

მამა ადამი: ჩემს დაბადებამდე — მამაჩემი და ჩემი და-ძმა

ნუნუ (ნინო) თევზაძე

კოწია ჩხიკვაძე

ამგვარად? ხომ არ გვავიწყდება, დღევანდელი დღე ისტორიის ისეთივე ნაწილი რომაა, როგორიც ჩვენი წარსული; კიდევ იმას ვიავიწყებთ, რომ წარსულის მაგალითები მხოლოდ საამბობი კი არა, უპირველეს ყოვლისა, მისაბაძია. ნუ დავივიწყებთ, რომ სამშობლოს დატოვება გასაჭირში, საკუთარი ინტერესების სხვათა ინტერესებზე მაღლა დაყენება, ოჯახის, მეგობრის ან კოლეგის ღალატი, რა მიზეზითაც უნდა იყოს იგი ნაკარნახევი, 30 ვერცხლზე ქრისტეს გაყიდვა, დაბეზღება, შურისძიება და მისთანანი, დროის მიუხედავად, ყოველთვის მძიმე დანაშაულია ღვთის, მამულისა და მოყვასის წინაშე. თორემ ისე გამოდის, თითქოს მხოლოდ წარსულში არსებობდა აუცილებლობა ქვეყნის ერთგულებისა, რწმენისთვის თავდადებისა, მოყვასისთვის თავგანწირვისა, ჭირთა თმენისა. ნუ დავივიწყებთ, ჩვენ ახლაც, ამწუთას ისტორიას ვქმნით, ვწერთ და მისი ნაწილი ვხდებით! დღეს ისევე ვნებს ჩვენს ქვეყანას ჩვენი ცოდვანი, ღალატნი და განსყიდვანი, როგორც წარსულში!

— მამა ადამ, რას უსურვებდით ჟურნალ „ისტორიანის“ შემქმნელებსა და მის მკითხველს?

— ვფიქრობ, კარგი იქნება, „ისტორიანმა“ თავის თავზე აიღოს არა მარტო წარსულის ისტორიის წარმოჩენა, არამედ საკუთრივ ისტორიული მეცნიერებების, ისტორიოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ანთროპოლოგიის, სოციოლოგიის, სხვა თანამედროვე და ახალი კვლევითი მიმართულებების პოპულარიზაციაც. გადის დრო, იცვლებიან ადამიანები, იცვლება აზროვნების ფორმები, კვლევების მეთოდოლოგია, ვივიწყებთ წარსულს ან ხდება წარსულის ხატების მეტამორფოზები ჩვენში... მეორე მხრივ — ამ ცვლილებებს ხშირად, სამწუხაროდ, ვერ მიჰყვებიან ისინიც კი, ვისი პროფესიაც დროისა და სივრცის, ღირებულებათა, დამოკიდებულებათა მუდმივი გადააზრებაა — მეცნიერულ ძიებებში ჩართული ადამიანები. ასეთ შემთხვევაში ძნელია ღირსეული მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო დიალოგში, პასუხი გასცე იმ კითხვებს, რომელთაც სვამს ძალიან სწრაფად ცვლადი თანამედროვეობა — არა მარტო მეცნიერება, არამედ საერთაშორისო თანაცხოვრება. ალბათ, ამ მიზნით კარგი იქნება, თუ ჟურნალს გავამდიდრებთ მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერებთან საუბრებით. იმასაც დავამატებ, რომ მეცნიერების პოპულარიზაცია ერთ-ერთი ყველაზე რთული საქმეა.

ესაუბრა სალომე შოშიტაშვილი

ჯვარ-ხატებით მსვლელობისას

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ“... ᲓᲐᲫᲕᲔᲚᲓᲐ!

24 მაისს მეხუთედ უმასპინძლა თბილისის ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა (ღია ცის ქვეშ) „ახალი ღვინის ფესტივალის“ მონაწილეებსა და უამრავ სტუმარს. აქ მთელი საქართველოდან მოიყარეს თავი. ღვინის კლუბის მიერ ორგანიზებული ფესტივალი დღეს პოპულარულია არა მხოლოდ თბილისელთა შორის.

ღვინის ფესტივალზე საქართველოს ყველა კუთხიდან ღვინის დიდ კომპანიებსა და საოჯახო მარნებს თავიანთი გულშემატკივრები და ღვინის მოყვარულნი ჩამოჰყოლიან. ღვინის მოყვარულნი, რა თქმა უნდა, საუკეთესო გაგებით... შეიძლება დაუჯერებლად გეჩვენოთ, მაგრამ ამ ფესტივალებზე უკვე მეხუთე წელიწადია, არავინ დამთვრალა. ოდნავ შეზარხოშებული, ერთმანეთისა და ქართული ღვინის სიყვარულით „შეჭიკჭიკებული“ ყველა თაობის ხალხი ერთი აზრის იყვნენ, რომ ეს არის ქართული ღვინის, მისი ისტორიის, ამ ღვინის დამწურავ-დამყენებელი ხალხის, მევენახე და მეღვინე ქართველების მთელი წლის ნაშრომის გამოფენა-დათვალიერება. მევენახეობა-მეღვინეობის სამშობლოდ აღიარებული ქვეყანა დიახაც ასე უნდა აღნიშნავდეს თავისი ღვინის დღესასწაულს.

დეგუსტაციისთვის გამზადებული სასმისები

ᲘᲐᲒᲝ ᲑᲘᲢᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ (*ახალი ქართული ღვინის ფესტივალის დირექტორი, მეღვინე*): — სასიხარულოა, რომ საქართველოში დღითი დღე იზრდება ხარისხიანი ღვინით დაინტერესება. ერთია, რომ უფრო ფართოვდება სახელგანთქმული ქართული ღვინის კომპანიების საქმიანობა და მეორე, იმატებს ღვინის მწარმოებელთა რიცხვიც. ფესტივალზე ისეთი

საფესტივალო „დებიუტი“

ღვინის ფესტივალის „კულისებში“

კარგ ღვინოს კარგი ჭურჭელიც სჭირდება!..

მალხაზ ხარბედია, ფესტივალის ორგანიზატორი

„გახურებული“ დეგუსტაცია

ღვინოებიცაა წარმოდგენილი, ჩვეულებრივ ავტოფარეხებში რომ დაიწურა და დაღვინდა, მაგრამ არაფრით ჩამორჩება ქარხნული წესით დამზადებულ ბრენდებს. იმედი გვაქვს, ეს ფესტივალი ღვინის ქართველ მეწარმეთ ერთმანეთს კიდევ უფრო დაამეგობრებს და რაც მთავარია, კარგი ქართული ღვინის წარმოების შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს.

მალხაზ ხარბედია (*ფესტივალის ორგანიზატორი*): — ახალი ღვინის ფესტივალი უკვე „დაძველდა“. გაისად კი იმდენი ახალი კომპანია თუ ღვინის მარანი დაგვემატება, მომდევნო ფესტივალისთვის შესაძლოა მუზეუმის ეს ტერიტორიაც არ გვეყოს...

P.S. როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, „დათრობის“ ერთი შემთხვევა მაინც ჩაიწერა წლევანდელი ფესტივალის დღიურში. ერთ საქართველოზე შეყვარებულ გერმანელ ტურისტს ისე მოსწონებია ქართული ღვინოები, თითქმის ყველა მეღვინესთან დაუჭაშნიკებია შავი, თეთრი, შუშხუნა ღვინოები და ჭაჭაც კი. მოგეხსენებათ, ქართველებს უცხოელებისთვის უფრო „ემეტებათ“ ღვინო, ბოკალს ლამის ბოლომდე უვსებენ. ტურისტი ბოლოს მუზეუმის დაცვის ბიჭებთან მისულა, ცოტა მეტი მომივიდა, გასასვლელს ვეღარ ვპოულობ და დამეხმარეთო...

„ისტორიანი“

ᲡᲣᲚᲒᲣᲜᲘᲡ ᲝᲛᲘ

ᲝᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲘ ᲡᲣᲚᲒᲣᲜᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ ᲘᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲜ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲘ ᲓᲐᲕᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲗ(!)

მრავალფეროვანი და ორიგინალური კვებითი კულტურის შემქმნელი ქართული ეთნიკური ერთობა თავის თავში ჩაკეტილი და იზოლირებული არ ყოფილა. ქართველები შემოქმედებითად იზიარებდნენ სხვათა მიღწევებსაც, შორს რომ არ წავიდეთ, -მა-ზე დაბოლოებული კერძების სახელწოდებები (*ყაურმა, ჩიხირთმა, ტოლმა, ბასტურმა...*) თურქთაგან გვაქვს შეთვისებული. მაგრამ მხოლოდ ქართველი ხალხის წიაღშია წარმოქმნილი ბევრი „გასტრონომიული მოვლენა“, მათ შორის, ყველის ნაირსახეობანი: *თუშური გუდის ყველი, იმერული ყველი, სამცხური ყველი, ჩეჩილი, ტენილი* და **სულგუნი/სულუგუნი**...

მაგალითად, შავშეთ-იმერხევში ძირითადად ორი სახეობის ყველს ამზადებდნენ, რომელთაგან ერთ-ერთს *ფშვნილაი* ერქვა. მას ხის ვედროებში (კროჭებში) ინახავდნენ მთელ წელიწადს. ყველის ხანგრძლივად შენახვის ტრადიცია საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში გვხვდება. აჭარის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა: *„აქ აკეთებენ ყველს... არაოდესვე წახდების, არცა დაობდების, რაჟამს გნებავს, შემგბარი კეთილ-სახმარ არს“.*

სულგუნი, მაღალი კვებითი ღირებულების გამო, 1890-იანი წლებიდან ფოთის ნავსადგურიდან უცხოეთში გაჰქონდათ. ეთნოგრაფიული მონაცემებით, მას დასავლეთ საქართველოს მხარეებში (სამეგრელო, სვანეთი, იმერეთი, ლეჩხუმი, რაჭაში) ამზადებდნენ. სამეგრელოში სულგუნს **სელეგინი, სელეგუნი, სიოგინი** ერქვა, ხოლო ზემო იმერეთში, რაჭასა და ლეჩხუმში — **გვაჯილა/გვაჯილი**. საქართველოში სულგუნს ამზადებდნენ აფხაზებიც. მათ სახელწოდება (აშელაგუან) მეგრელთა მეტყველებიდან ჰქონდათ ნასესხები. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, *„სულუგუნი [არის] გარდაზელილი ბრტყელი ყველი“*. გადაზელილს უწოდებდნენ სულგუნს გურიაშიც.

მკითხველს შევახსენებთ, რომ სულგუნი არის ჩვეულებრივი „იმერული ყველი“, გადახარშულ-გადაზელილი. ამოღების შემდეგ ლანგარზე — *ჩურუხზე* ხელით ზელდნენ, ორივე ხელით გადაქნავდნენ. როცა დიდხანს შენახვა უნდოდათ, ცალ მხარეს ხვრეტდნენ და თოკზე ასხამდნენ ისე, რომ ერთმანეთს არ შეხებოდნენ. ასხმულ კვერეულებს გასაშრობად ცეცხლთან ახლოს ჭერზე ან მზეზე ჩამოჰკიდებდნენ. შებოლილი და გამხმარი სულგუნი დიდხანს ინახებოდა.

ყველის გადახარშვა იცოდნენ იტალიაში, სადაც მოხარშულ ყველს კაჩოკავალოს უწოდებდნენ. კაჩოკავალო ბაზრებში ხილის, ცხოველებისა და ადამიანის გამოსახულებით იყიდებოდა. იტალიურ ყველს, ქართული სულგუნისგან განსხვავებით, არ ზელდნენ. ქართული კი გადაზელვის შედეგად მიიღება, რაც განაპირობებდა მის ფენოვან-ფურცლოვანებას. სულგუნის კულტურა თავის დროზე ეთნოლოგმა ნინო თოფურიამ შეისწავლა. ის წერდა, რომ *„მეგრული სულუგუნი საუკეთესო და გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქტია ყველის იმ უამრავ ნაირსახეობას შორის, რომელიც ცნობილია ჩედარიზებულ-დამწიფებული ყველის სახით (ასეთ ჯგუფს მიეკუთვნება იტალიური კაჩოკავალო). სულუგუნის დამზადება მაღალი ტექნოლოგიით ხასიათდება. მეგრული სულუგუნის თვისებები — ელასტიკურობა, ფენოვნება ქართველი მეურნის მიერ გამომუშავებულია ხანგრძლივი დაკვირვებისა და გამოცდილების გზით“.*

სამწუხაროდ, ქართული ეთნიკური კულტურის ამ მიღწევას კარგა ხანია სხვები გვედავებიან. ოსი და აფხაზი ავტორები საქართველოს ისტორიას ქურდავენ და ახლა ჯერი ქართულ კულტურაზეც მიდგა:

I. 1987 წელს ბათუმში ჩატარებულ ეთნოლოგთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე აფხაზმა მკვლევარმა გალინა კოპეშავიძემ (ახლა *თარჯიმან-ოღლი*) წაიკითხა მოხსენება იმის შესახებ, რომ სულგუნის კულტურა აფხაზთა შემონაქმედია და რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ, მეგრელებმა, მისი დამზადება აფხაზთაგან შეითვისეს. ბოლო დროს ცნობილი გახდა, რომ თურქეთში სულგუნი იყიდება აფხაზური ყველის სახელწოდებით (პროფესორ *ავთანდილ ნიკოლაიშვილის* ცნობა);

II. ოსი ავტორები (*ბორის კალოევი* და სხვები) წერენ, რომ სულგუნი ქართველებმა ოსთაგან შეითვისეს. საყოველთაოდ ცნო-

შებოლილი და გამხმარი სულგუნი განსაკუთრებით დიდხანს ინახება

ჭყინტი ყველის ამოყვანის, მისი დაქუცმაცებისა და გადაზელის შემდეგ მიიღება სულგუნი

ბილია, რომ ოსებმა სულგუნის დამზადება საერთოდ არ იცოდნენ, მიუხედავად ამისა, ბ. კალოევი მკითხველს ატყუებს, რომ მას დასავლეთ ოსეთში (დიგორში) ამზადებდნენ. სხვა ნაშრომში ასევე მითებს ქმნის და გაუთვითცნობიერებელ მკითხველს აუწყებს, რომ დასავლეთ ოსებმა დაივიწყეს სულგუნის დამზადება მონღოლთა შემოსევებისას, როცა ალან-ოსების მეურნეობა დაკნინდა. სხვაგან კი სულგუნის დასავლეთ საქართველოში შემოტანას ძველ ირანელებს მიაწერს, რომლებიც თურმე კოლხეთში დასახლებულან და საბოლოოდ ქართველთა შემადგენლობაში შესულან.

ᲰᲐᲚᲣᲪᲘᲜᲐᲪᲘᲔᲑᲘ — ᲐᲠᲒᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲐᲓ

კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ ძველი ისტორიის ვერც ერთი სპეციალისტი კოლხეთში ირანელთა დასახლებას ვერ დაასაბუთებს. მდიდარი ირანული კულტურისგან ქართველი ხალხი დიდად დავალებულია — მათ ბევრი რამ ისწავლეს ცივილიზებული მეზობლებისგან, მაგრამ სულგუნის დამზადება ქართველებს ნამდვილად არავისგან არ უსწავლიათ. ირანელებსაც ალან-ოსებსავით დაავიწყდათ მისი დამზადება?

ოს ავტორებს მოჰყავთ მათი თანამემამულის, ვასილ აბაევის ნაშრომი. თუმცა იგი მხოლოდ სიტყვა სულუგუნის ეტიმოლოგიას უკავშირებს ოსური ენის დიგორულ დიალექტს. ვასილ აბაევმა მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ლექსიკური ერთეულის პირველი შემადგენელი სიტყვა *სულუ* ოსური ენის დიგორულ დიალექზე შრატია. ამ სიტყვების ავტორს ავიწყდება, რომ სულგუნი/სულუგუნი სალიტერატურო ქართული ენაზე გამოითქმის, ხოლო მეგრულ მეტყველებაში ის გამოითქმის როგორც სელეგინი/სელეგუნი/სიოგინი. ხოლო თუ ლექსიკური ერთეულის მეორე კომპონენტი არის *გინი*, მაშინ პირველი კომპონენტია არა *სულუ*, არამედ *სიო/სილო/სელე* და მას დიგორული დიალექტის სულუსთან კავშირი არ აქვს. მეტიც, სულგუნი არ მზადდება შრატისგან, ეს სითხე მხოლოდ ყველის დამზადების შემდეგ რჩება. სინამდვილეში სიოგინი/სილოგინი/სელეგინი მეგრული მეტყველების წიაღშია წარმოქმნილი — სირსოუა ნიშნავს ჭყლეტას, სრესას, ხოლო გინი/გინო — აქეთ-იქით, გაღმა-გამოღმას. ამდენად,

მეგრული სიტყვა სიოგინი/სილოგინი/სელეგინი პირდაპირ ნიშნავს დასრესილ და აქეთ-იქით გადადებულ ჭყინტ მოხარშულ ყველს.

საინტერესოა, სულგუნის რაჭაში, ლეჩხუმსა და ზემო იმერეთში გავრცელებული სახელწოდება — გვაჯილაც ოსთაგან ჰქონდათ ქართველებს შეთვისებული?

რაც მთავარია, ოსებმა საერთოდ არ იცოდნენ ყველის ასეთი სახეობის (მოხარშული და გადაზელილი) დამზადება. გამოდის, ქართველებმა მისი დამზადება ოსებისგან ისწავლეს, ოსებმა კი დაკარგეს... საზოგადოდ, კულტურის ისტორიაში ასეთი უმნიშვნელოვანესი ელემენტების დაკარგვა საერთოდ არ დასტურდება. ეთნიკური კულტურა მხოლოდ ეთნოსის გაქრობასთან ერთად შეიძლება დაიკარგოს.

მაგრამ ახლა ოსმა ავტორებმა უკვე იმის წერაც დაიწყეს, რომ სულგუნის დამზადება არასდროს შეუწყვეტიათ და ქართველთა მიერ ოსთაგან სულგუნის შეთვისების ახალი თარიღიც შემოგვთავაზეს. ახლახან მოსკოვში დაბეჭდილ წიგნში Осетины (გვ.138) პირდაპირ წერია, რომ ეს XX საუკუნის დასაწყისში მოხდა. ასეთი ნაბოდვარი კომენტარის ღირსიც კი არ არის. ტექსტის ამ მონაკვეთის ავტორს სულგუნის დამზადების ტექნოლოგიაზეც არ აქვს წარმოდგენა. თურმე სულგუნი შრატისგან მზადდება. აქ გავიმეორებთ ზემონათქვამს: ლექსიკური ერთეული სულუგუნი შეტანილი აქვს სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში.

სხვისი ისტორია, სხვისი რძე და სხვისი ყველი

აფხაზები, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მკვიდრნი, აქტიურად იყვნენ ჩართული საერთო ქართული კულტურის შექმნაში. აფხაზებსა და მათ მეზობელ ქართველებს (მეგრელებსა და სვანებს) კულტურის ზოგიერთი ელემენტი საერთო გააჩნდათ. ამ გარემოებას არა მხოლოდ მეზობლობა, არამედ მოსახლეობის ურთიერთშეღწევაც განაპირობებდა. აფხაზთა შორის სულგუნი სამეგრელოდან რომ გავრცელდა, ამას მისი სახელწოდებაც ამტკიცებს: *აშელაგუან* მეგრული სელეგინის ფონეტიკური ვარიანტია. სულგუნი თუ აფხაზთა მიერაა შექმნილი, რატომ არ იცოდნენ მისი დამზადება მათმა ენობრივად და ეთნიკურად მონათესავე ადიღე-

სულგუნისგან დამზადებული გებჟალია (ზემოთ) და ღომი სულგუნითა და საწებლით (ქვემოთ)

ჩერქეზ-ყაბარდოელებმა და უბიხებმა? სულგუნი სცოდნია მხოლოდ აბაზების აშხარელთა ეთნოგრაფიულ ჯგუფს, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროდან ჩრდილოეთ კავკასიაში XVII საუკუნეებში გადასახლდნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ აშხარელი აბაზები სულგუნის ტიპის ყველს საკუთრად არ მიიჩნევენ. აშხარელ აბაზებში სულგუნი შეიტანა 1864 წელს ფსხუდან გადასახლებულმა აფხაზთა ჯგუფმა (105 ოჯახი, 736 სული).

ხარისხიანი სულგუნი მხოლოდ ძროხისა და კამეჩის რძისგან მზადდება. აფხაზებში კი მესაქონლეობა მეორეხარისხოვანი იყო. ისინი ძირითადად მეთხეობას მისდევდნენ და თივის დამზადების ტრადიციაც კი არ გააჩნდათ. მთავარი კი ისაა, რომ ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებს (ეთნოსებს) ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, კლიმატი კარნახობდა კულტურის ამა თუ იმ ფორმის შექმნას. ამ მხრივ სულგუნი ანუ გადახარშულ-გადაზელილი ყველი მხოლოდ კოლხური კულტურაა. კოლხეთში მთელი ისტორიის განმავლობაში ტენიანობის სიჭარბე იყო. სულგუნის დამზადების ტექნოლოგიამდე ადგილობრივი მკვიდრნი სწორედ ტენის სიჭარბემ მიიყვანა. გადახარშული და გადაზელილი ჩვეულებრივი ყველი, ან კვამლში და მზეზე გამოყვანილი და გამომშრალი დიდხანს, ჩვეულებრივ, ერთი წლის განმავლობაში ძლებდა და კვებით თვისებებს არ კარგავდა. კოლხეთის დაბლობზე ყველის დიდხანს შენახვის განსაკუთრებულმა პრობლემურობამ, ბუნებასთან ჰარმონიაში მყოფ ქართველ მეურნეს, მისი დამზადების განსაკუთრებული ტექნოლოგიისთვის მიაგნებინა.

მეურნეობის რა ყაიდის მიმდევარ ხალხს უნდა შეექმნა სულგუნის კულტურა? — რა თქმა უნდა, მიწათმოქმედ და არა იმ ხალხს, რომლის საქმიანობის მთავარ სფეროს მეცხოველეობა შეადგენდა. ქართველები უძველესი მიწათმოქმედი ხალხია, საქართველოში მიწათმოქმედება და მესაქონლეობა სიმბიოზურად იყო წარმოდგენილი. მაღალი დონის მიწათმოქმედება მესაქონლეობის გარეშე წარმოუდგენელია, რადგან გამწევი ძალის გარეშე მიწათმოქმედებას მხოლოდ პრიმიტიული ხასიათი ექნებოდა. ქართველი ხალხის მეურნეობაში მესაქონლეობაც მიწათმოქმედების ინტერესს ექვემდებარებოდა.

უფრო რომ დავაზუსტოთ, მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ხალხებისგან განსხვავებით, პირუტყვი ბარელ ქართველებს შეზღუდული რაოდენობით ჰყავდათ. მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მესაქონლე ხალხებს არ სჭირდებოდათ მეცხოველეობის პროდუქტების დიდი რაოდენობით დამზადება და ხანგრძლივად შენახვა. ხოლო მიწათმოქმედ ხალხებში, რომელებსაც პირუტყვი შეზღუდული რაოდენობით ჰყავდათ, ამგვარი პრობლემა იდგა, მით უმეტეს, ისეთ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში, როგორიც კოლხეთის დაბლობია — აქ სინესტე მეცხოველეობის პროდუქტების ხანგრძლივად შენახვის საშუალებას არ იძლეოდა. შეზღუდული მესაქონლეობის პირობებში კი ხალხს გვიან შემოდგომიდან, ლაქტაციის შეწყვეტის თუ შემცირების გამო, ადრე გაზაფხულამდე, რძისა და რძის პროდუქტების დეფიციტიც ჰქონდა. ამ დეფიციტის შევსების წყარო კი იყო სწორედ რძის პროდუქტების, ამ შემთხვევაში, ყველის დამზადების ახალი ტექნოლოგიების ძებნა, რასაც ქართველმა მეურნემ ხანგრძლი-

ვი დაკვირვებისა და შემოქმედებითი ძიების პროცესში მიაგნო კიდევაც და შექმნა ყველის ისეთი ნაირსახეობა, როგორიცაა სულგუნი.

ზემოთ აღინიშნა, რომ სამეგრელოში სელეგინს/სიოგინს/სილოგინს ხის ჭურჭელში — ბუყუნში ინახავდნენ. თუმცა სულგუნის სპეციალური შესანახი ქოთანიც შექმნა კოლხეთის დაბლობის მკვიდრმა ქართველმა მეურნემ — ე.წ. სასულგუნე ქოთანი. ხის ჭურჭლით, ბუყუნით უპირატესად მწყემსები სარგებლობდნენ, ხოლო კერამიკულ სასულგუნე ქოთანს ოჯახის პირობებში გამოიყენებდნენ.

აფხაზურ-ადიღური მოდგმის ხალხები და ოსების წინაპარი ალანები ისტორიულად ხელშესახებ პერიოდში ბინადარი ცხოვრებისა და ამასთან ერთად მიწათმოქმედების მიმდევარი არ ყოფილან. **ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ადიღური ტომები ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ, რაც ნიშნავს, რომ მათ შორის პრიორიტეტული მეცხოველეობა იყო. მეცხოველეობის პროდუქტები კი საკმარისი რაოდენობით ჰქონდათ და მათ წინაშე რძის პროდუქტის — ყველის ხანგრძლივად შენახვის პრობლემა არ იდგა; არც ისეთ ბუნებრივ-გეოგრაფიულ, კლიმატურ პირობებში ცხოვრობდნენ, რომ მისი ხანგრძლივად შენახვის ტექნოლოგიის შემოღებაზე ეფიქრათ.**

ასე რომ, სულგუნი მხოლოდ და მხოლოდ დასავლურქართული კულტურაა/პროდუქტია, კოლხეთის დაბლობში შექმნილი და არა აფხაზური და ოსური. სამწუხაროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზემოთ დასახელებული ხალხების „მოსკოვდალეულთა“ ერთი ნაწილი არა მხოლოდ ქართველთა ისტორიის მითვისებას, არამედ ქართული კულტურული მიღწევების მისაკუთრებასაც ცდილობს.

საბჭოური ძალადობა — მეზობლური „არგუმენტი“?!

2013 წლის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ სულგუნზე ოფიციალური პრეტენზია აქვთ სომხებს. ისინი ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურაში სულგუნის ქართული კულტურისადმი მიკუთვნებას ეჭვქვეშ აყენებენ და საჩივარში აღნიშნავენ, რომ *„სულგუნი არ წარმოადგენს ქართული წარმოშობის ყველს, რადგან ის იწარმოებოდა მთელ საბჭოთა კავშირში“*(!). სულგუნის მთელ საბჭოთა კავშირში წარმოების ფაქ-

„მოკითხვა“ ბეირუთიდან

1990 წლიდან აშშ-ის ბაზარზე, კალიფორნიაში მოქმედი ლიბანური ფირმა Karoun Dairies-ი მრავალი დასახელების რძის პროდუქტს უშვებს. ბრენდების საფირმო ჩამონათვალში კომპანიის საიტზე მრავალი დასახელებაა ჩამოთვლილი პროდუქტის ტიპისა და მისი წარმოშობის რეგიონის მიხედვით: ხმელთაშუაზღვისპირული, ლათინურამერიკული, ინდური, სომხური, რუსული და ევროპული. საქართველო საერთოდ არ არის ნახსენები, ხოლო სულგუნი შეტანილია რუსული წარმოშობის პროდუქციაში და ალბათ ამიტომ, ინგლისურ წარწერებთან ერთად, ყველის შეფუთვაზე დასახელება რუსულადაც არის მითითებული.

სათავო კომპანიის სხვა საიტზე განმარტებულია, რომ მაგალითად, ხმელთაშუაზღვისპირული ყველის საგანგებო ასორტიმენტი რეალურად არის ტრადიციული სომხური ყველი, რომლებიც ბაღდასარიანების ოჯახის „კარუნის ყველის“ მაღალი ხარისხის რეცეპტებით არის დამზადებული. ოჰანეს ბაღდასარიანმა ახლანდელი ფირმის წინამორბედი Laiterie Karoun-ი ბეირუთში 1931 წელს დააფუძნა.

არის საიტები ყველის მოყვარულთათვის, სადაც გამოყენებულია „კარუნის“ სულგუნის ფოტოები, თუმცა მითითებულია, რომ ყველი — ქართულია.

რუსულ ბრენდად მიწოდებული სულგუნი ამერიკული მაღაზიების დახლებზე

მზა სულგუნი თბილისის ბაზრების დახლებზე

ტის დასადასტურებლად მიუთითებენ, რომ *„საბჭოთა კავშირის პერიოდში პროდუქციის საწარმოებლად გამოიყენებოდა სახელმწიფო სტანდარტები, ე.წ. „გოსტ“, რომელიც მთელი ქვეყნისთვის საერთო იყო. შესაბამისად, ვერ გახდება საქართველოსთვის დამატებითი არგუმენტაცია ქართული გეოგრაფიული აღნიშვნის წარმოშობის დასადასტურებლად“.* ამდენად, იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის დროს პროდუქციაზე საქართველოს ცალკე „გოსტი“ არ ჰქონია, სულგუნი ქართული ეთნიკური კულტურის ნაწილად არ უნდა მიიჩნიონ! სულგუნის მსგავსად, შესაბამისი ევროპული სტრუქტურები ასევე დამატებით ისტორიულ-ეთნოლოგიურ არგუმენტაციას მოითხოვენ აჭარული ჩლეჩილის, მესხური ჩეჩილის, თუშური გუდის ყველისა და ჩურჩხელის შესახებაც. ჩვენ ამჯერად მხოლოდ სულგუნზე შევჩერდებით.

ნებისმიერი, ვინც კავკასიის ეთნოლოგიას კარგად იცნობს, დაადასტურებს, რომ არც მსგავსი სახელწოდებისა და არც მსგავსი ტექნოლოგიით დამზადებული ყველი სომეხმა ხალხმა არ იცოდა და არ იცის. საბჭოთა პერიოდში თუ ქართველი ხალხის დაუკითხავად სულგუნს სოხეთისა და რუსეთის ყველის ქარხნები აწარმოებდნენ, ამით დასტურდება, რომ ის მხოლოდ ქართული ეთნიკური კულტურის ელემენტს არ წარმოადგენდა? განა ქართველი ხალხისგან ვინმე ნებართვას აიღებდა მაშინ მის წარმოებაზე?! მივმართოთ შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას: ***I. Алла Тер-Саркисянц. История и культура армянского народа. С древнейших времен до начала XIX в., 2-е издания, М., 2008.*** ავტორს ყველის მხოლოდ სამი სომხური სახეობა აქვს დადასტურებული და არც ერთი მათგანი ამ სახელწოდებით (სულგუნი) და არც ტექნოლოგიით ახლოსაც კი არ არის მოხარშულ-გადაზელილ ყველთან, როგორსაც დასავლეთ საქართველოს გლეხობა საუკუნეების განმავლობაში ამზადებდა. სომხებმა იცოდნენ: ა) გლუხ პანირ ანუ თავი ყველი, ბ) მოტალი ანუ ფხვიერი ყველი და გ) თელ პანირ. ***II. Армяне. Ответственные редакторы: Л. М. Варданян, Г. Г. Саркисян, А. Е. Тер-Саркисянц. М., 2012.*** სომხებისა და სომხური კულტურის შესახებ ამ შემაჯამებელ სქელტანიან წიგნშიც სომხური ყველის სახეობებიდან ყველის იგივე სახეობებია დასახელებული (გვ. 239). ოღონდ დასახელებულია კიდევ ერთი სახეობა შორ-ი, რომელიც ყველსა და ხაჭოს შორის რაღაც შუალედურს წარმოადგენდა. ***III. Народы Кавказа. II, под редакцией Б. А. Гарданова, А. И. Гулиева, С. Т. Еремяна, Л. И. Лаврова, Г. А. Нерсесова, Г. С. Читая. М., 1962.*** სამხრეთ კავკასიის ხალხებისადმი მიძღვნილ ამ ტომის ექვსი რედაქტორიდან ორი ეთნიკური სომეხია. ისინი საკმაოდ ცნობილი მეცნიერები იყვნენ და მათი უნდობლობა შეუძლებელია. სომხური ყველის სახეობებს შორის დასახელებულია: გლუხ პანირ, თელ პანირ და შორ-ი (გვ. 470). ახლა ვნახოთ, რა წერია აღნიშნულ წიგნში ქართული ყველის ნაირსახეობის — სულგუნის შესახებ: (გვ. 306.): *„საქართველოში ცნობილია სხვადასხვა სახის ყველი:*

თუშური (ცხვრის), იმერული, სულგუნი. სულგუნის დასამზადებლად ძროხის ან კამეჩის რძის ახალ, უმარილო ყველს ორ-სამ დღეს ინახავენ „დასამწიფებლად“. შემდეგ თხელ ნაჭრებად დაჭრილ ყველს მდუღარე წყალში (ან რძეში. — რ. თ.) ჩაუშვებენ. დარბილებულ მასას, როგორც პურის ცომს, ზელენ და აძლევენ მრგვალ, კვერეულის ფორმას. ასეთი ხერხით დამზადებულ სულგუნს ჭამენ როგორც ახალს, რძის „სოუსთან“ პიტნითა და სხვა სანელებლებით, შამფურზე შემწვარს ან მზესა და კერაზე გამხმარს, ანდა წათხში ჩადებულს. სულგუნი გამოირჩევა მძაფრი რძისმჟავური გემოთი და არომატით. სულგუნის დამზადების ცენტრია სამეგრელო (დასავლეთი საქართველო), საიდანაც, არისტოტელეს ცნობით, წარმომავლობს ძველ სამყაროში ცნობილი კოლხური ძროხა“.

* * *

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საერთაშორისო ასპარეზზე თავის დაცვა გვიხდება. სამართლიან საერთაშორისო არბიტრაჟს უნდა ვურჩიოთ, სულგუნის დამზადებას დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში (სამეგრელო, სვანეთი, იმერეთი), ქართველ გლეხთა სახლებში დაესწროს. საამისოდ სომხეთის სოფლებიც მოიაროს. აგრეთვე მოინახულონ თბილისისა და ერევნის, ზუგდიდისა და კიროვაკანის, ქუთაისისა და ლენინაკანის ბაზრებიც, სადაც გლეხები, ბუნებრივია, შინ დამზადებულ ყველს ყიდიან. ლექსიკური ერთეული სულუგუნი სულხან-საბას „ქართულ ლექსიკონში“ აქვს შეტანილი. ზემოთ ისიც აღინიშნა, რომ 1890-იანი წლებიდან საქართველოში დამზადებული სულგუნი ფოთიდან დასავლეთ ევროპაში დიდი რაოდენობით გადიოდა გასაყიდად. იქნებ სომეხმა მეცნიერებმა სომხეთიდან ექსპორტად გასული სულგუნის დამადასტურებელი რაიმე საარქივო დოკუმენტიც გვიჩვენონ.

აშკარაა, სომხები ევროკავშირში რუსების მითითებით ჩივიან. დაახლოებით ერთი წლის წინ НТВ-ზე გადაიცა სიუჟეტი მსგავსი ტექსტით, რომელშიც ნაჩვენები იყო სოჭის ბაზარი, რომლის დახლებსაც სულგუნი ამშვენებდა. სიუჟეტის ავტორი კითხვას სვამდა: ნახეთ, რამდენი სულგუნი იყიდება სოჭის ბაზარში, რატომაა ის ქართული პროდუქტი და რატომ უნდა დაარეგისტრიროს ევროკავშირმაო? სამწუხაროდ, ქართული მასმედიისთვის ეს ფაქტი ყურადღების მიღმა დარჩა, თორემ გაირკვეოდა, რომ სოჭის ბაზარზე სულგუნი სამეგრელოდან იყო შეტანილი. არსებული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, წლების განმავლობაში და დღესაც სამეგრელოდან აფხაზეთში, ხოლო აფხაზეთიდან სოჭში სულგუნი დიდი რაოდენობით შედის.

საინტერესოა, სულგუნის, ჩურჩხელის, ჩეჩილი ყველისა და გუდის ყველის შემდეგ ქართული კულტურის კიდევ რომელი მიღწევის მითვისებას შეეცდებიან ჩვენი დაუძინებელი მეგობრები?

როლანდ თოფჩიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



„დაკარგული“ საქართველოს ისტორია — მსოფლიო მკითხველისთვის

აღმოსაჩენი საქართველო ამერიკელმა მეცნიერმა „აღმოაჩინა“

პიტერ სკინერი ვანის ქვაბებში, წმინდა გიორგის ტაძარში

პიტერ სკინერი ბრიტანული წარმოშობის თანამედროვე ამერიკელი ისტორიკოსია, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი და რედაქტორი. როგორც მკითხველს „ისტორიანის“ 2014 წლის იანვრის ნომერში, რუბრიკით „აღმოსაჩენი საქართველო“ ვატყობინებდით, პიტერ სკინერი დაინტერესებულია საქართველოს ისტორიითა და კულტურით. მან რამდენჯერმე იმოგზაურა საქართველოში და გადაწყვიტა, ჩვენი ქვეყანა უფრო ახლოს გაეცნო მსოფლიოსთვის, რადგანაც, მისი აზრით, საქართველოს მსოფლიო ისე არ იცნობს, როგორც საჭიროა და რომ ჩვენი ქვეყნის ისტორია უცხოურ გამოცემებში ხშირად წარმოდგენილია, როგორც ერთი უმნიშვნელო ნაწილი სპარსეთის, თურქეთისა და რუსეთის ისტორიისა.

ამერიკელი მეცნიერი მუშაობდა დაპირებულ წიგნზე The Land Below The Caucasus („საქართველო: მიწა კავკასიის ძირას“). ეს სწორედ ის წიგნია, რომლითაც პიტერ სკინ-

პიტერ სკინერის წიგნში გამოქვეყნებული საქართველოს ისტორიული რუკები

ერს ინგლისურენოვან მკითხველამდე საქართველოს ისტორია მიაქვს. როგორც აღვნიშნავდით, სკინერი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში ეყრდნობა ინგლისურ ენაზე არსებულ, მაგრამ აქამდე უგულებელყოფილ მრავალ წყაროს. მკვლევარმა ამასთანავე, მოიპოვა არაერთი ისეთი საინტერესო წყაროც, რომლებსაც ქართველი მკითხველი ჯერ არ იცნობს.

ამდენად, შეიძლება ითქვას, ეს ძალიან საფუძვლიანი მცდელობაა, საქართველო და მისი ისტორია მსოფლიომ დაუმახინჯებლად გაიცნოს, ისეთი სახით, როგორითაც იგი არაერთ უცხოელ მოგზაურსა თუ მკვლევარს ხიბლავდა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში.

„როგორ შეიძლება ეფექტიანად წარმოვაჩინოთ საქართველო ფართო მასშტაბის სარბიელზე რიგითი, მოყვარული მკითხველისთვის (იგულისხმება ინგლისურენოვანი მკითხველი. — რედ.)? უმთავრესი, რაც უნდა გაკეთდეს, ასევე პირველი სასიცოცხლო ნაბიჯი მიმზიდველი წიგნის გამოცემაა — კარგად ილუსტრირებული, მკითხველისთვის შთამბეჭდავი, საქართველოს ისტორია არაქართველებისთვის, რომელიც მუდმივად გამოიცემა ხელახლა და რაც მთავარია, ხელმისაწვდომ ფასებში. დღევანდელ ვიზუალურ სამყაროში, სადაც ყველაფერი ეკრანიზებულია, წიგნი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ფერად რუკებს. ქვეყნის ისტორია უნდა წარმოგვიდგეს არა მხოლოდ თხრობის საშუალებით, არამედ მოვლენებიც სხვადასხვა ვიზუალური საშუალებით უნდა დაგვანახვოს. ეს შეიძლება მოხდეს რუკებით ან ძველი ჩანახატებით, რაც სათანადო წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს“, — წერდა ბატონი პიტერ სკინერი.

აღსანიშნავია, რომ „ისტორიანის“ იანვრის ნომრის გარეკანს სწორედ ამ წიგნის ერთ-ერთი ილუსტრაცია ამშვენებდა, ხოლო სტატიაში მოყვანილი იყო მანანა შეყილაძის მიერ ამ გამოცემისთვის სკრუპულოზურად შედგენილი სხვადასხვა ეპოქის საქართველოს ისტორიული რუკები.

ახალგამოცემული წიგნით The Land Below The Caucasus-ი ამერიკელმა მეცნიერმა შეძლო დანაპირების შესრულება. წიგნი უკვე იყიდება ნიუ-იორკში, ნაწილი გაიგზავნა ლონდონში, ოქტომბერში კი მას თბილისში ჩამოიტანენ. ავტორებისგან წიგნს ითხოვენ აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკა, ოქსფორდის, ჰარვარდის უნივერსიტეტები და მრავალი სხვა ინსტიტუტი. ერთი სიტყვით, დასავლეთის ისტორიული და სამეცნიერო წრეებისთვის საქართველოს მიუკერძოებელი ისტორიის გაცნობა უკვე დაწყებულია.

„ისტორიანი“

როგორ „მოიპარეს“ მუსოლინი

გერმანელების თვითმფრინავი ახლად გათავისუფლებული მუსოლინის გამოფენის წინ

ოპერაცია „მუხა“ იტალიის მთებში

ბერლინი, 1943 წლის 27 ივლისი.

ფიურერის ბუნკერში დაძაბულობაა: გუშინ იტალიის მეფის, ვიქტორ-ემანუილის ბრძანებით დიქტატორი მუსოლინი დააპატიმრეს. იტალია ომიდან გამოვიდა. შეიქმნა ახალი მთავრობა, რომელსაც სათავეში მარშალი პიეტრო ბადოლიო ჩაუდგა.

— მუსოლინი აუცილებლად უნდა დავიხსნათ, — მტკიცედ წარმოთქვა ფიურერმა, — იგი იტალიელი ხალხის ბელადია. თუკი მას დავიხსნით, ხალხიც მის გარშემო დაირაზმება და ბრძოლას განაგრძობს!

ჰიტლერის ამ გამოსვლას სამარისებური სიჩუმე მოჰყვა. ადმირალი ვილჰელმ კანარისი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა. ამ დროს SD-ს (უშიშროების სამსახურის) — ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ერნსტ კალტენბრუნერმა განაცხადა:

— მე ვიცნობ კაცს, ვინც მუსოლინის დაიხსნის!

ყველამ მისკენ მიიხედა. კალტენბრუნერმა ჩაახველა:

— ამ კაცს ოტო სკორცენი ჰქვია!

— კეთილი, — ჩუმად წარმოთქვა ჰიტლერმა, — პირადად შეეხვდები და გავესაუბრები.

სახელგანთქმული კაცი

ოტო სკორცენი ვენაში, სამხედრო პირის ოჯახში დაიბადა. ბავშვობიდანვე გერმანული შოვინიზმის ატმოსფეროში იზრდებოდა. ერთხელ მამამ უთხრა, წარმოშობით პოლონელები ვართო. ოტო აენთო:

— მე არიელი ვარ და არა სლავი უნტერმენში (არასრულფასოვანი ადამიანი)!

გოლიათური აღნაგობის ოტო (192 სმ) კალათბურთს თამაშობდა. ვარსკვლავის კა-

სასტუმრო „კამპო იმპერატორე“ დღეს (მარცხნივ) და 1943 წელს (მარჯვნივ)

week
მალალპოლიგრაფიული, სპორტული ჟურნალი,
ყოველ შაბათს
შექმნილია გაზეთ „ლელოს“ ბაზაზე

ოტო სკორცენი (მარცხნივ) და ანტე პაველიჩი (ქვემოთ)

რიერას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მოულოდნელმა ტრავმამ მის სპორტულ კარიერას წერტილი დაუსვა. სკორცენი ვენის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა და ინჟინერ-მშენებლის პროფესიის დაუფლებას შეუდგა. ამ დროს წარმოჩინდა მისი ორი თვისება: ბობოქარი ტემპერამენტი და ბრძოლისუნარიანობა.

— სკორცენი მცირეოდენ დაცინვასაც კი არავის აპატიებდა. მეორე კურსზე იყო, როცა რამდენიმე დუელში მიიღო მონაწილეობა. სახეც ამ დროს დაუსერეს, — წერს გერმანელი ისტორიკოსი კურტ ფონ ტიპელსკირხი.

სტუდენტობისას ადამიანი იდეალებს ეთამაშება. სკორცენიც ნაციონალ- სოციალისტური პარტიის წევრი გახდა და ავსტრიის გერმანიასთან გაერთიანებისთვის ბრძოლაში ჩაება. ერნსტ კალტენბრუნერს სწორედ ამ დროს დაუახლოვდა. შემდეგ იყო 1934 წლის წარუმატებელი ნაცისტური პუტჩი ვენაში. მარცხმა სკორცენი ვერ გატეხა. ის კვლავ ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის აქტივისტად რჩებოდა. მონაწილეობდა ავსტრიის ანშლუსში (1938 წელი) და მეთაურობდა ჯგუფს, რომელმაც დააპატიმრა პრეზიდენტი ვილჰელმ მიკლასი და კანცლერი კურტ შუშნიგი.

— ამ დროს გამოვლინდა მისი, როგორც ლიდერის თვისებები და დივერსანტის ნიჭი, — წერს საბჭოთა მწერალი იულიან სემიონოვი.

ანშლუსის შედეგად ავსტრია გერმანიის ნაწილი გახდა. სკორცენის წვლილი ამ საქმეში დიდი იყო, თუმცა კი არ დაუჯილდოებიათ, არც რამე თანამდებობა შეუთავაზებიათ. სკორცენი ერთ-ერთ ფირმაში ინჟინრად მუშაობდა და მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ჯარში მოხალისედ წავიდა. როგორც ნაცისტური პარტიის წევრი, იგი შშ-ის ჯარებში ჩარიცხეს.

— ჩემი ოცნება ლიუფტვაფეში (სამხედრო-საჰაერო ძალები) სამსახური იყო, — წერდა მემუარებში სკორცენი.

ამ ოცნებას ასრულება არ ეწერა. სკორცენი ლიუფტვაფეში არ მიიღეს და ის მესანგრეთა ნაწილის ოფიცერი გახდა, მონაწილეობდა საფრანგეთის კომპანიაში (1940 წელს). გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყებისთანავე აღმოსავლეთის ფრონტზე გაგზავნა მოითხოვა. — ამის თაობაზე საგანგებო განცხადება დავწერე, — იხსენებდა სკორცენი.

1941 წლის 4 ივლისს ის აღმოსავლეთის ფრონტზე გადაისროლეს. კიევისთვის ბრძოლებში დაიჭრა და სიმამაცისთვის მეორე ხარისხის რკინის ჯვრით დააჯილდოეს. ჭრილობა მძიმე აღმოჩნდა, მას დაერთო ნაღვლის ბუშტის ანთებაც. სკორცენი მშობლიურ ვენაში გაგზავნეს, სადაც მკურნალობის მოკლე კურსს გაიარა და კვლავ მწყობრში დაბრუნდა.

— ერთხანს ბერლინში ვმსახურობდი. საქმე ცოტა მქონდა. მოწყენილობისგან სული მძვრებოდა, — წერს სკორცენი.

მალე სკორცენიმ შეიტყო, რომ SS-ში „განსაკუთრებული ნაწილი“ იქმნება, რომელთა ფუნქციაც მტრის ზურგში დივერსიების მოწყობა და პარტიზანებთან ბრძოლა იყო.

ბერლინში თითქმის უქმად მყოფი სკორცენიც წერს განცხადებას და „განსაკუთრებულ ნაწილში“ ჩარიცხვას ითხოვს. ამ ნაწილიდან 1943 წელს მას სპეცმივლინებით ხორვატიაში გზავნიან.

— ჩვენს ქვეყანაში მაშინ რთული ვითარება იყო, — წერს ხორვატი ისტორიკოსი ივო შუშაკი.

ხედი გრან სასოს მწვერვალ კარნო-გრანდეზე კამპო-იმპერატორეს ზეგანიდან

ხორვატიიდან ტიტოს განდევნა

1941 წლის აპრილში ე.წ. ღერძის ქვეყნებმა (გერმანია, იტალია, ბულგარეთი, უნგრეთი) იუგოსლავია დალაშქრეს. 11 აპრილს ზაგრებში საზეიმოდ გამოცხადდა ხორვატიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა, რომელსაც სათავეში უსტაშთა ორგანიზაციის ბელადი, დოქტორი ანტე პაველიჩი ჩაუდგა. ის სრულფასოვანი დამოუკიდებელი ქვეყნის შექმნას ესწრაფვოდა, ეს კი გერმანია-იტალიის ინტერესებში არ იჯდა.

ხორვატიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა ბევრს სრულ ფიქციად ესახებოდა. ქვეყანა გერმანულ და იტალიურ საოკუპაციო ზონებად დაყვეს. მუსოლინიმ ხორვატიას მთელი ზღვისპირეთი ჩამოაჭრა. გერმანელები და იტალიელები ხელს უშლიდნენ პაველიჩს ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნაში.

ამის შედეგი იყო ის, რომ 1942 წლის გაზაფხულზე ხორვატიის ტერიტორიაზე ტიტოს არმია შეიჭრა. წითელი პარტიზანები ზაგრებს უახლოვდებოდნენ. სახელდახელოდ შეკრებილი ხორვატელი მოხალისეები მათ თავდადებით ებრძოდნენ, მაგრამ ძალები არათანაბარი იყო. პაველიჩმაც დახმარებისთვის ჰიტლერს მიმართა.

მალე ხორვატიაში ჩავიდა სპეცჯგუფი, რომელსაც ოტო სკორცენი მეთაურობდა. უსტაშთა ერთ-ერთ ლიდერთან, იურაი ფრანცეტიუჩთან ერთად სკორცენი ანტიპარტიზანული ოპერაციის დაგეგმვას შეუდგა. მისი ინიციატივით შეიქმნა გერმანულ-ხორვატიული გაერთიანებული ჯგუფი, რომელიც ტიტოს შტაბის მიმდებარე ტერიტორიაზე გადასხეს.

ტიტო ამას არ მოელოდა. მან და მისმა გარემოცვამ თავს გაქცევით უშველეს. თავად ტიტო მხარში დაიჭრა, მოკლეს ტიტოს შტაბის უფროსი. რამდენიმე პარტიზანი მეთაური სკორცენის ბოევიკებმა დაატყვევეს.

უსტაშებმა ძალები მოიკრიბეს და ძლიერი დარტყმა აგემეს ტიტოს. ახლა, როცა ზაგრებსა და ცენტრალურ ხორვატიას საფრთხე აღარ ემუქრებოდა, ოტო სკორცენი ბერლინში დაბრუნდა. წარმატებული ოპერაციისთვის მას ჰაუპტშტურმფიურერის წოდება მიანიჭეს.

გერმანულ სატრანსპორტო ჰლანერ DFS-230-ს ოპერაციისთვის ამზადებენ

გენერალი კურტ შტუდენტი

დავიღუპები ან დავიხსნი!

ჰიტლერისა და სკორცენის შეხვედრა ფიურერის ბუნკერში 1943 წლის 4 აგვისტოს გაიმართა. ჰიტლერი უნებლიეთ შეცბა. გოლიათ სკორცენის იგი წელამდე სწვდებოდა.

— ჰიტლერი ერთხანს მდუმარედ იდგა, შემდეგ ხელი გამომიწოდა, — წერს სკორცენი.

თავად ჰაუპშტურმფიურერი გაოგნებული იყო. მას ხელს თვით ჰიტლერი უწვდიდა, კაცი, რომელიც მისი აზრით როგორც გერმანიის, ისე მთელი კაცობრიობის მომავლის მჭედელი იყო. აღელვებული სკორცენი კრინტს ვერ ძრავდა. ჰიტლერმა გაიღიმა და მკლავზე ხელი მოუთათუნა:

— დაბრძანდით, გთხოვთ.

სკორცენი დაჯდა. ჰიტლერი მის პირდაპირ საავარძელში ჩაეშვა.

— ჰერ ჰაუპტშტურმფიურერო, — ყრუდ წარმოთქვა ჰიტლერმა, — დუჩე ღალატის მსხვერპლი აღმოჩნდა! მას უღალატა მეფემ, არმიამ, ყველამ! ახლა მუსოლინი დაპატიმრებულია! ჩემი სურვილია, რომ იგი დავიხსნათ, გასაგებია?

— დიახ, ჩემო ფიურერო! — სკორცენი წამოხტა და ფეხი ფეხს შემოჰკრა.

— კი, მაგრამ ეს ძალიან რთული ამოცანაა, — ჰიტლერი წამით გაჩუმდა, — დუჩეს გაძლიერებულად იცავენ.

— ჩემთვის მთავარი თქვენი სურვილია! — მიუგი სკორცენიმ, — ან დავიღუპები, ან მუსოლინის დავიხსნი!

ფიურერის ბრძანებით სკორცენის ფართო უფლებები მიანიჭეს. მასზე მუშაობდა იტალიის ტერიტორიაზე მყოფი SD-სა და აბვერის (გერმანიის სამხედრო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახური) აგენტურა. სკორცენის განკარგულებაში იმყოფებოდა სადესანტო ჯარები მისი სარდლის, გენერალ კურტ შტუდენტის მეთაურობით. ოპერაციას „მუხა“ დაარქვეს.

იძებნება დუჩე

სკორცენის გეგმა მარტივი იყო. მედესანტეთა ჯგუფი იტალიაში გადასხდებოდა, განაიარაღებდა დაცვას, შემდეგ დუჩეს თვითმფრინავში ჩასვამდა და გერმანიაში ჩაიყვანდა. თითქმის ყველაფერი გათვლილი იყო. რჩებოდა ერთი „წვრილმანი“ — მუსოლინის ადგილსამყოფლის დადგენა. მას გაძლიერებულად იცავდნენ და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავდათ.

მუსოლინის პოვნა კარგა ხანს ვერ ხერხდებოდა. ერთხელ თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, დუჩეს ადგილსამყოფელი დადგინდა, მედესანტეთა ჯგუფიც მზად იყო, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ყველაფერი ჩაიშალა. აგენტურამ სკორცენის აცნობა, რომ მუსოლინი სხვაგან გადაიყვანეს.

დუჩეს ძებნა გაჭიანურდა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, უკვე მუსოლინის პატიმრობის ადგილიც იცოდნენ, მაგრამ ოპერაციის დაწყების წინ აგენტურა იტყობინებოდა, დუჩე სხვაგან გადაიყვანესო. ჯგუფსაც ყველაფრის თავიდან დაწყება უხდებოდა.

ბოლოს და ბოლოს დადგინდა, რომ მუსოლინი მთებში, გრან სასოს მასივში იმყოფება, სადაც სასტუმრო „კამპო იმპერატორეში“ ჰყავთ გამოკეტილი.

— აგენტურამ გვაცნობა, რომ დღე-დღეზე მუსოლინი ამერიკელებისთვის უნდა გადაეცათ. ჩვენც მოქმედებას შევუდექით, — წერს სკორცენი.

ოპერაციის დასკვნითი ფაზა 1943 წლის 12 სექტემბერს დაიწყო.

ეს სიგიჟეა!

სასტუმრო „კამპო იმპერატორე“ მთაზე მდებარეობდა. იქ ასვლა მხოლოდ საბაგირო გზით თუ შეიძლებოდა.

— რჩება ერთადერთი გამოსავალი: „კამპო იმპერატორესთან“ პლანერებით უნდა გადავსხდეთ და მუსოლინი გავათავისუფლოთ, — წარმოთქვა სკორცენიმ.

— ეს სიგიჟეა! — შეიცხადა გენერალმა შტუდენტმა, — გადარჩენის შანსი მხოლოდ ერთი პროცენტია!

— არა უშავს!

— თქვენი თავი თქვენ გეკუთვნით, მაგრამ ჯარისკაცები? მათი გაწირვის უფლება არ გაქვთ! — შტუდენტი გააფთრებისგან წამოჭარხლდა.

— ყველანი გერმანიისა და ფიურერის ჯარისკაცები ვართ, — მიუგო სკორცენიმ, — მიმდინარეობს ომი! ჩვენი მეომრები, რომლებიც აღმოსავლეთ ფრონტზე იბრვიან...

— მაშინ ჯარისკაცებს ყველაფერი უნდა ვუთხრათ! — გენერალი წამით გაჩუმდა, — მათ უნდა იცოდნენ, რაზეც მიდიან.

— არავითარ შემთხვევაში! — სკორცენიმ თავი გააქნია, — ეს სახელმწიფო მნიშვნელობის დავალებაა! ყველამ უნდა ზუსტად იმდენი იცოდეს, რამდენიც აუცილებელია!

შტუდენტი მაინც ჯიუტობდა. მან ბერლინს აცნობა, სკორცენის გეგმა ავანტიურაა და მხოლოდ ტყუილუბრალო მსხვერპლი მოჰყვებაო. „გააკეთეთ ყველაფერი, რასაც სკორცენი გეუბნებათ!“ — იყო პასუხი ბერლინიდან.

საეჭვო არაფერი ჩანდა — პლანერებიდან ამერიკულ ფორმებში გამოწყობილი მედესანტეები გადმოვიდნენ

ოტო სკორცენი და მუსოლინი სასტუმრო „კამპო-იმპერატორედან“ გამოდიან

ანაზღეული თავდასხმა

სკორცენიმ მედესანტეები პირადად შეარჩია. თითოეულ მათგანს პირადად გაესაუბრა. ყველანი ამერიკულ სამხედრო ფორმაში გამოაწყვეს. რაკი მუსოლინის ამერიკელებისთვის გადასაცემად ამზადებდნენ, აშშ-ის ჯარისკაცების გამოჩენა ეჭვს არ გამოიწვევდა. ასეთი ოპერაციებისას ანაზღეულობის მომენტი უმთავრესი იყო.

— თუკი მათ მოუმზადებლებს მოვუსწრებთ, ყველაფერი კარგად იქნება, — განაცხადა სკორცენიმ.

დივერსანტები ლუფტვაფეს სატრანსპორტო პლანერებით (DFS-230) გაფრინდნენ.

თვითმფრინავი Fieseler Fi 156 Storch-ი, რომელშიც მუსოლინის სკორცენისთან ერთად ჩაჯდომა არ უნდოდა

სასტუმროს დაცვამ, რომელიც მუსოლინის დარაჯობდა, თვითმფრინავები შენიშნა. მალე პლანერები დაეშვნენ, მაგრამ მცველები მშვიდად იდგნენ. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ გერმანელი დივერსანტები ამას გაბედავდნენ. პლანერები შეჩერდნენ და იქიდან ამერიკულ ფორმაში გამოწყობილი ჯარისკაცები გადმოვიდნენ. ყველაფერი რიგზეა, ამერიკელები არიან... — გონს მცველები მხოლოდ მაშინ მოვიდნენ, როცა სკორცენის ბიჭებმა ისინი მიზანში ამოიღეს:

— ჰენდე ჰოხ!

დაფეთებულმა მცველებმაც ხელები ასწიეს. ისე იყვნენ ელდანაცემი, რომ არც ერთ მათგანს გასროლაც კი არ უცდია. მედესანტეებმა ყველა მათგანი განაიარაღეს. თავად სკორცენი სასტუმროს შენობაში შევარდა, კიბე აირბინა და მუსოლინის ოთახში შეიჭრა.

— დუჩე, მე ფიურერმა გამომგზავნა! თქვენ თავისუფალი ხართ!

გაოგნებული მუსოლინი ერთხანს უძრავად იდგა, თვალებს დაბნეული ახამხამებდა, თითქოს არ სჯეროდა, რომ ყოველივე ცხადში ხდებოდა. სკორცენი მის წინაშე მხედრულად გაიჭიმა და გაიმეორა: მოგახსენებთ ჰაუპტშტურმფიურერი ოტო სკორცენი, მე ფიურერმა გამომაგზავნა. თქვენ თავისუფალი ხართ.

— გმადლობთ, — წაიჩურჩულა მუსოლინიმ და გადაეხვია.

ფიურერის ბრძანებით

ოპერაცია დასკვნით ფაზაში შევიდა. მუსოლინი უნდა გადაეყვანათ. ამისთვის სასტუმროსთან დაჯდა პატარა გერმანული თვითმფრინავი Fieseler Fi 156 Storch-ი. სკორცენი თვითმფრინავი თავად მიუძღვა, კარი გამოაღო. მუსოლინი შედგა:

— ამით უნდა გავფრინდე?

— დიახ.

— მერე თქვენ?

თვითმფრინავში მხოლოდ ორი ადგილი იყო. სკორცენი დუჩეს უმალ მიუხვდა, გაიღიმა:

— მეც თქვენთან ერთად მოვფრინავ.

მუსოლინის უნებლიეთ ფერი წაუვიდა. დუჩე თავადაც კარგი მფრინავი იყო და იცოდა, რომ თუკი ორ კაცზე მეტი ჩასხდებოდნენ, ავარია თითქმის გარდაუვალი იყო. მათ კი

დუჩემ მხოლოდ ბოლო მომენტში შეიტყო, რომ სამნი უნდა გაფრენილიყვნენ

მას თვითმფრინავში ჩაჯდომა მხოლოდ იარაღის მუქარით აიძულეს

ნაცისტურ პრესაში დუჩეს გათავისუფლების ოპერაცია ფართოდ შუქდებოდა და ფოტოებთან ერთად, ქვეყნდებოდა მხატვრული ილუსტრაციებიც

მთებზე უნდა ეფრინათ. დუჩემ შესძახა:

— მაშ მე არ გავფრინდები!

სკორცენიმ დაუსტვინა. რამდენიმე მედესანტე უმალ მათთან გაჩნდა და სკორცენის ნიშანზე დუჩე მიზანში ამოიღო:

— ეს ფიურერის ბრძანებაა! — ჩუმად წარმოთქვა სკორცენიმ, — გთხოვთ, დუჩე.

— მესვრი? — თითქმის ჩურჩულით შეეკითხა მუსოლინი.

— თუკი ჩაჯდომაზე უარს განაცხადებთ, აუცილებლად გესვრით! — მტკიცედ მიუგო სკორცენიმ.

მუსოლინიმ ამოიოხრა, უმწეოდ მიმოიხედა და თვითმფრინავში ჩაჯდა. მფრინავმა შეიტყო თუ არა, რომ ორის ნაცვლად სამი კაცი ჯდებოდა, ისტერიკა დაეწყო. სკორცენიმ მას სილა გააწნა, შემდეგ რევოლვერი იძრო და ხახაში ჩასჩარა:

— აბა, გონს მოდი, გესმის?

რამდენიმე წუთის შემდეგ თვითმფრინავი, რომელშიც მფრინავი, მუსოლინი და სკორცენი ისხდნენ, ზეცაში აიჭრა. ოპერაცია „მუხა“ დასრულდა.

მესამე რაიხის გმირი

— მუსოლინის გათავისუფლებას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამან მთელ მსოფლოს აჩვენა, რომ გერმანია ჯერ კიდევ ძლიერია, — წერს საბჭოთა მწერალი, ფიოდორ გლადკოვი.

მუსოლინი გერმანიაში ჩაიყვანეს. აეროდრომზე ჰიტლერი მას პირადად დახვდა. ფიურერი და დუჩე ერთმანეთს გადაეხვივნენ. ეს სცენა ფირზე აღიბეჭდა და მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

ორი დღის შემდეგ გაზეთმა „ფრანფურკერ ცაიტუნგმა“ სკორცენის ვრცელი სტატია მიუღვნა, სადაც მუსოლინის გათავისუფლების ოპერაცია დაწვრილებით იყო აღწერილი.

დივერსანტები, ჩვეულებრივ, ჩრდილში რჩებიან ხოლმე. სკორცენის შემთხვევაში პირიქით მოხდა. ნაცისტური წამყვანი გაზეთების პირველ გვერდებზე მისი დიდი პორტრეტი მოათავსეს. იქვე იყო დაბეჭდილი სკორცენის მოკლე ბიოგრაფია და აღწერილი იყო, როგორ გაათავისუფლეს მუსოლინი.

— ტოტალიტარულ რეჟიმს თავისი გმირები სჭირდება. მესამე რაიხის ერთ-ერთი გმირი ოტო სკორცენი გახდა, — წერს ფიოდორ გლადკოვი.

სკორცენის სახელი უკვე მაშინ, 1943 წელს, ფართოდ გახდა ცნობილი. მას, იცნობდნენ როგორც გერმანიაში, ისე მთელ მსოფლიოში. სტატიები სკორცენის შესახებ „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გადაბეჭდა, შემდეგ ინგლისურმა პრესამაც გამოაქვეყნა. 1944 წლის 1-ელ იანვარს „იზვესტიაში“ მოკლე ცნობა გამოქვეყნდა: მუსოლინის გათავისუფლების ოპერაციას ესესელი ოტო სკორცენი ხელმძღვანელობდაო.

* * *

ჰიტლერმა სკორცენის ღვაწლი დაუფასა და პირველი ხარისხის რკინის ჯვრით დააჯილდოვა. ტყვეობიდან გათავისუფლებული მუსოლინი იტალიაში დააბრუნეს. დუჩემ ე.წ. „სალოს რესპუბლიკა“ შექმნა და დასაღუპავად განწირული გერმანიის მხარეს ბრძოლა განაგრძო. იტალიაში სამოქალაქო ომი გაჩაღდა. ის 1945 წლამდე გრძელდებოდა.

ნიკა თევზაძე

ისტორიის დოქტორი

აირჩიე შესაფერისი იარაღი. ისროლე ზუსტად
გააუმჯობესე შენი შაშხანის სიზუსტე
ისწავლე თოფისთვის საფანტის შერჩევა

335 მნიშვნელოვანი რჩევა **ნადირობის** შესახებ

ფასი
29.95 ლარი

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ: 0(32) 238 26 73, 0(32) 238 26 74 www.elva.ge

საფრანგეთის „ძუ ლომების“ სასახლე

ციხე-დარბაზი შენონსო

700 წლის ციხე-დარბაზი შენონსო საფრანგეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაგებობაა, რომელსაც უამრავი ადამიანი სტუმრობს მთელი მსოფლიოდან. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ის კერძო საკუთრებაა, რომანტიკულ ადგილად მიჩნეული ისტორიული ციხე-დარბაზი მუდმივად ღიაა დამთვალიერებლებისთვის. ციხე-დარბაზი აგებულია დეპარტამენტ ენდრ-ეტ-ლუარაში, პატარა სოფელ შენონსოს მახლობლად, მდინარე შერის თვალწარმტაც სანახებში. მხოლოდ თავდაცვითი მიზნებისთვის ეს კომპლექსი არც არასდროს ყოფილა განკუთვნილი.

მამული შენონსო 1243 წლიდან ოვერნელი დე მარკების ოჯახს ეკუთვნოდა. ისინი ფლობდნენ აქაურ ციხესიმაგრეს, რომელსაც მდინარე უვლიდა გარს და ნაპირსა და გვერდით მდებარე წისქვილს ასაწევი ხიდით უკავშირდებოდა. დღეს შენონსოს პირველ მფლობელებს ერთადერთი ნაგებობა — ეული კოშკი დონჟონი გვაგონებს. კარლოს VI-ის მმართველობის დროს ჟან დე მარკმა თავის ციხესიმაგრეში ინგლისური გარნიზონი განალაგა, რის გამოც საფრანგეთის მეფემ თავდაცვითი ზღუდეების მოშლა ბრძანა.

XVI საუკუნის დასაწყისში დე მარკების ოჯახმა ფინანსური სირთულეების გამო შენონსოს მამულის მიწების ნაწილ-ნაწილ გაყიდვა დაიწყო. საბოლოოდ ისინი ფრანცისკ I-ის სასახლის კარზე მომსახურე, ნორმანდიის ფინანსურ საქმეთა ინტენდანტმა თომას ბოიემ შეიძინა. 1512 წელს მან ციხესიმაგრეც იყიდა, თუმცა შენონსოს მოვლისა და აღმშენებლობის სამუშაოები, თომასის მოუცლელობის გამო, მის მეუღლეს — ეკატერინა ბონეს დააწვა მხრებზე. ის პირველი ქალბატონია, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის შენონსოს შექმნაში.

მდინარე ლუარის ველზე მრავალი უმშვენიერესი ციხე-დარბაზია განლაგებული. მათი იმდროინდელი მფლობელების მიბაძვით, თომასმა და ეკატერინამ გადაწყვიტეს, ძველი ციხესიმაგრე დაენგრიათ და მის ადგილას ახალი სასახლე აეგოთ რენესანსის სტილში. დატოვეს მხოლოდ დონჟონის კოშკი და მდინარეზე, სამხედრო-საფორტიფიკაციო მოსაზრებებით, ასევე ხელუხლებლად დარჩა ციხესიმაგრის რამდენიმე ელემენტი, ასაწევი ხიდის ჩათვლით. დანგრეული წისქვილის ადგილას აიგო მართკუთხა შენობა კუთხეებში გარეთ გაწეული კოშკებით, რომლებმაც დიდი ვესტიბიული შემოსაზღვრეს ისრისებრი თაღებით. ქვედა სართულის ოთხი ოთახი მეორე სართულის ასევე ოთხ ოთახს ფართო, სწორი კიბეებით უერთდებოდა — XVI საუკუნის დასაწყისში ხვეული კიბე უკვე გამოსული იყო მოდიდან და მათ სწორი კიბით ცვლიდნენ. ციხე-დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე გაშენდა შესანიშნავი ბაღი. საბოლოოდ, მშენებლობა 1521 წელს დასრულდა და მეტად ძვირი დაჯდა. ჩანს, ესეც იყო მიზეზი, რომ მეუღლეებს ერთ-ერთ მაღალ კოშკზე ამოეტვიფრათ — ტ.ბ.კ. (T.B.K. – Thomas Bohier & Catherine): „ვინც აქ ოდესმე მოვა, გაგვიხსენოს“. სამუშაოების დასრულების შემდეგ შენონსოს კაპელა ბურჟეს ეპისკოპოსმა, კარდინალმა ბონემაც აკურთხა, თუმცა ცოლ-ქმარს ახალი ციხე-დარბაზით ტკბობა დიდხანს არ დასცალდა: სამი წლის შემდეგ მეფის ამალაში მყოფი თომას ბოიე იტალიაში გარდაიცვალა. კიდევ ორი წლის შემდეგ ეკატერინა ბოიეც მოკვდა და შენონსო მათ

შენონსოს შესასვლელი საუკუნოვანი ჭადრების გრძელი ხეივანია

შენონსო შენობებისა და ლანდშაფტის ანსამბლია, მრავალი სხვა ციხე-დარბაზის მსგავსად, ის დღესაც გარშემორტყმულია დიანა პუატიესა და ეკატერინა მედიჩის „მეტოქე“ ბაღებით

ვაჟს, ანტუანს დარჩა. 1533 წელს კი მეფემ — ზურგს უკან „გაუმაძღრად“ წოდებულმა ფრანცისკ I-მა ანტუან ბოიეს შენონსო კონფისკაციის წესით წაართვა, ვითომდა ფინანსურ საქმეებში მამამისის შეცოდებათა გამო.

ციხე-დარბაზი, ფრანცისკ I-ის გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრეობით დარჩა მის ვაჟს, ანრი II-ს. სწორედ ამის შემდეგ ხდება ცნობილი დიანა დე სენ ვალე დე პუატიე „ქალბატონთა სასახლის“ მფლობელი რიგით მეორე ქალბატონი, საზეპურო საზოგადოების ბრწყინვალე „ძუ ლომი“, რომელიც სამეფო კარზე ჯერ კიდევ ფრანცისკ I-მა გამოარჩია.

ფრანცისკი, როგორც წესი, შენონსოს სტუმრობდა მცირე ამალით, რომელშიც შედიოდნენ მისი მეორე ცოლი ელეონორა ჰაბსბურგი, ვაჟი ჰენრიხი, რძალი ეკატერინა მედიჩი, მეფის ფავორიტი — დეტამპის ჰერცოგინია ანა დე პისლიო და მეფის ვაჟის, ანრის ფავორიტი დიანა პუატიე. სასახლეში ეწყობოდა ზეიმები, ლიტერატურული საღამოები, აღლუმები, ნადირობანი. მიუხედავად იმისა, რომ 19 წლით უფროსი იყო, დიანას ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა ანრიზე, რომელიც, ეკატერინა მედიჩიზე ქორწინების მიუხედავად, ფავორიტის უხვად დასაჩუქრებას 1547 წელს მეფედ გახდომის შემდეგაც განაგრძობდა. 1551 წელს მან კანონის დარღვევით, რომელიც სამეფო ქონების გასხვისებას კრძალავდა, შენონსოც დიანა დე პუატიეს აჩუქა, რომელმაც მაშინვე დაიწყო ახალი სამფლობელოს კეთილმოწყობა. მან შენონსო ახალდაგეგმარებული ბაღებითაც დაამშვენა, სადაც იმ დროისთვის სხვა მცენარეებთან ერთად ეგზოტიკურად მიჩნეული ხილი და ბოსტნეული, მაგალითად, ნესვი და არტიშოკი დაარგვევინა. სწორედ დიანამ ბრძანა მდინარე შერის სიღრმის ზუსტად გაზომვა უბრწყინვალესი კამაროვანი ხიდის ასაშენებლად, რომლის პროექტი არქიტექტორმა ფილიბერ დელორმმა შექმნა.

ხიდი ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს შენობა „წყალში მიცურავს“ — ამგვარი ეფექტი ქმნის რომანტიკულ გარემოს, რის გამოც მას ასევე „მცურავ“ ტაჯ-მაჰალადაც იხსენიებდნენ.

1559 წელს ანრი II ტურნირზე გრაფ მონტგომერის შუბის წვერისგან მიღებულმა ჭრილობამ იმსხვერპლა. დედოფალი ეკატერინა მედიჩი რეგენტი გახდა და მაშინვე შენონსოს ციხე-დარბაზის სამეფო მფლობელობაში დაბრუნებაზე დაიწყო ზრუნვა. დიანამ გაცლა ამჯობინა. ის საკუთარ ციხე-დარბაზ ანეში გარდაიცვალა 66 წლის ასაკში.

ეკატერინა მედიჩიმ ანუ შენონსოს მფლობელმა მომდევნო ქალბატონმა მაშინვე კომპლექსის განახლებას მიჰყო ხელი. დიანას ბაღების საპირისპიროდ — კომპლექსის მეორე მხარეს ახალი სამეფო ბაღები გააშენა. მისი ბრძანებით, არქიტექტორმა პრომატიჩომ არემარე დაამშვენა დიდებული თაღებით, შადრევნებით, ობელისკებით, მაღალი კოლონებითა და უჩვეულო სილამაზის ქანდაკებებით. შედეგად, შენონსო დღესაც გარშემორტყმულია დიანა პუატიესა და ეკატერინა მედიჩის „მეტოქე“ ბაღებით. ეკატერინამ სწორედ შენონსოში მოაწყო თავისი ვაჟის, ფრანცისკ II-ისა და მისი მეუღლის, მარიამ სტიუარტისადმი მიძღვნილი დიდი ზეიმი, სადაც 30-ზარბაზნიანი ბატარეა აძლევდა სალუტს. ბაღის გარდა, მამულში მან ახალი ნაგებო-

დღეს შენონსოს პირველ მფლობელებს ერთადერთი ნაგებობა — ეული კოშკი დონჟონი გვაგონებს

ციხე-დარბაზის ტალანებში

ლუი XIV-ის საცხოვრებელი ოთახი

ბებიც ააშენა სხვადასხვა სამსახურისთვის. სამუშაოები 1568 წელს დასრულდა. შენონსოში კიდევ ერთი ზეიმი 1577 წელს გაიმართა, როდესაც ანრი III პოლონეთიდან დაბრუნდა, რათა თავისი ძმის, შარლ IX-ისთვის ტახტზე მემკვიდრეობის უფლება დაედასტურებინა.

1580 წელს არქიტექტორმა ანდრუე დიუსერსომ ბოლომდე შეასხა ხორცი ფილიბერ დელორმის ჩანაფიქრს და ხიდზე ციხე-დარბაზის ახალი ფრთა ააგო. ორი გრძელი, უხვად შემკული ფასადი რიტმულადაა დასერილი ულამაზესი ფანჯრებით, რიზალიტებითა (*შენობის მთელ სიმაღლეზე აზიდული წინ გამოწეული ნაწილი*) და ლუკარნებით (*სარკმელი გუმბათოვან გადახურვაში*). ზედა სართული წარმოადგენდა სამეჯლისო დარბაზს, სადაც ეკატერინა მედიჩის გარდაცვალებამდე — 1589 წლამდე მდიდრული ზეიმები ეწყობოდა. თავისი ანდერძით მან შენონსო გადასცა ანრი III-ის ცოლს, ლუიზა დე ვედამონს, რომელიც გახდა მეოთხე ქალბატონი, ვისი ცხოვრებაც შენონსოს ციხე-დარბაზს დაუკავშირდა.

იმავე წელს, რამდენიმე თვის შემდეგ მეფე ანრი III სასიკვდილოდ დაჭრა ჟაკ კლემანმა. დაჭრილმა სიკვდილის წინ შენონსოში მყოფი ლუიზასთვის წერილი უკარნახა: „ჩემო ძვირფასო, იმედია მოვმჯობინდები, ილოცეთ ჩემთვის და არ დატოვოთ ადგილი, სადაც ახლა იმყოფებით“. ეს სიტყვები გახდა ლუიზა დე ვედამონისთვის იმის მიზეზი, რომ დედოფალს შენონსოს მამული სიკვდილამდე — 1601 წლამდე აღარ მიუტოვებია. ყოველგვარი ზეიმები შეწყდა, ავეჯი და დედოფლის საძინებლის კედლები თალხით შებურეს. ანტიკური დროიდან მომდინარე სამეფო ტრადიციით, ლუიზას თალხის ფერი თეთრი გახლდათ, რომელიც მას აღარასოდეს გაუხდია. სწორედ ამიტომ უწოდეს მას „თეთრი ქალბატონი“. ამის შემდეგ საფრანგეთის მეფეებმა შენონსოს ზურგი აქციეს. ბოლოს იქ 12 წლის ლუდოვიკო XIV ცხოვრობდა 1650 წელს. შენონსო მემკვიდრეობით დარჩათ ვანდომის ჰერცოგ ბურბონ-კონდეებს. მიგდებული ციხე-დარბაზის ერთ-ერთ ფრთაში კაპუცინების მონას-

დიანა დე პუატიეს ბაღი

ეკატერინა მედიჩის ოთახი

ტერიც გაიხსნა და იმ ეპოქას ბერების გარე სამყაროდან იზოლაციისთვის განკუთვნილი ასაწევი ხიდი გვაგონებს.

1773 წელს ჰერცოგმა შენონსო მდიდარ მიწათმფლობელსა და ბანკირს, კლოდ დიუპენს მიჰყიდა. მისი ცოლი — ხელოვნების, მეცნიერებისა და თეატრის დიდი მოყვარული ლუიზა დიუპონი შენონსოს მფლობელი მეჯუთე ქალბატონი გახლდათ. მან ციხე-დარბაზში მოდური სალონი გამართა, რომელსაც იმ დროის

მრავალი გამოჩენილი ადამიანი სტუმრობდა. ასევე მოაწყო ლუიზამ მომცრო თეატრი, სადაც წარმოდგენები იმართებოდა და გახსნა ე.წ. ფიზიკური კაბინეტი. აპარტამენტებში კი მეტი სიმყუდროვისთვის გამოცვალა ავეჯი. ლუიზა დიუპენმა სიცოცხლის ბოლო წლები სოფლელი მსახურებით გარშემორტყმულმა გაატარა, რომლებსაც ის ძალიან უყვარდათ. სწორედ ამიტომ, რევოლუციის დროს შენონსო საერთოდ არ დაზიანებულა. ლუიზა 1799 წელს გარდაიცვალა 93 წლის ასაკში და იქვე, ბაღში დაკრძალეს. დაცარიელებული ციხე-დარბაზი 1864 წელს მომდევნო ქალბატონს — მადამ პელუზს მიჰყიდეს, რომელმაც დიდი სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატარა, რათა შენონსოს ის სახე დაებრუნებინა, რაც ეკატერინა მედიჩის მოსვლამდე ჰქონდა. ამიტომ ფასადს მოაცილეს ფანჯრები და კარიატიდები (*სამოსიანი ქალის სკულპტურა, რომელიც მზიდი სვეტის ფუნქციას ასრულებს*), თუმცა ხიდზე არსებული ფრთა ხელუხლებელი დარჩა.

პელუზების ოჯახის გაკოტრების შემდეგ ციხე-დარბაზი კონფისკაციაში მოჰყვა და 1888 წელს მიჰყიდეს იმ დროის მდიდარ მეწარმე ანრი მენიეს. დღემდე სწორედ მენიეების ოჯახია შენონსოს მფლობელი. 1914

სამზარეულოს ერთ-ერთი ოთახი

წყალზე გადებული უბრწყინვალესი კამაროვანი ხიდი ააგებინა საფრანგეთის არისტოკრატიის სახელგანსმენილმა ბანოვანმა დიანა დე პუატიემ. ხიდი ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს შენობა „წყალში მიცურავს“ — ამგვარი ეფექტი ქმნის რომანტიკულ გარემოს, რის გამოც მას ასევე „მცურავ“ ტაჯ-მაჰალადაც იხსენიებდნენ

წელს გასტონ მენიემ, რომელიც სენისა და მარნის დეპარტამენტის სენატორი იყო, ციხე-დარბაზი ჰოსპიტალად გადააკეთა, სადაც პირველი მსოფლიო ომის დასრულებამდე 2000 დაჭრილს უვლიდნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს კი ციხე-დარბაზში მდებარეობდა მეკავშირე პუნქტი პარტიზანებისთვის, რადგან კომპლექსის ერთი ნაწილი მოქცეული იყო გერმანელთა ოკუპაციის ზონაში, მეორე ნაწილი კი ვიშისტური რეჟიმის ტერიტორიაზე... დღეს შენონსო სრულადაა აღდგენილი და ღიაა საზოგადოებისთვის.

* * *

შენონსოს შესასვლელში გრძელი ხეივანი უნდა გადაკვეთოთ, რომელიც საუკუნოვანი ჭადრებითაა შემორტყმული, გზა ფართო ესპლანადაზე (*ცარიელი უშენი ადგილი ციხესიმაგრის წინ*) გადის. მარჯვნივ დიანას ბაღია, რომლის შესასვლელში XVI საუკუნეში აგებული მმართველის სახლი — ე.წ. კანცელარია დგას. ბაღი წყალდიდობისგან ე.წ. სასეირნო ტერასითაა დაცული. საპარადო ეზოს კუთხეში კი კომპლექსის ყველაზე ძველი ნაგებობა — დონჟონის კოშკია აღმართული. სასახლის წინ მოედანზე მდებარე შუა საუკუნეების ჭა შემკულია დე მარკის ოჯახის ემბლემით — ქიმერითა და არწივით.

ასაწევი ხიდი საშუალებას იძლევა მოხვდეთ ქვედა სართულზე, სადაც მდებარეობს გვარდიელთა დარბაზი, რომლის კედლებზე XVI საუკუნის გობელენებია. კაპელაში კი კარარას მარმარილოსგან დამზადებული ქანდაკებები დგას, მათ შორის „მადონა ყრმით“. მწვანე დარბაზისა და დიანა დე პუატიეს ოთახის გარდა შესაძლებელია ვეწვიოთ გალერეას, სადაც გამოფენილია რუბენსის, პრიმატიჩოს, ვან ლოოს, მინიარისა და ნატიეს ტილოები. ხოლო სწორი კიბეებით თუ მეორე სართულზე ახვალთ, შეგიძლიათ ნახოთ გაბრიელ დესტრეს ოთახი, საპარადო ოთახი, ეკატერინა მედიჩისა და შარლ ვანდომელის ოთახები, ხუთი დედოფლის ოთახი. ამ უკანასკნელ ოთახს ასე ეწოდა ეკატერინა მედიჩის ორი ასულისა (ერთ-ერთი დედოფალი მარგოა) და სამი რძლის (მათ შორის მარია სტიუარტის) პატივსაცემად.

სასახლის გარეთ მდებარე მოსამსახურეთა შენობებში, სადაც ადრე სამეფო საჯინიბოები იყო, ცვილის ფიგურების მუზეუმია მრავ-

წიწვოვანი ლაბირინთი კარიატიდებით

ლისმეტყველი სახელწოდებით „ქალბატონთა გალერეა“. მუზეუმში დადგმულია სცენები შენონსოს ყველაზე ცნობილი ისტორიული პერსონაჟებით. ციხე-დარბაზის გვერდითაა ასევე XVI საუკუნის ფერმა, ბოსტანი, წიწ-ვოვანი ლაბირინთი კარიატიდებით და ე.წ. საყვავილე, სადაც სასახლის ბაღებში ყოველ გაზაფხულზე დასარგავად დაახლოებით 130 ათასამდე მცენარე გამოჰყავთ!

რამაზ გურგენიძე

სასახლის საყვავილეში ყოველწლიურად 130 ათასამდე მცენარე გამოჰყავთ

„ქართული ზეიმი“ თურქეთის რესპუბლიკაში

საქარიას რეგიონში გამართულ „ქართულ ზეიმზე“ მღერიან ბაიარ შაჰინი და ეროლ ალკანი

2014 წლის 25 მაისს თურქეთის რესპუბლიკაში, საქარიას რეგიონში გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 26 მაისისადმი მიძღვნილი „ქართული ზეიმი“. ზეიმი დაგეგმა „მარმარილოს რეგიონის ქართველთა საზოგადოებამ“. მისი ერთ-ერთი წევრის, გიორგი ირემაძის თქმით, პირველად 26 მაისის დღესასწაული თურქეთის ქართველობამ 2013 წელს აღნიშნა. წლევანდელი ზეიმი ბევრად უფრო მასშტაბური იყო, მასში 2 ათასზე მეტი ქართველი მონაწილეობდა. იგი ღია ცის ქვეშ გაიმართა, საქარიას ილ ორმანის პარკში, სადაც საგანგებოდ მოეწყო ამფითეატრი.

ზეიმი დღის პირველ საათზე დაიწყო და საღამოს შვიდ საათამდე გაგრძელდა. ქართველები თურქეთის სხვადასხვა რეგიონიდან აქ ოჯახებთან ერთად მოვიდნენ. მონაწილეთა შორის იყვნენ ხანდაზმულები, საშუალო ასაკის ადამიანები, ახალგაზრდები და ბავშვებიც — დღესასწაულს ოჯახური ხასიათი ჰქონდა. პარკში მრავალ ადგილას გაეშალათ სუფრა და მასპინძლები საგანგებოდ ამ დღისთვის მომზადებული ქართული ეროვნული კერძებით უმასპინძლდებოდნენ სტუმრებს.

პარკის ცენტრში განთავსებულ ამფითეატრში უწყვეტად მიმდინარეობდა სადღესასწაულო წარმოდგენა-კონცერტი. ღონისძიება ერეკლე დავითაძეს (ერდოგან შენოლს) და იმერ ზუმბაძეს (უღურ ზუბოღლუ) მიჰყავდათ.

კონცერტში მონაწილეობდნენ სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები, იმერხეველთა ჯგუფი, მომღერლები ბაიარ შაჰინი-გუნდარიძე, ეროლ ალკანი, სოსო ჩიკაძე (სონერ ორალი), საქართველოდან ჩასული ჯგუფი „შურიმშინე“... ლიტერატურული კომპოზიცია წარმოადგინეს დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების პროფესორმა მაკა სალიამ და მისმა სტუდენტებმა. ბატონმა ორჰან ბერიძემ და მისმა ვაჟიშვილმა სეფამ სცენიდან „ვეფხისტყაოსანი“ აამეტყველეს.

იბერია მელაშვილმა და მისმა ანსამბლმა წარმოადგინა ქართული ეთნომუსიკალური ფოლკლორის ერთ-ერთი შედევრი „თირნიჰორირამა“. ბატონმა იბერიამ, მუსიკოსთა ჯგუფთან ერთად მასტერკლასი მოაწყო, დაარიგა სიმღერის ტექსტი, ქართული ფერხულის შესასრულებლად ასობით ადამიანი შეაგულიანა და დიდი ფერხულიც შეიკრა..

ზეიმის მონაწილეები

კონცერტი დაასრულა ინეგოლელ ქარ-

ფოტოზე (მარცხნიდან): ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ბუბა კუდავა, საქართველოს ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში ირაკლი კოპლატაძე და ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი ერდოგან შენოლი

იბერია მელაშვილი და ანსამბლი „კაფდალი“

თველთა მიერ შესრულებულმა ადრესაგა-ზაფხულო, საკარნავალო ციკლის შესანიშნავმა ნიმუშმა „ფადიკომ“, რასაც მაყურებელი აღფრთოვანებით შეხვდა.

ქართული ზეიმის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში, ირაკლი კოპლატაძე, სტუმრები საქართველოდან: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ბუბა კუდავა, პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი. დარიგდა საელჩოსა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ სპეციალურად ამ დღისთვის კალიგრაფისტის მიერ შესრულებული ქართული ანბანის 1000-ზე მეტი პლაკატი, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირებული გამოცემები. მონაწილეებს საჩუქრად გადაეცათ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გაგზავნილი „დედა ენის“ გამოცემა და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა.

ზეიმმა მართლაც საერთო-სახალხო ხასიათი მიიღო, გააერთიანა თურქეთის ქართველთა სხვადასხვა საზოგადოება, სოციალური ფენები, ასაკობრივი ჯგუფები.

ორგანიზატორთა სიტყვით, 2015 წლის 26 მაისისადმი მიძღვნილი დღესასწაული კიდევ უფრო მასშტაბური იქნება.

როზეტა გუჯეჯიანი: — ამ დღისთვის მთელი წლის განმავლობაში ვემზადებოდით. მადლობა მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველთა საზოგადოებას, ქართული ზეიმის

პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი (მარჯვნიდან) საქარიელ ქართველებთან

ორგანიზატორებს, თურქეთის რესპუბლიკის ადგილობრივ ხელისუფლებას, საქარიას რეგიონს, ყველა მონაწილეს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში „დედა ენითა“ და სხვა საჭირო ლიტერატურით ამარაგებს თურქეთის ქართველთა საკვირაო სკოლებს.

გიორგი ირემაძე (*სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლი*): — თურქეთის ქართველთა სახელით, მინდა მადლობა გადავუხადო ჟურნალ „ისტორიანს“, მის რედაქციას, რადგან მუდმივად ვგრძნობთ თქვენს მხარდაჭერასა და კეთილგანწყობას. იცოდეთ, რომ დიდძალი მკითხველი გყავთ მარმარილოს ზღვის სანაპიროზე და ტაო-კლარჯეთში მცხოვრებ ქართველთა სახით და არა მხოლოდ ისინი. სტამბოლში მცხოვრები ქართველებიც მოუთმენლად ელოდებიან საქართველოდან ჟურნალ „ისტორიანის“ ყოველი ნომრის ჩამოსვლას. განსაკუთრებით გაგვახარა რეპორტაჟებმა, რომლებშიც წარმოჩენილი იყო ჩვენი ტრადიციული ყოფა და კულტურა. ჟურნალში ხშირად ქვეყნდება საინტერესო მასალები თურქეთში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებზე, ტაო-კლარჯეთელ ქართველებზე, ქართული კულტურის ძეგლებსა და ქართულ-თურქულ ურთიერთობებზე, რაც ბუნებრივია, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩვენს შემდგომ დამეგობრებას.

საქარიელი ქართველები

„ისტორიანი“

ფერხული შეიკრა

ჰიტლერული თამაშები

ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტა და გახსნის პომპეზური ცერემონია თამაშებს სწორედ ნაცისტებმა „უსახსოვრეს“

ჯერ კიდევ ოლიმპიური მოძრაობის სულისჩამდგმელი, პიერ დე კუბერტენი ქადაგებდა პრინციპს — „სპორტი პოლიტიკის გარეშე“. თუმცა პოლიტიკური დემარშები პირველ თამაშებსაც არ დაჰკლებია, ხოლო 1936 წლის ოლიმპიადა სულაც პოლიტიკურ იარაღად იქცა მასპინძელი სახელმწიფოს ხელში.
პირველი „პოლიტიკური ოლიმპიადის“ შემოქმედი ჰიტლერული გერმანია იყო, რომელთანაც პარალელები ახლახან, სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დროს მსოფლიოში ბევრმა გაავლო...

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, 1912 წლის ზაფხულის VI ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ბერლინი უნდა ყოფილიყო. გერმანიის დედაქალაქში შეუდგნენ კიდეც საშზადისს, თუმცა ამაოდ — პირველ მსოფლიო ომს თამაშების გადადება მოჰყვა, არშემდგარი ოლიმპიური ჩემპიონები

ისტორიაში პირველ მასობრივ წარმოდგენაში ოლიმპიადის გახსნისას 10 ათასზე მეტი ბავშვი მონაწილეობდა, ხოლო ორკესტრს დირიჟორობდა რიხარდ სტრაუსი

კი ერთმანეთს ფრონტის ხაზზე უპირისპირდებოდნენ.

1919 წელს ომში გამარჯვებული ქვეყნები ვერსალში შეიკრიბნენ და დამარცხებული გერმანიის ომის შემდგომი ბედი გადაწყვიტეს — ტერიტორიების „ჩამოჭრის“ გარდა, მას უზარმაზარი კონტრიბუციაც დააკისრეს. ყველაფერთან ერთად, გერმანია მოიკვეთა ევროპის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრებიდან. ქვეყანა სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა — ის არც 1920 და 1924 წლების ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა შორის ყოფილა.

შეზღუდვები 1928 წელს მოიხსნა და გერმანელმა ათლეტებმა ამსტერდამის თამაშებში მეორე ადგილი დაიკავეს, რითაც მთელ მსოფლიოს დაანახვეს, რომ გერმანელთა „ტევტონური სული“ არ მომკვდარა. გათამამებულმა გერმანიამ ბრძოლა დაიწყო XI ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში (სოკ) განაცხადიც შეიტანა.

ბერლინის გარდა, თამაშების მასპინძლობის სურვილი თავდაპირველად კიდევ ცხრა ქალაქმა გამოთქვა, თუმცა სოკ-ის წევრებმა საბოლოო არჩევანი 1930 წლის 13 მაისს, ლოზანაში, ორ კანდიდატს — ბერლინსა და ბარსელონას შორის გააკეთეს. ხმათა დიდი უპირატესობით (43/16) ბერლინმა გაიმარჯვა.

რა სარგებლობა მოაქვს ოლიმპიადას

გერმანიის ხელისუფლებაში 1933 წელს მისულ ადოლფ ჰიტლერს თავდაპირველად სულაც არ ეხატებოდა გულზე ოლიმპიური იდეები, მეტიც, ოლიმპიადას ებრაელებისა და მასონების გამოგონებას უწოდებდა. არც ქვეყანაში იყო თამაშებისადმი ერთგვაროვანი დამოკიდებულება. ბევრ გერმანელს არ სურდა ვერსალის დამამცირებელი განაჩენის დავიწყება, ისევე როგორც თავის სამშობლოში ინგლისელი და ფრანგი სპორტსმენების ნახვა.

ნაცისტთა შორის ანტიოლიმპიურმა მოძრაობამ იმძლავრა. მათ მიაჩნდათ, რომ არიელ სპორტსმენებს „არასრულფასოვანი“ ხალხების წარმომადგენლებთან ასპარეზობა არ ეკადრებოდათ.

იდეოლოგიური თვალსაზრისითაც, ჰიტლერი ოლიმპიადაში ღირებულს ვერაფერს

საგანგებოდ დამზადებული ოთხმეტრიანი, ათტონიანი ზარი თამაშების სიმბოლოდ იქცა

ოლიმპიადისთვის შექმნილი სკულპტურული კომპოზიცია არიელი ათლეტების უპირატესობას გამოხატავდა

ბერლინის ოლიმპიური სტადიონი 1936 წელს

ოლიმპიადის გრანდიოზულად ჩატარება ჰიტლერს იოზეფ გებელსმა გადააწყვეტინა

ხედავდა. წინა, 1932 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე გერმანია მეცხრე ადგილს დასჯერდა. ასეთი შედეგი არიული რასის უპირატესობის ხაზგასასმელად არ გამოდგებოდა.

ჰიტლერზე გავლენა გებელსმა მოახდინა. სწორედ პროპაგანდის მინისტრმა შესთავაზა დიქტატორს, არა მხოლოდ მხარდაჭერა გამოეცხადებინა ოლიმპიადისთვის, არამედ იგი გერმანიისა და ნაცისტური რეჟიმის პროპაგანდისთვის გამოეყენებინა.

გებელსის ხედვით, ერთი მხრივ, ოლიმპიადა ქვეყნის მოსახლეობას ფიურერისა და რეჟიმის გარშემო გააერთიანებდა, მეორე მხრივ კი, მსოფლიოს ახალ გერმანიას გააცნობდა: მშვიდობისმოსურნე, ერთ მუშტად შეკრული ერით, რომელსაც საერთო-სახალხო ლიდერი ჰყავს. დადებითი საერთაშორისო იმიჯი გერმანიისთვის არა მხოლოდ პოლიტიკური იზოლაციიდან გამოსვლის წინაპირობა, არამედ საერთაშორისო ეკონომიკური კონტაქტების დამყარების საშუალებაც გახდებოდა. კაპიტალის შემოდინება კი იმხანად ჰაერივით სჭირდებოდა გერმანიას.

საკადრისი სპორტული შედეგების მიღებაზე ჰიტლერის წინაშე თავს ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელი კარლ დიმი დებდა, — გერმანელ ათლეტებს წარმატების მიღწევა ნამდვილად შეუძლიათო.

ასე ესალმებოდნენ ქომაგები გერმანელ სპორტსმენებსა და ფიურერს

ჰიტლერი ესწრება ბავარიაში, გარმიშ-პარტენკირხენში გამართულ ზამთრის IV ოლიმპიური თამაშებს

სამზადისი

საბოლოოდ ჰიტლერმა გადაწყვიტა, რომ ბერლინის ოლიმპიადა წინამორბედებთან შედარებით უფრო გრანდიოზული უნდა ყოფილიყო და მიზნის შესრულებას ენერგიულად შეუდგა. თუკი მანამდე გერმანიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა თამაშების ბიუჯეტი 3 მლნ რაიხსმარკით განსაზღვრა, ფიურერმა ის 20 მლნ-მდე გაზარდა.

დაიწყო სპორტული კომპლექსის მშენებლობა, რომელშიც 86-ათასადგილიანი სტადიონი, ღია სპორტული არენა, საცურაო აუზი, ღია თეატრი, იპოდრომი, ჰოკეის სტადიონი და 500-კოტეჯიანი ოლიმპიური სოფელი შედიოდა. სტადიონზე 74 მეტრი სიმაღლის სამრეკლოს აგება გადაწყდა და დამზადდა ოთხმეტრიანი, ათტონიანი ზარი, რომელიც XI ოლიმპიადის სიმბოლოდ იქცა.

კარლ დიმის იდეამ, ათენიდან ბერლინში ოლიმპიური ცეცხლის ჩირაღდანი ესტაფეტით ჩაებრძანებინათ, გებელსიც მოხიბლა და თავად ფიურერიც. სწორედ ასე იშვა ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტის ტრადიცია.

და კიდევ, თუკი მანამდე თამაშების გახსნა-დახურვისას მოკრძალებული ცერემონიით იფარგლებოდნენ, გებელსმა გერმანიაში თეატრალიზებული შოუს დადგმა გადაწყვიტა და ამით კიდევ ერთ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი.

თავის მხრივ, კინოდოკუმენტალისტიკის მსოფლიო ლეგენდა ლენი რიფენშტალმა დაიწყო 4-საათიანი ფილმის, „ოლიმპიას“ (თამაშების პირველი მასშტაბური კინოჩანაწერი) გადაღება.

არიული სპორტი

მაგრამ მესამე რაიხი მესამე რაიხად რჩებოდა. მალე სოკ-ამდე მივიდა ხმები გერმანიაში ებრაელთა დევნის შესახებ, რაც, სხვათა შორის, სპორტულ სამყაროზეც ვრცელდებოდა. „არასრულფასოვანი რასის“ წარმომადგენლებს სპორტული წრეებიდან, ასოციაციებიდან რიცხავდნენ. სოკ-ი ვითარებაში გარკვევას შეეცადა და ბერლინს ოლიმპიური თამაშების დედაქალაქის სტატუსის ჩამორთმევითაც დაემუქრა. გერმანიის პასუხმაც არ დააყოვნა — ეს ყველაფერი აღორძინებული გერმანიის მტრების მონაჩმახია, რომელ დევნაზეა ლაპარაკიო! თუკი ცალკეული შემთხვევა მაინც იყო, მას აუცილებლად გამოვიძიებთ და დამნაშავეებს საკადრისად დავსჯითო. სოკ-იც ამ პასუხით დაკმაყოფილდა.

1935 წლის სექტემბერში ამოქმედდა ე.წ. ნიურნბერგის კანონები, რომელიც ებრაელებისა და ბოშების უფლებებს ზღუდავდა. დევნამ კანონიერი საფუძველი მიიღო და „ტოტალური წმენდა“ სპორტულ სექციებსა და საზოგადოებებსაც მისწვდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა სპორტულ მიღწევებს, წოდებას, ტიტულს... ცნობისთვის, კრივის ასოციაციი-

ლენი რიფენშტალი „ოლიმპიის“ გადაღებისას

დან თვით გერმანიის ჩემპიონი ერიკ სილიგი გარიცხეს.

მსოფლიოში დაიწყო ბერლინის ოლიმპიადის ბოიკოტირების მოძრაობა, რომელსაც სათავეში აშშ-ის სპორტული საზოგადოება ჩაუდგა. მალე მას მხარი საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვედეთისა და ნიდერლანდების სპორტულმა ორგანიზაციებმაც აუბეს. საპროტესტო მოძრაობას შეუერთდნენ სპორტთან კავშირის არმქონე პოლიტიკური, საზოგადოებრივი, რელიგიური და კულტურული ორგანიზაციებიც. გაჩნდა ალტერნატიული ეროვნული თამაშების ბარსელონაში გამართვის იდეა.

ოლიმპიადის ჩაშლის საფრთხით შეშფოთებულმა სოკ-მა ბერლინში დელეგაცია აფრინა ვითარების ადგილზე შესასწავლად. გერმანელები ვიზიტს მომზადებული შეხვდნენ. სტუმრებს მშენებარე ილიმპიური ობიექტები დაათვალიერებინეს, ღონისძიებათა პროგრამა გააცნეს, ოლიმპიური სოფელი უჩვენეს და თამაშებთან დაკავშირებული სხვადასხვა სამკერდე ნიშნის, მედლების, ჯილდოებისა და სუვენირების ესკიზები წარმოუდგინეს...

ნაცისტებმა არც ბერლინის ქუჩებიდან ანტისემიტური ლოზუნგების მიჩქმალვა დაიზარეს, სოკ-ის წარმომადგენლებს შეხვედრა მოუწყვეს ებრაელ სპორტსმენებთან, რომლებიც გაოცებული სახეებით აცხადებდნენ, რომ გერმანიაში მათი დევნის შესახებ პირველად ესმოდათ.

სპორტული ფუნქციონერების დასამშვიდებლად, გერმანიამ თავის ოლიმპიურ ნაკრებში აშშ-ში მცხოვრები ემიგრანტი, მამით ებრაელი მოფარიკავე ქალი ჰელენ მაიერიც შეიყვანა. სხვათა შორის, ჰელენმა ჰიტლერს „ამაგი“ მალევე დაუფასა — დაჯილდოებისას, კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე მდგომმა, ნაცისტური მისალმებით ასწია ხელი.

ბოიკოტის ჩაშლა

გერმანიაში ვიზიტით მყოფი სოკ-ის წარმომადგენლები იმდენად დააბრმავა ოლიმპიადის სამზადისის მასშტაბურობამ, დაგეგმილი ღონისძიების ბრწყინვალებამ და გრანდიოზულობამ, რომ სხვას ვეღარაფერს ხედავდნენ. და არც უნდოდათ, რომ დაენახათ. დელეგაციამ ქვეყანა მტკიცე გადაწყვეტილებით დატოვა: კარს მომდგარი ოლიმპიადა აუცილებლად ბერლინში გაიმართებაო!

სოკ-ის გადაწყვეტილებას მხარი ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტებმა დაუჭირეს. არ იყო ერთსულოვნება თვით სპორტსმენებ-

შიც — ბევრ მათგანს, უბრალოდ, არ სურდა თავის წარმოჩენის ოთხ წელიწადში ერთხელ ბოძებული შანსის ხელიდან გაშვება.

ბოიკოტის მოძრაობას ლახვარი ჩასცა ბერლინის ოლიმპიადის მიმართ პიერ დე კუბერტენის მხარდამჭერმა განცხადებამ. მანამდე ოლიმპიური მოძრაობის მამამთავარმა გერმანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტიდან წერილი მიიღო, სადაც კომიტეტის წევრი თეოდორ ლევალდი თანადგომას სთხოვდა. წერილს თან 10 ათასი რაიხსმარკა ახლდა — ფიურერის პირადი შენატანი კუბერტენის ფონდში. რას დაუპირისპირებდა ასეთ „მძიმე არტილერიას“ 73 წელს მიტანებული ბარონი, რომელსაც ასაკთან ერთად, მატერიალური სირთულეებიც მომრავლებოდა?!

საბოლოოდ, ბოიკოტის საკითხი მხოლოდ ცალკეული სპორტსმენების გადასაწყვეტი გახდა.

ჯესი ოუენსისა და ლუც ლონგის (მარჯვნივ) მეტოქეობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდა

ზამთრის გენერალური რეპეტიცია

6-16 თებერვალს ბავარიის ალპებში, გარმიშ-პარტენკირხენში ზამთრის IV ოლიმპიური თამაშები მოეწყო, რასაც ჰიტლერი ერთგვარ რეპეტიციად განიხილავდა ბერლინის თამაშების წინ.

სტუმრები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. მათ 15-ათასადგილიანი ზამთრის არენა და მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი 10-ათასადგილიანი, ხელოვნურსაფრიანი ყინულის სასახლე იხილეს. თამაშების ორგანიზებას სოკ-მა, უბრალოდ, უბადლო უწოდა. ჰიტლერის გასახარად კი ოლიმპიადაზე საპრიზო ადგილები „ჩრდილოეთის რასის“ წარმომადგენლებმა დაიკავეს: ნორვეგიელებმა, გერმანელებმა, შვედებმა და ფინელებმა, რაც იდეალურად ესადაგებოდა ნაცისტთა რასობრივ თეორიას.

ჰიტლერი კმაყოფილი იყო, თუმცა კიდევ უფრო დიდ ტრიუმფს ზაფხულის ოლიმპიადაზე ელოდა.

ნაცისტური თამაშები

ზაფხულის XI ოლიმპიადის დღეებში (1-16 აგვისტო) ბერლინმა 49 ქვეყნის 4066 სპორტსმენსა და დაახლოებით 4 მილიონ გულშემატკივარს უმასპინძლა. თამაშებზე რეპორტიორები 41-მა სახელმწიფომ მიავლინა.

ბერლინიც საგანგებოდ „გაასუფთავეს“ და სამზადისში არა მხოლოდ ქალაქის მუნიციპალური სამსახურები, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ბერლინის პოლიციაც ჩაერთო. ქალაქს მოაცილეს ბოშები, უპოვარნი და მეძავები, ებრაელებისგან კი იქაურობა ჯერ კიდევ 1935 წელს იყო „გაწმენდილი“.

გებელსმა ოლიმპიადის დღეებში გაზეთებში ანტისემიტური შინაარსის სტატიების დაბეჭდვა აკრძალა. ქუჩებიდან გააქრეს დისკრიმინაციული პლაკატები და ლოზუნგები, მაღაზიებიდან — შესაბამისი თემატიკის ბროშურები და წიგნები. თვით ბერლინის მცხოვრებლებს მოუწოდეს, დროებით თავი შეეკავებინათ ებრაელთა მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ღიად გამოხატვისგან. სამაგიეროდ, ყველგან იყო სვასტიკა — ქალაქში აფრიალებულ ათასობით ალამზე, ასობით პლაკატზე. ოლიმპიურ სიმბოლიკასთან ერთად, სვასტიკა ამშვენებდა სპორტულ აღჭურვილობას, სამკერდე ნიშნებსა და სუვენირებსაც.

პირველი სატელევიზიო ტრანსლაციაც ოლიმპიური თამაშებიდან სწორედ ბერლინიდან განხორციელდა. ქალაქში განთავსდა ტელესალონების ქსელი (33 ერთეული), თითოეულში 25X25 სმ ეკრანის მქონე ორი

ბერლინის ოლიმპიადაზე ნაცისტებმა ყველა დასახულ მიზანს მიაღწიეს — პოლიტიკურსაც, სპორტულსაც და პროპაგანდისტულსაც

ტელევიზორითა და მომსახურე სპეციალისტით. ოლიმპიადის დროს სალონებს 160 ათასი ადამიანი სტუმრობდა და სხვათა შორის, ბილეთების მოპოვება იქ უფრო ჭირდა, ვიდრე სტადიონებზე.

კაშკაშა სპორტული ეპიზოდები

გერმანიამ თამაშების პირველსავე დღეს იზეიმა ოქროს მედალი — ჰანს ველკე ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ბირთვის კვრაში და ის ჰიტლერმა უმალ ლოჟაში მიიწვია (ველკე 1943 წლის 22 მარტს, გერმანელთა ავტოკოლონაზე ბელორუსი პარტიზანების თავდასხმისას დაიღუპა).

გამოსარჩევი ამბავი იყო სიგრძეზე ხტომაში გერმანელი კარლ-ლუდვიგ (ლუც) ლონგისა და შავკანიანი ამერიკელის, ჯესი ოუენსის პაექრობა. თავიდან ოუენსი ლიდერობდა. ასპარეზზე ლონგის გამოჩენისთანავე ტრიბუნები დადუმდნენ. გარბენი, ნახტომი და... 7,87 მეტრი! ეს ოლიმპიური რეკორდი იყო და მასპინძლებიც ხარობდნენ. თუმცა ოუენსის ჯერი კვლავ დადგა. მეხუთე ცდით მან შედეგი გაუმჯობესა (8,06 მეტრი) და მედალიც დაისაკუთრა. ამერიკელთან პირველმა სწორედ ლუც ლონგმა მიირბინა და გამარჯვება გულწრფელად მიულოცა.

შემდგომში, ლონგისა და ოუენსის მრავალწლიან მეგობრობას დაღი ვერც მეორე მსოფლიო ომმა დაასვა. 1943 წელს, ფრონტზე მყოფმა ლუცმა ჯესის წერილიც კი მისწერა, სადაც სთხოვა, ქორწილში მისი ვაჟის, კაის ხელისმომკიდე ყოფილიყო. რამდენიმე თვეში ობერეფრეიტორი ლუც ლონგი სასიკვდილოდ დაიჭრა. ჯესი ოუენსმა დაღუპულ მეგობარს თხოვნა წლების შემდეგ შეუსრულა — კაის ქორწილში ნეფე-პატარძლის ავტომობილის საჭეს სწორედ ის მართავდა...

თუმცა დავუბრუნდეთ ოლიმპიადას. ჰიტლერმა, რასისტული საბაბით, გამარჯვებული ჯესი ოუენსისთვის მილოცვა იუკადრისა — ფაქტია, რომ 4 აგვისტოს, სიგრძეზე ხტომაში შეჯიბრების დასრულების შემდეგ, როცა ოლიმპიური ჩემპიონის დაჯილდოების დრო დადგა, ჰიტლერი, რომელიც მანამდე ხელიდან არ უშვებდა გამარჯვებული ფინელებისა თუ შვედებისთვის პირადად მილოცვის შესაძლებლობას, ლოჟაში აღარ იმყოფებოდა. სოკ-ის გაოგნებულ მოხელეებს გერმანელებმა უმალ განუმარტეს: „ფიურერი ადრე წავიდა. მოგეხსენებათ, რაიხსკანცლერს უამრავი საქმე აქვს!“

იმავე დღეს სოკ-ის თავმჯდომარე ბაიერლატურმა ჰიტლერს ულტიმატუმი წაუყენა — ან ყველას უნდა მიულოცოთ გამარჯვება, ან არავისო. ჰიტლერმაც, რაკი იცოდა, რომ მომდევნო დღეს მეტწილად ამერიკელებს იხილავდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, მეორე ვარიანტი არჩია. 5 აგვისტოს ის ტრიბუნაზე იმყოფებოდა, შორიდან უმზერდა დაჯილდოების ცერემონიალს და ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია.

დაფნის გვირგვინი

ვინ გაიმარჯვა ოლიმპიადაზე? ერთმნიშვნელოვნად მოიგო ნაცისტურმა გერმანიამ და მიაღწია ყველა დასახულ მიზანს — პოლიტიკურსაც, სპორტულსაც და პროპაგანდისტულსაც. გერმანელმა ათლეტებმა ყველაზე მეტი — 89 მედალი დაისაკუთრეს. ამერიკელები მეორე ადგილზე გავიდნენ 56 მედლით.

მსოფლიო მასმედია გერმანულ ორგანიზებულობასა და წესრიგისადმი სიყვარულს დითირამბებს უძღვნიდა. ოლიმპიადის შემდეგ ნაცისტურმა რეჟიმმა მთელ დუნიაზე გაბნეული 4 მილიონი „პროპაგანდისტი“ შეიძინა. ზემოხსენებული ჯესი ოუენსიც კი გაოცებული ჰყვებოდა, ბერლინში მყოფს როგორ თავისუფლად შეეძლო „თეთრებთან“ ერთად ნებისმიერ კაფესა თუ რესტორანში შესვლა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა — მის მშობლიურ ალაბამაში იმხანად მსგავსი ქმედებისთვის ოუენსს უახლოეს ხეზე ჩამოჰკიდებდნენ, თავისივე მედლით.

ჰიტლერი ოლიმპიადით იმდენად კმაყოფილი დარჩა, რომ უთქვამს კიდეც — 1940 წლიდან მოყოლებული, ამიერიდან ყველა ოლიმპიურ თამაშებს გერმანიამ უნდა უმასპინძლოსო. მართლაც, როცა 1939 წელს ზამთრის თამაშების დედაქალაქის შეცვლის საკითხი დადგა (ჩინეთთან ომის დაწყების გამო იაპონია აგრესორ ქვეყნად გამოცხადდა და ოლიმპიადის მასპინძლის სტატუსიც ჩამოერთვა), მასპინძლობის განაცხადი გერმანიამაც შეიტანა.

არადა, „ავსტრიის ანშლუსი“ უკვე მომხდარი იყო, „მიუნხენის შეთანხმება“ — მიღწეული, ჩეხოსლოვაკია — პოლიტიკური რუკიდან გამქრალი. „მესამე რაიხი“ უტიფრად აჟღარუნებდა იარაღს, მაგრამ სოკ-ი ჯერ კიდევ ისე მიბნედილიყო ბერლინის ოლიმპიური სასწაულით, რომ ცდუნებას ვერ უმკლავდებოდა და ბოლო დრომდე ისე ჩანდა, რომ ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქი ისევ გარმიშ-პარტენკირხენი უნდა გამხდარიყო. 1939 წლის ნოემბერში კი, როცა გერმანიამ თავად გაიხმო უკან საკუთარი კანდიდატურა, სოკ-მა ზამთრის ოლიმპიადის გამართვა სრულებით გადაიფიქრა.

რაც შეეხება ზაფხულის თამაშებს, 1940 წელს ევროპაში სპორტული ზეიმებისთვის აღარავის ეცალა, ის გერმანელი ჭაბუკები კი, რომლებსაც სპორტისკენ გზა ბერლინის ოლიმპიადამ გაუხსნა, სხვადასხვა სამხედრო დანაყოფში იყვნენ გადანაწილებულნი...

გელა უშარიძე

ნაცისტებს სვასტიკის გამოსახვა ოლიმპიურ მედლებზეც სურდათ, მაგრამ სოკ-ი ამ შემთხვევაში პრინციპული აღმოჩნდა

ვახტანგ რურუას „მშვენიერი შუადღე"

„შრომაა საჭირო, შეიძლება რაღაც ვერ მოასწრო, მაგრამ უნდა გინდოდეს მოსწრება"

ვახტანგ რურუა

ისინი მეგობრობდნენ. ხშირად ავთო ვარაზი მასთან ერთად მუშაობდა სახელოსნოში. ერთმანეთს ყველაზე უკეთ იცნობდნენ კიდეც. ამას არც გავიხსენებდი, რომ არა „ახალგაზრდა პოეტის პორტრეტი" — ავთო ვარაზის დანახული ვახტანგ რურუა. ეს ერთადერთი პორტრეტი არ გახლავთ ვახტანგ რურუასი. რამდენჯერმე დაუხატავს. და რამდენჯერაც დაუხატავს, თითქოს შიშველ სულს ხედავსო... ამ სურათს უფრო მეტის მოყოლა შეუძლია ვახტანგ რურუაზე, ვიდრე ნებისმიერ წერილს. ფაქტია: ხელოვნების უტყვი ნიმუშები გაცილებით მეტყველი არის ხოლმე.

ვახტანგ რურუას პორტრეტი „გველაპარაკება" მოწყენილი გამოხედვით, ორიოდე წვეთით, რომელიც თითქოს დასრულებულ პორტრეტზე ჩამოღვენთილა

„ახალგაზრდა პოეტის პორტრეტი". ავთო ვარაზი. 1962

და ასე ორგანულად ჩამჯდარა სურათში.

წარმოიდგინეთ დიდი პანო, რომელიც მოზაიკის პატარ-პატარა ფერებით უნდა შეავსო, მერე ცოტა უკან დაიხიო, შეხედო და დამშვიდებულმა თქვა: ეს მართლაც მისი ცხოვრებაა — ვახტანგ რურუას განვლილი გზა, მართალი და არა გამოგონილი, ისეთი, როგორიც არის...

მერეღა მივხვდი, როცა მართლაც მის პირისპირ დავჯექი, — ასე ადვილი სულ არ იყო, როგორც წარმომედგინა... წარსულზე რომ ვეკითხებოდი, ძალიან ძუნწად, სულ რამდენიმე ფრაზით შემოიფარგლებოდა ხოლმე. ზოგჯერ მეგონა, ძალისძალად ვალაპარაკებდი. იმისი შიშიც კი გამკენწლავდა ხოლმე — ახლა რომ მითხრას, დაანებე თავი ამის დაწერის მცდელობას, ასე ჯობიაო... მაშინ ერთი ფიქრიღა მიხრავდა გულს: რაც მოვისმინე, ვერაფრით გავიმეტებ, რომ არ დავწერო-მეთქი. მით უმეტეს, რომ გურამ დოჩანაშვილის აღწერილი ვახტანგ რურუას ბებია — ფრანცოვნა, ისედაც თვალწინ მედგა... ახლა კი მის პორტრეტსაც ვხედავდი — შვილიშვილის, იქვე კი შვილთაშვილის დახატულსაც...

კიდევ ერთი კარგი მხატვარი დააკლდა თბილისს, ქვეყანას...

ეს ჩანაწერი ვახტანგ რურუას გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე მომზადდა...

* * *

ბებიაჩემი — ელენე ბეთანელი, შემიძლია ვთქვა, რომ „ხულიგანი“ ქალი იყო, ანტისაბჭოთა ელემენტი... ბავშვობის დიდი ნაწილი მასთან მაქვს გატარებული. დედა სულ მუშაობდა, გასული იყო სახლიდან, მამა ჩვენთან არ ცხოვრობდა... მე ძირითადად, ბებია მზრდიდა.

მახსოვს, წელიწადში ერთხელ მივყავდი აყვავებული მაგნოლიების სანახავად. ერევნის მოედანზე ორი მაგნოლიის ხე იდგა. დიდი, ლამაზი ყვავილებით აყვავდებოდა ხოლმე გაზაფხულზე, მისი სუნიც მახსოვს... გავივლიდით რუსთაველს ფეხით და ვნახულობდით მაგნოლიებს... ვთხოვე კიდეც ზაალ სამადაშვილს, ქალაქის საკრებულოში რომ იყო, იქნებ ისევ დავრგოთ-მეთქი მაგნოლიები... რატომღაც, ვერ განხორციელდა ეს სურვილი...

გალერეასთან რომ გავივლიდით, ბებია მეტყოდა, აქ ჩვენი ბიჭია დასაფლავებულიო... იქ მართლაც დაკრძალული იყვნენ ჩეკისტები ფაბრიციუსი, მიასნიკოვი... მათთან ერთად ამბაკო საღარაძეც. სწორედ ის იყო „ჩვენი ბიჭი“. პროფესიონალი მფრინავი, რომელმაც ნდობა მოიპოვა კომუნისტებში იმის გამო, რომ მართლაც უზადო მფრინავი იყო.

(გრიგოლ რობაქიძე „გრაალის მცველნში“ სწორედ ამბაკო საღარაძეზე წერს. ამის შესახებ ვკითხულობთ აკაკი ბაქრაძის ესეში „კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი“: „გრაალის მცველნში“ ლევან ორბელს მფრინავი საღარა ატყობინებს, რომ მზადდება 1924 წლის აგვისტოს აჯანყება. მოახლოებული ამბოხებით აღტაცებული საღარა უყვება: ანტიბოლშევიკურ აჯანყებას საქართველოში მოჰყვება სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიის აჯანყებანიც. ევროპა დახმარებას გაგვიწევს. ერთ კვირაში მთელ კავკასიაში დაემხობა რუსეთის ბატონობაო).

1925 წლის 22 მარტს თბილისთან კატასტროფა განიცადა სოხუმისკენ მიმავალმა თვითმფრინავმა. კატასტროფის მსხვერპლი გახდნენ ბოლშევიკები ათარბეგოვი, მიასნიკოვი და მოგილევსკი (ისინი დაკრძალეს რუსთაველის პროსპექტზე, სამხატვრო გალერეის წინ. ამჟამად მემორიალური დაფა მოხსნილია), მფრინავები — ქართველი ამბაკო საღარაძე და გერმანელი შპილი. ამ თვითმფრინავით სოხუმს უნდა გამგზავრებულიყო სერგო ორჯონიკიძეც, მაგრამ იგი წინათგრძნობამ იხსნა. თხუთმეტი წუთით ადრე უარი

ფილმის გადაღებაზე

„რამდენჯერ ვიფიქრე, ეკუთვნის კუზნეცოვს რუსთაველის პრემია იმ საქმის გამო, რასაც ფირუსმანისთვის აკეთებს-მეთქი. ახლა ღრმად მოხუცებულია და კიდევ ერთი მშვენიერი წიგნი გამოსცა ფირუსმანზე. ვთქვი კიდეც, რასაც ვფიქრობდი... საქართველოს მოქალაქე არ არის და პრემიას ვერ მივცემთო. ჩემთვის ეს მიუღებელი არგუმენტია“. (სურათზე: ვახტანგ რურუა და ერასტ კუზნეცოვი)

თქვა გაფრენაზე. თვითმფრინავს საღარაძე პილოტობდა. ისიც დაიღუპა. კატასტროფის მიზეზების გამომკვლევმა კომისიამ ზუსტად დაადგინა, რომ თვითმფრინავი გამართული და მოწესრიგებული იყო. გაჩნდა აზრი, რომ ის საგანგებოდ ჩამოაგდეს... ამიტომაც იყო საღარაძე „ჩვენი ბიჭი“...

ბებია ტანად პატარა ქალი იყო. აჩიკო გოგელია ჩემი ბავშვობის მეგობარია. მახსოვს, ერთხელ ვკამათობდით. იარაღზე იყო ლაპარაკი, უცებ ბებია ჩაერთო, მგონი ამ იარაღს „სიმონსონი“ ჯობიაო. გაოცდა აჩიკო. ეს მაინც საიდან იცისო...

არადა, იცოდა. ერთი ამბავი ვიცი ბებიასა და იარაღზე:

ბებიასა და ბაბუას ბათუმშიც ჰქონდათ სახლი. 1921 წელია... ბაბუა შინ არ არის, ბებია მარტოა ოთხ შვილთან ერთად. გარეთ საშინელი მდგომარეობაა: „ბასიაკები“ დაძრწიან, მობოლშევიკო ელემენტები ყაჩაღობენ, თურქებმა დაიწყეს შემოტევა ბათუმზე... ბებია მიამბობდა: ვურეკავ სადგურის უფროსს, — მუსტაფა, ხვალ მივდივარ თბილისში! ადრე მაინც გეთქვათ, ელენე ფრანცოვნა, ბილეთები გაყიდულია, ერთი ბილეთიც კი არ არის დარჩენილიო. მერე ვინ გითხრა, ბილეთი მინდა-მეთქი? ვაგონი მინდა! ვიყიდე ვაგონი, ჩააბეს ეშელონს და წამოვედითო. ბებიამ დაურეკა ყველა ახლობელს, ისინიც წამოიყვანა თბილისში. ერთი აჭარლების ოჯახი იყო, გვარად შაშიკ ოღლი. იმ ოჯახის მამა ერთადერთი კაცი იყო ვაგონში. ავედით, ორი იარაღი მაქვს, შაშიკ ოღლის ვაძლევ ერთსო. რომ გაგვაჩერონ, წინააღმდეგობა ხომ უნდა გავუწიოთო. შაშიკ ოღლის გული კინაღამ გასკდომია, არაო, იარაღს ხელს ვერ მოკიდებო... არტისტული იყო ფრანცოვნა, დასცინოდა მის შეშინებულ მიმიკებს. რა გაეწყობოდა, დაუტოვებია ორივე იარაღი თვითონ. მატარებელი მართლაც გაუჩერებიათ, მაგრამ ვაგონებში არ ასულან და არც იარაღის გამოყენება გამხდარა საჭირო.

ბაბუას შეძლებული ოჯახი ჰქონდა. მან შემოიტანა მარსელის კრამიტის ქარხანა და ქუთაისში გამართა. სხვათა შორის, ქველმოქმედებასაც ეწეოდა...

მახსოვს, თავნება ვიყავი ძალიან. დროის უდიდეს ნაწილს ბებიასთან ერთად ვატარებდი ბავშვობაში. მაშინაც და მერეც ძირითადად კამათში გადიოდა დრო.

ყოფით საკითხებზე თუ ვმსჯელობდით, ყოველთვის მე ვიყავი მართალი, დანარჩენი — იმან იცოდა უკეთ. განსაკუთრებით კარგად ლიტერატურა ესმოდა. ხუთი ენა იცოდა, ფლობერი ჰქონდა ფრანგულად წაკითხული... თავისი ჩამოყალიბებული გემოვნება ჰქონდა, მაგალითად, დოსტოევსკის არ მირჩევდა ხოლმე... მისთვის არ არსებობდა აღიარებული სახელი... არასოდეს მოექცეოდა სხვისი გავლენის ქვეშ. ზოგჯერ ისეთ მწერალსაც დაიწუნებდა, მთელი ქვეყანა რომ მოწიწებით ექცეოდა, რაც მთავარია, ლოგიკურ არგუ-

მენტს მოგიყვანდა თავისი აზრის დასადასტურებლად.

ერთი რამ დამამახსოვრდა სკოლის პერიოდიდან: VII კლასში ვიყავი. მასწავლებელი მაიაკოვსკის გვიხსნიდა. ჩემმა კლასელმა და მეგობარმა — კახა ბოლქვაძემ ჰკითხა: ფუტურისტი რომ იყო, რატომ მალავთო. მასწავლებელი გაოგნებული იყურებოდა, მაშინ ფუტურიზმზე ვინ ლაპარაკობდა! მგონი სულ პირველად გაიგონა ეს სიტყვა და ფუტუროს დაუკავშირა გონებით...

ბეჯითი არ ვყოფილვარ, თუმცა გატაცებული ვიყავი საგნებით. მათემატიკა არ მიყვარდა, მაგრამ გეომეტრია მიყვარდა ძალიან. გეომეტრიის გამო ვსწავლობდი მათემატიკასაც.

ბევრი კარგი მასწავლებელი მყავდა. ახლა რომ ვფიქრობ, ზოგჯერ ისეთ გაკვეთილებს გვიტარებდნენ, პირდაპირ გასაკვირი იყო. გეოგრაფიის მასწავლებელი მყავდა, გვარად ბახია, საიდან მოჰქონდა არ ვიცი, სარდაფში ფილმებს გვაჩვენებდა გეოგრაფიაზე. 50-იანი წლები იყო. ბაზელი ჩამოიტანა საიდანღაც... წარმოგიდგენიათ, რა ენთუზიასტი იყო? სამწუხაროდ, ბოლოს ღვინის სარდაფში მუშაობდა დამლაგებლად... გალოთდა და გარდაიცვალა..

* * *

სწავლა გეპეიში, არქიტექტურის ფაკულტეტზე განვაგრძე. ოთხი წლის მერე აკადემიაში მინდოდა გადასვლა, ვფიქრობდი, ფერწერის ფაკულტეტზე მესწავლა. იქაც არქიტექტურაზე დამსვეს. არ მინდოდა. ისიც მესმოდა, რომ მხატვარს არანაირი დიპლომი არ სჭირდება, მხატვარი ან ხარ, ან — არა! ამიტომაც, დიპლომი არც ამიღია... დიპლომი საჭიროა?.. რატომ? ასე, მხატვართა კავშირის წევრობაც შეიძლება ჩათვალო, რომ საჭიროა... თუმცა მე არასოდეს მიგრძნია ეგ და არც გავმხდარვარ წევრი.

მახსოვს, ამას მცირე კამათი მოჰყვა ოჯახში. ჩემმა მეგობარმა ავთო ვარაზმა, ეგ რა სადარდებელია, დიპლომი თუ არ აიღო, აი, ჩემი დიპლომი, ვჩუქნი ვახოს, დღეიდან მისი იქნებაო. ეს დიპლომი ახლაც ჩემთან ინახება.

ბებიას მოსწონდა, მხატვარი რომ გავხდი. მამამისი, ფრანც ბეთანელი ხატავდა. ეტყობა, განსაკუთრებით ახარებდა, მეც რომ ვხატავდი. ამაყობდა ხოლმე: ერთი შვილიშვილი კომპოზიტორი მყავს, მეორე — მხატვარიო.



პოლიგრაფიული ნამუშევრები



კადრები მხატვრული ფილმიდან „პასტორალი“ (1975 წ.). დამდგმელი მხატვარი ვახტანგ რურუა

კადრები ფილმიდან „ლაზარეს თავგადასავალი“ (1973 წ.). დამდგმელი მხატვრები: ვახტანგ რურუა, ჯუანშერ თუთბერიძე

სტუდენტობისას ხელმოკლეობას თუ განვიცდიდი? ცხადია... მაშინ ყველა ასე იყო. ამაზე ლაპარაკს ახლა აზრი არ აქვს, რადგან მაინც გაუგებარი იქნება. ფეხსაცმლისა და შარვლის ყიდვა იშვიათი დღესასწაული იყო, გადაბრუნებული პიჯაკისა და პალტოს ტარება — ჩვეულებრივი ამბავი. ის კი არა, მახსოვს, აკადემიაში ვსწავლობდი, ჩემს მეგობარს ვიღაცამ უცხოეთიდან ოთხი თითბრის ჭიკარტი ჩამოუტანა. გაგვინაწილა: ერთი მე შემხვდა, ერთი — ვაჟა ორბელაძეს. ესეც კი იშვიათობა იყო...

საღებავები არ იშოვებოდა, აკადემიკოსები იღებდნენ მოსკოვიდან, მერე ნაწილს აბარებდნენ და მერე უკვე „ხუდკორი“ (*სამხატვრო საბჭო*) ყიდდა, მაგრამ ისე ძვირად, ჩვენ ვერ ვყიდულობდით. თითო ტუბს თუ შევწვდებოდით ხოლმე გაჭირვებით...

საჭმელ-სასმელი არ იშოვებოდა მაღაზიებში. დედა 6 საათზე ჩადიოდა, რომ რიგი დაეკავებინა და კვერცხი ეყიდა. პირუტყვები არიან, ვინც საბჭოთა კავშირს მისტირის.

საბჭოთა სახელმწიფოში შიშის განცდა თუ მქონდა გამძაფრებული? მე არ მეშინოდა, თუმცა ვიცნობდი ძალიან კარგ ადამიანებს, პანიკური სიფრთხილე რომ ახასიათებდათ, ეშინოდათ კა-გე-ბესი. პარადზე თუ დავდიოდი? — არასოდეს... ჩვენ დროს კომუნისტები დასუსტებულები იყვნენ, სიბინძურე იყო, კორუფცია და ქურდობა... თუმცა ის ტყუილია, რომ ამბობენ, იძულებით გაჰყავდათ ხალხიო. იმ პერიოდში, რომელსაც მე შევესწარი, შეგეძლო არ წასულიყავი პარადზე... ცრუობს, ვინც სხვას ამბობს. საბჭოთა ქვეყანაში ჯაზის გამო იჭერდნენ ხალხსო... ეგრეც არ იყო. თავისუფლებას მოიპოვებდი, თუ გინდოდა.

პირველი სამსახური გიორგი შენგელაიას „ფიროსმანი“ იყო. ფილმის მხატვარი ავთო ვარაზი გახლდათ. მე მისი თანაშემწე ვიყავი.

ვმუშაობდი პოლიგრაფიაში... დღესაც მაინტერესებს ეს სფერო.

პირველი დამოუკიდებელი გამომცემელი ვიყავი ნანა ჯაფარიძესთან, ირაკლი ბერიაშვილთან ერთად. გამოვეცით ჟურნალი „ბაია“ ოჯახისთვის და „დამანი“ — ტექნიკური განხრით. ცხადია, ვერ მოვასწარით ბევრი ნომრის გამოცემა, თუმცა „ბაია“ კარგად იყიდებოდა.

კიდევ რა მახსენდება განსაკუთრებულად? — ბიბლია, რომლის ილუსტრირებაც პატრიარქმა შემომთავაზა. პრინციპულად

არ ვემხრობი ილუსტრაციებს წიგნში, რაღაცნაირი ფუნქციური ხდება, თითქოს ამით წიგნს უკეთებ რაღაცას. არ არის საჭირო... ამიტომაც ილუსტრირებაზე უარი ვთქვი, თუმცა შევთავაზე, კონკურსი გამოვაცხადოთ რამდენიმეწლიანი, ვნახოთ, რა ნამუშევრები შემოვა და მერე გადაწყვიტეთ-მეთქი. პატრიარქი დაფიქრდა და — კარგი იდეაო. წინადადებაც შევთავაზე: თქვენო უწმინდესობა, ერთი უნიკალური ხელნაწერია, ილუსტრაციები იქიდან აგიღოთ-მეთქი. მოეწონა ეს აზრი. ასეც გამოიცა პირველი ბიბლია საბჭოთა დროს. მასალა შვედეთიდან ჩამოვიდა. ძალიან ძნელი იყო ბიბლიაზე მუშაობა, თანაც დიდი სიახლე.

* * *

ხშირად გაიგონებთ: სამწუხაროა, რომ კარგ მხატვრებს სიცოცხლეში ნაკლებად აფასებენო... თუ ფსიქიკურად ნორმალურია მხატვარი, იცის, როგორი იქნება მისი ცხოვრება... სცენა და ტაში თუ გინდა, სხვა გზა არსებობს.

წლების წინ ჩვენი წრის გამოფენა მოეწყო. ერქვა „ტროტუარების მემუარები“ — ჩვენი შიოევიჩის (შოთა დედაბრიშვილი) ლექსის სტრიქონი სახელად. მესიჯივით იყო... ერთად გამოიფინა დილბო (ალბერტ დილბარიანი), ავთო, ფრიდონ გოცირიძე, სხვები, ვისაც მეგობრობა გვაკავშირებდა. ის წრეც და ის გამოფენაც ნამდვილად ჩემეული იყო: ჩემი დრო და ადამიანები...

მითქვამს ხოლმე, XIX საუკუნის კაცი ვარ, არაფერი მაკავშირებს სტალინთან, XX საუკუნესთან-მეთქი. ახლაც გავიმეორებ!

ჩემი მიმწუხრი როგორ წარმომიდგენია? ამაზე არ ვფიქრობ. არც ჩემს მოხუცებულობაზე ვფიქრობ. ჯანმრთელობა რომ არ მახსენებდეს თავს, მშვენიერი შუადღე მაქვს ისევ...

ვფიქრობ, ვმუშაობ. ფიროსმანს ისევ თუ ვიკვლევ? კვლევა არ ვიცი, რა არის. აღტაცება არ დასრულდება! ფიროსმანი და „ვეფხისტყაოსანი“...

კადრები ფილმიდან „რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა“ (1986 წ.). დამდგმელი მხატვარი ვახტანგ რურუა

კადრი ფილმიდან „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“ (1996 წ.). დამდგმელი მხატვრები ვახტანგ რურუა, თემურ ხმალაძე

კადრები ფილმიდან „ვერის უბნის მელოდიები“ (1973 წ.). დამდგმელი მხატვრები: ვახტანგ რურუა, ედუარდ ლაპკოვსკი

ვფიქრობ, ვმუშაობ. ფიროსმანს ისევ თუ ვიკვლევ? კვლევა არ ვიცი, რა არის. აღტაცება არ დასრულდება! ფიროსმანი და „ვეფხისტყაოსანი“...

ფიროსმანზე, სამარცხვინოა, რომ ბევრი რამ ისევ არ ვიცით. დერმატინზე ხატავდა და არა მუშამბაზე... მუშამბაზე ზეთი არ ჯდება საერთოდ. დერმატინს ცარიცინიდან იწერდა. ერასტ კუზნეცოვი წერს: თავის ტექნოლოგიურ ხელწერას ჩაავლო ფიროსმანმა, პრიმიტივისტები მაგას ვერ აკეთებენ. ის არ იყო პრიმიტივისტიო. რამდენჯერ ვიფიქრე, ეკუთვნის კუზნეცოვს რუსთაველის პრემია იმ საქმის გამო, რასაც ფიროსმანისთვის აკეთებს-მეთქი. ახლა ღრმად მოხუცებულია და კიდევ ერთი მშვენიერი წიგნი გამოსცა ფიროსმანზე. ვთქვი კიდეც, რასაც ვფიქრობდი... საქართველოს მოქალაქე არ არის და პრემიას ვერ მიცემთო. ჩემთვის ეს მიუღებელი არგუმენტია.

ჩვენი ნაკლია, რომ ზარმაცები ვართ ქართველები... კიდევ ნაციონალიზმის ტკბილ ილუზიაში გავეხვევით ხოლმე. მართლა ტკბილია ნაციონალიზმი, ქართველი ხარ და ეს საჩუქარია, სხვა არაფერი გჭირდება! ასე გაბრუებული ყველაფერს დაკარგავ.

შრომაა საჭირო, შეიძლება რაღაც ვერ მოასწრო, მაგრამ უნდა გინდოდეს მოსწრება.

ახლობელ ადამიანებთან, მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან სამუდამო განშორება როგორ გადამქონდა? ამაზე ლაპარაკი და წერა არ შეიძლება. ვერ ვიტყვი. ისეთ რამეზე არ უნდა დაწერო, რაც არ იწერება! ფერის აღწერა შეიძლება? არ შეიძლება. შეიძლება სიბემოლ მაჟორი მოვყვე? სხვა რაღაცაა...

შემიძლია სხვა რამ გითხრათ, სანაცვლოდ... ეს სკულპტურა ნახეთ, რომელზეც ვმუშაობ? კარმენია, ხელში მებიუსის სარტყელი აქვს. სათაურად ეწერება — კარმენი, მებიუსი, ნიცშე, ვაგნერი და შ. ჩანტლაძე. რატომ ჩანტლაძე? — შოთა თარგმნიდა ნიცშეს. ვკამათობდით, ვმსჯელობდით... გახსოვთ, ნიცშემ ვაგნერს რომ უთხრა, ბიზე ჯობიაო... „კარმენი“ მართლა სხვა რაღაცაა.

P.S. დრო ბევრ რამეს ცვლის და ასხვაფერებს. ყველაზე მართალი იქნებ ასე ნათქვამი სიტყვაა: კარმენი, მებიუსი, ნიცშე, ვაგნერი და შ. ჩანტლაძე... ავთო ვარაზი და გურამ დოჩანაშვილი, ვახტანგ რურუა... ის, რაც ამ სახელების შიგნით, არსში იყო და რაც შეიძლება, ბევრმა ვერასოდეს გაიგოს...

„არც ის იყო მართალი, რომ ამბობდნენ, ავთო ვარაზი თავწყვეტით სვამდაო: ჩემს სახელოსნოში მუშაობდა ერთხანს და ზუსტად ვიცი, ლოთი არ ყოფილა“, — ამბობს ვახტანგ რურუა და ვხვდები, კიდევ ბევრია სათქმელი, სხვაგვარად დასანახი და აღსაქმელი...

„ბებო ფრანცოვნასთან“ გატარებული დღეები გურამ დოჩანაშვილისეული რეალობიდან: „..მაგრამ მგონი რომ არც მან იცოდა მისით ჩემი მაგრამ მცირე — უბრალოდ კი არა და, ალბათ თვით გულის მთავარი ძარღვით გავუგეთ ერთმანეთს ეს — მე მასთან როგორმა დაბალმა (სიგრძეში კი არაა საქმე) და მან კი, მაღალმა, მაღალმა — როგორ, ბებო — ფრანცოვნამ, რომელმაც დიდად იცოდა თავისი ჯილა — ვახტანგის (თურმე სხვა ახლობლებივით არასოდეს დაუძახია მისთვის ვახო, არამედ მუდამ ვახტანგით მიმართავდა თურმე) ამხანაგების თვალით ერთადერთი მცირე — შევლებითაც კი აწონ-დაწონვა და შეფასება? — წამში“.

ვახტანგ რურუასაც ჰქონდა ბებიის ნიჭი გამოყოლილი: წამში აფასებდა ადამიანს, სიტუაციას... ზუსტად იცოდა, რა როგორ... უმძიმესი ავადმყოფობის ჟამს ვნახულობდი. არასოდეს დამტოვებს გაოცებისა და აღტაცების განცდა იმის გამო, თუ როგორ ბოლომდე იბრძოდა, როგორი უშიშარი ჩანდა, თუმცა ზუსტად იცოდა, რომ დასასრული სულ ახლოს იყო... ბოლო ამოსუნთქვამდე იშრომა... 19 მაისს გარდაიცვალა...

ლელა ჯიყაშვილი

ისტორიული ამბები ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან

გთავაზობთ საინტერესო ამონარიდებს ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან. ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომერი 1877 წლის 3 მარტს დაიბეჭდა თბილისში. „ივერიის“ დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე, თანარედაქტორი — სერგეი მესხი. ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „დროება“ 1866 წლის 4 მარტს თბილისში დაარსდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ შტაბად, ეროვნული კულტურის ცენტრად გადაიქცა. მისი პირველი რედაქტორი იყო გიორგი წერეთელი. საცენზურო წესდების დარღვევის გამო, დახურეს 1885 წლის 16 სექტემბერს.

ილორის წმინდა გიორგის ხატი (მგზავრის ნანახი და გაგონილი)

ილორის ეკლესია სდგას დაბა ოჩამჩირის აღმოსავლეთით, სამის ვერსის მანძილზე, ამათ შუა ჩამოდის კავკასიონის მთებიდან ერთი ჩქარი მდინარე-ღალიზგა. ეს მდინარე შეადგენს საზღვარს აფხაზეთისას და სამურძაყანოსას, ასე რომ ოჩამჩირე ეკუთვნის აფხაზეთსა და ილორის ეკლესია-სამურძაყანოს.

ეს ეკლესია, გარდა, თავისის სიძველისა, შესანიშნავია თავისის ძველის ნივთებითა და ხატებით, რომელთა შორის დიდად საყურადღებოა სასწაულმოქმედი წმინდა გიორგის ხატი. ხატებს შემდეგ ყურადღებას იპყრობს ორი ხანჯალი. როდის და საიდგან გაჩნდნენ ეს ხანჯლები ამ ტაძარში? ამის შესახებ ხალხი აი, რას მოგვითხრობს:

ვითომც დაბა ოჩამჩირეში ზღვიდგან გამოვიდნენ თათრები იმ აზრით, რომ დაეპყროთ ეს მხარე და გაემაჰმადიანებინათ ქრისტიანები. აფხაზნი, რასაკვირველია, შეებრძოლნენ. თავგამეტებულს ომს შემდეგ ბევრი აფხაზი გაყწდა, მხოლოდ მცირენი გაიქცნენ თავის საშველად. გავიდნენ მდინარე ღალიზგარში და ილორში რომ მიაღწევენ, მათ შემოხვდათ ერთი ჭაბუკი მგზავრი. ეს მგზავრი დაეკითხება, თუ სად ყოფილან და ან სად გარბიან. ისინი უამბობენ, თუ რა შეემთხვათ. მაშინ ჭაბუკი ეტყვის: არა გცხვენიანთ, ნებით თანხმდებით, რომ თათრებმა დაიპყროს თქვენი ქვეყანა და წმინდანნი? წამოდით, მხოლოდ გვერდში ამომიდექით და მათ სეირს მე გაყურებინებთო. გამხნევებული აფხაზები დასთანხმდნენ და



ილორის ტაძარი რუსების მიერ გადაკეთებამდე

ილორის წმინდა გიორგის ხატი



ქურმუხის ეკლესია. კახის რაიონი, აზერბაიჯანი

ისევ საომრად წავიდნენ. თოფები არა ჰქონდათ, მაგიერად ხმლები და შვილდისრები ამშვენებდათ.

ამ ყმაწვილს არც ესენი ჰქონდა. ეჭირა ხელში მხოლოდ დიდი მათრახი და ვისაც-კი იმისი მათრახი მოხვდებოდა; ყველას შუაზედ აპობდა თურმე. ამ ყმაწვილის ომმა ისეთი შთაბეჭდილება იქონია თათრებზედ, რომ შეშინებულნი ზღვისკენ გაეშურნენ და რაც ავეჯი და სურსათი გააჩნდათ, ყველა აფხაზებს მიუტოვეს. ეს ნივთები აფხაზებმა მოიტანეს და დაუწყეს გაყოფვა. აფხაზები ეუბნებოდნენ იმ ჭაბუკს, რომ აერჩია, რაც ჰსურდა, იმიტომ რომ იმისის შემწეობით იყო ყოველივე ნაშოვნი. მგზავრმა ყველაფერზედ უარი უთხრა, აიღო მხოლოდ ორი პატარა მოჭედილი ხანჯალი და გაუდგა თავისს გზას. და ნარჩენი ნივთები აფხაზებმა გაიყვეს. დიდი ქვაბების გაყოფა ვერ შეძლეს და დასტოვეს ეკლესიაში. მეორე დღეს ეკლესიაში შევიდა მღვდელი და იმისი მრევლი და ძრიელ განცვიფრდნენ... ის ორი მოჭედილი ხანჯალი წმინდა გიორგის ხატის აქეთ-იქით ეკიდა. მაშინ ყველასთვის აშკარა შეიქმნა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ის ყმაწვილი კაცი. არსებობს კიდევ მეორე გადმოცემაც...

ილორის ეკლესიის მლოცველებს შეადგენენ აფხაზნი, მეგრელნი, გურულები, იმერლები და მრავალნი სხვანიცა. ეს არის გასაკვირველი, რომ მაჰმადიანი აფხაზიც-კი ყოველს წლივ იხსენიებს ილორის ხატისა თუ ფულით და თუ საკლავით. ეს იმითი აიხსნება, რომ წინად მთელი აფხაზეთი ქრისტეს რჯულს აღიარებდა და მაშინდელი სიმტკიცე რჯულისა აქამომდე კიდევ არ არის აღმოფხვრილი.

„ივერია“, 1889 წ., №144

* * *

ალიბეგლო

თითქმის ერთი წელიწადი მალე შესრულდება, რაც ექსარხოსი საინგილოში მოვიდა და აკურთხა განახლებული ეკლესია ქურმუხის წმინდა გიორგისა. კურთხევის შემდეგ ადგილობრივმა ბლ. ოქროპირიძემ დაკეტა მისი კარები და არის ისე დაკეტილი დღესაც. არავის ინგილოთაგანს არ ეგონა, რომ ეს ისტორიული ტაძარი, განახლების უმალვე იქნებოდა დაკეტილი. ის არის მიწერილი კახის ეკლესიაზედ. მაშასადამე, წირვა-ლოცვასაც კახის მღვდლები უნდა აღასრულებდნენ. რადგან კახში ერთი ეკლესიის მეტი არ არის, ამისთვის სამართალი მოითხოვს, ყოველს დღესასწაულს დღეებში ერთი მღვდელი კახისა ქურმუხის წმიდა გიორგიზე სწირავდეს, მეორე კახის ეკლესიაში. თუ ასე იქნება, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ ტყუილად დაიღუპა ფული მის აშენებაზე-განახლებაზე. მას აქეთ, რაც ის აკურთხა საქართველოს ექსარხოსმა, მხოლოდ ერთხელ ყოფილა წირვა, თუმცა-კი მლოცველები თითქმის ყოველს თვესა ჰყავს ეკლესიას. კახის მღვდელიც თავის მედავითნით მხოლოდ მაშინ მოდის იქ, როცა არის რამე საკურთხი და გამოსარჩომი. ამ მლოცავების ყოფნის დროს მაინცა სწიროს მღვდელმა და აგრძნობინოს ხალხს, რომ ის მარტო თათრებისთვის

საჩვენებელად არ არის აშენებული. მუდამ ხალხის პატივისცემას ეკლესიისადმი მაინც არა მომატებია-რა. ხალხისაგან პატივისცემა წმ. გიორგის ქურმუხისას მაშინ მოემატება, როცა აქ წირვა-ლოცვა იქნება გამართული. ეხლა ხალხი ისევ ისე ლოცულობს, როგორც უწინ: მიდის, მიჰყავს საღმრთო, ანთებს სანთლებს, ჰკლავს ქათმებს, ცხვარს, ზვარაკს და ბრუნდება უკან სახლშივე. 15-ს მარიამობის დღესაც ყოფილან იქ მლოცველები, მაგრამ მღვდელი არ ყოფილა და ეკლესიაც დაკეტილი დახვედრიათ მლოცველებს... ეკლესია მაგარის კლიტით არის დაკეტილი. ეშმაკმა ისე გაიდგა მაგრად ფეხი, რომ ეკლესიის კარების გაღებას ვერა ჰბედავენ კახის მღვდლები კვირა-უქმე დღეებშიც. კახის მღვდლებმა არ აშენეს ეკლესიები ქურმუხისა მთავრობისა და ხალხის ხარჯით, აკურთხებინეს და მოისვენეს, რადგან აჩვენეს სასულიერო მთავრობას თავიანთი მხნეობა ერთგულის სამსახურისა და ითხოვეს კიდეც, რომ მთავრობამ უკეთესი ადგილი სამსახურისა მისცეს მათ შრომისა და მოვალეობის აღსრულებას.

მღ. დიმ. ჯანაშვილი
„ივერია“, 1895 წ., №181

* * *

მეფე დავით აღმაშენებელი

თითქმის რვა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც მიიცვალა სახელოვანი და დიდებული მეფე გაერთიანებულის საქართველოსი დავით აღმაშენებელი.

დავით მეფემ აღადგინა ჩვენი ქვეყანა ნანგრევთაგან, ფენიქსებრ განაახლა და მოუმზადა ბრწყინვალე დრო გიორგი მესამისა და თამარ მეფისა. ამიტომ ისტორიამ უწოდა მას დავით აღმაშენებელი.

დავით იყო წმიდა კაცი, ღრმად მორწმუნე და ღვთის მოსავი. მრავალჯერ განსაცდელში ჩავარდნილი ლაშქრობის დროს. ამიტომ შეასხა ამ მეფეს ხოტბა ლექსით მაშინდელმა მგოსანმა შავთელმა და გმირს თვისის სახოტბო პოემისას, იმავე დავითს, უქოდა არაბულის ენით აბდულმესია, ანუ მონა ქრისტესი, ხოლო საქართველოს ეკლესიამ შერაცხა იგი თვისთა წმიდათა შორის და დააწესა მის მოსახსენებელ დღედ 24 იანვარი.

მატიანე გაოცებულია მეფე დავითის ღვაწლითა და მის ტოლსა და ბადალს ვერ ჰპოვებს მთელს მსოფლიო ისტორიაში. მემატიანეს აზრით, ბერძენთა და ჰრომთა უმთავრესი გმირნი ვერ შეედრებიან დავითსაო და, თუმცა ჰომსოს, არისტოტელ და იოსიპოს აქებდნენ თვისსა გმირებს, მაგრამ „ამით ნივთნი საქმეთანი არა ჰქონდეს კმად მისათხრობელად: ამისთვისაცა რიტორებითა მით ხელოვნებისათა განაცვალეს“.

მატიანეს თქმით, თვით ალექსანდრე მაკედონელი ქართველების მცირე ჯარით ვერ იქმოდა იმდენს საქმეს, რაც დავით მეფემ ჰქმნა: „და თუმცა დავითს სპარსთა მეფობა ჰქონებოდა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხვათა დიდთა სამეფოთა მაშინღა გენახნეს ნაქმარნი მისნი“!

საქართველოს გვირგვინოსანთა შორის ვერავინ შეედრება დავითს ვერც ახოვანებითა და უძლეველობით, ვერც სამეფო საიბრძნით და ვერც ადამიანობითა და კაცურის კაცობით. მან გააერთიანა სამეფო და თავზარი დასცა განდგომილებისა და ცალკე სამთავროების მოტრფიალეთა. დავით მეფემ აღადგინა უშენი ქვეყანა, განაახლა მტრისგან დანგრეულნი და დარღვეულნი ტაძარნი და ეკლესია-მონასტერნი. ძეგლის წერით რუის-ურბნისში აამაღლა ზნეობა ერისა, წესი და რიგი შემოიღო საეკლესიო ცხოვრებაში.

„ივერია“, 1902 წ., №20
მოამზადა თეა ცაგურიშვილმა

დავით აღმაშენებელი, გელათის ფრესკა

ვარსკვლავები იცინიან...

(მარცხნიდან) სულხან ცინცაძე, კარა კარაევი, დავით თორაძე, არჩილ კერესელიძე და ბიძინა კვერნაძე

მოგონებები კომპოზიტორ არჩილ კერესელიძის ცხოვრებიდან

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, არჩილ კერესელიძის ნაწარმოებები მსმენელმა შეიყვარა და გაითავისა. მრავალი პოპულარული სიმღერის („ყელსაბამი“, „მუხამბაზი“), მხატვრული ფილმის („მაგდანას ლურჯა“, „სხვისი შვილები“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „ჩვენი ეზო“, „ფატიმა“, „ქეთო და კოტე“) მუსიკის ავტორს იუმორის მომადლებული ნიჭიც ჰქონდა, მისი ხუმრობა კეთილი იყო, ღვარძლის ნატამალის გარეშე. მეგობრებს მოსწონდათ მისი მოსწრებული კალამბური თუ ხუმრობით ნათქვამი სიტყვა...

არჩილ კერესელიძეს დღესაც იგონებენ, ხალხში დარჩა კომპოზიტორის სიყვარული და პატივისცემა. ვერავითარი ჯილდო და პრემია ვერ უშველის ადამიანს, თუ ის ხალხს არ უყვარს, არჩილ კერესელიძე კი უყვარდათ.

გთავაზობთ რამდენიმე მხიარულ მინიატურას ცნობილი კომპოზიტორის ცხოვრებიდან:

„თავი ჩემო“

ერთი პერიოდი არჩილ კერესელიძე სახალხო სასამართლოს მსაჯული იყო. ერთ-ერთ პროცესზე ახალგაზრდა ქალ-ვაჟის საქმე ირჩეოდა, ვაჟს უცნობი გოგოსთვის უკოცნია და ამისთვის ოთხი წლით პატიმრობას უსჯიდნენ. არჩილმა ვერ მოითმინა და წამოიძახა: — როგორ! ორჯერ კოცნისთვის ამდენი? მაშ, მე დახვრეტილი უნდა ვიყო!.. დარბაზში ისეთი სიცილი ამტყდარა, რომ კინაღამ პროცესი შეწყვეტილა.

განსაკუთრებით ვერ იტანდა განქორწინების პროცესს, როდესაც „ხასიათების შეუთავსებლობის“ გამო ოჯახს ანგრევდნენ. — მეუღლის გამოცვლას ხასიათის გამოცვლა არ სჯობიაო? — ამბობდა.

მის სადარბაზოში ერთი ას წელს მიტანებული კაცი ცხოვრობდა. მოხუცს ძილი გა-

ტეხილი ჰქონდა. ღამღამობით სადარბაზოში ძველ ტახტზე იჯდა და ხშირად მღეროდა „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“.

ბატონ არჩილს ეღიმებოდა — შე კაი კაცო, ამ ხნისა მოყრილხარ და შენ თუ კიდევ ბედი არ გიწერია, მაშინ ვანო სარაჯიშვილს რაღა უნდა ემღერაო?

პლაგიატი

ერთხელ არჩილ კერესელიძე მეგობრის, არცთუ ნიჭიერი დრამატურგის პიესის პრემიერას ესწრებოდა.

მეორე მოქმედება რომ დაიწყო, მისმა მეგობარმა, ლიტერატორმა ლევან ჭუბაბრიამ გადაულაპარაკა:

— არჩილ, ამ ჩვენს ძმაკაცს, პიესის სიუჟეტი ვიღაცისგან აქვს მოპარულიო.

— დაანებე კაცო თავი, ვისგანაც გინდა მოიპაროს, ოღონდ თავისი არ დაწეროს! — გაეცინა არჩილს.

* * *

ოპერა „ბაში-აჩუკს“ ორი ლიბრეტისტი ჰყავდა – შალვა ჯაფარიძე და ჭიჭიკო გელეიშვილი. როცა შალვა გარდაიცვალა, ჭირისუფლებმა არჩილს კატაფალკის მოყვანა დაავალეს, მაგრამ რადგანაც მაინცდამაინც იმედი არ ჰქონდათ, რომ გაახსენდებოდა, მის ძმას, ვახტანგსაც იგივე სთხოვეს. დაკრძალვის დღეს არჩილმა დროულად გამოგზავნა მანქანა. მას არც ძმა ჩამორჩა და გარდაცვლილის სახლის ვიწრო ეზოში ორი, შავხავერდგადაკრული კატაფალკა ძლივს შემოეტია. ხალხი შეცბა, არჩილი არ დაიბნა და იქვე მდგომ მეორე ლიბრეტისტს ომახიანად უთხრა: — ჭიჭიკო, აგერ მეორე მანქანაა, ამდენი ხალხი და ასეთი კარგი გასვენება შენ აღარ გეღირსება, ბარემ დაწექი და ეგ იქნებაო! – მისმა უწყინარმა ხუმრობამ მგლოვიარე ხალხში სიცილი გამოიწვია.

* * *

ბატონი არჩილი კონცერტზე წავიდა კონსერვატორიაში, შესასვლელში ხალხი დიდი სიყვარულით შეხვდა. ერთ-ერთ მის კოლეგას, ჩანს, შეშურდა ასეთი შეხვედრა და არჩილს მიმართა:

— რას შვრები, ტუხა (არჩილ კერესელიძის მეტსახელი), დიდი ხანი არ ჩანხარ, როგორ ხარ? შენზე ამბობენ, შიზოფრენია დაემართაო.

— შიზოფრენიით შუმანი და ბეთჰოვენი იყვნენ დაავადებული, შიზოფრენია გენიოსების დაავადებაა. შენ ნუ გეშინია, არასოდეს დაგემართება! — „დააშვიდა“ კომპოზიტორმა კოლეგა.

მარცხნივ — პეტრე გრუზინსკი, მარჯვნივ — ბიძინა კვერნაძე. ფოტოს გადაღების ადგილი უცნობია

ბადრი ჭოხონელიძე, რამაზ გიორგობიანი, გია სურგულაძე, ზურაბ ჭუბაბრია



კომპოზიტორ არჩილ კერესელიძის ხელნაწერი

გიგა ლორთქიფანიძე

ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘᲐ „ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ“

ცნობილმა პოეტმა და მეფე ერეკლეს შთამომავალმა, პეტრე გრუზინსკიმ მცხეთაში ნაკვეთი მიიღო.

მაშინ ნორმა 600 კვადრატული მეტრი იყო და პეტრეს 630 გამოსდიოდა.

აღმასკომის თავმჯდომარე კი უარს იყო, არ უფორმებდა.

პეტრემ მეგობრებში წაიწუწუნა და ერთ მშვენიერ დღეს რევაზ ლაღიძე და არჩილ კერესელიძე იახლა მცხეთაში.

თავმჯდომარემ დიდი პატივისცემით მიიღო სტუმრები, მაგრამ მაინც უარი უთხრა, არ ეკუთვნისო.

მაშინ კი აღელდა ბატონი არჩილი, ბაგრატიონებს მთელი საქართველო წაართვით და ამას ზედმეტ 30 მეტრს არ აძლევთო?

ამან კი გაჭრა და ბატონ პეტრეს ნაკვეთი გაუფორმეს.

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ „ᲬᲘᲥᲐᲠᲐ“

მიხეილ ჩიქოვანი ცნობილი ფოლკლორისტი იყო, აკადემიკოსი.

ერთხელ, იაპონიაში წავიდა მივლინებით. ისეთი პერიოდია, რომ საბჭოთა მეცნიერებს (ძირითადად ფიზიკოსებსა და მათემატიკოსებს) საზღვარგარეთ „იპარავენ“ ან თვითონ რჩებიან. ბატონი მიხეილის შვილი, ვახტანგ ჩიქოვანი, კი ნერვიულობს, ჩამოსვლას აგვიანებს და ხომ არ მოიტაცესო?!

ეს ამბავი სუფრასთან ხდებოდა, სადაც

იმყოფებოდნენ არჩილ კერესელიძე, ლევან ჭუბაბრია, რამაზ გიორგობიანი, ზურაბ ჭუბაბრია და ბადრი ჭოხონელიძე. არჩილმა ვახტანგს სრულიად უწყინარი სახით უთხრა, ბიჭო, ფიზიკოსებს დასდევენ, მამაშენს კი სადოქტორო „წიქარაზე“ აქვს დაცული და შეგიძლია წყნარად იყოო.

„ეცდომები“ გენიოსებსაც მოსდიოდათ!

არჩილ კერესელიძემ ერთხელ ვასო გოძიაშვილზე გვიამბო. ერთხანს ერთად მუშაობდნენ მარჯანიშვილის თეატრში.

„მეფე ერეკლე“ იდგმება და პატარა კახის როლში ვასო უნდა გამოვიდეს, საქართველოს ბედი შეავედროს უფალს.

დარბაზი დაძაბული უყურებს გენიალურ მსახიობს, რომელიც ხელებაპყრობილი იყურება მაღლა და შთაგონებით შეჰღაღადებს ზეციერს. თურმე ამ დროს ამჩნევს, რომ ჭერიდან ჩამომავალი თოკი საეჭვოდ ირხევა. ჩამოაყოლა მზერა და რას ხედავს! ვიღაც ჭერიდან კულისებში ჩამომავალ თოკზე ჩამოკიდებულა და... შარვალი ჩაუხდია!

— რა დროს ლოცვაა, კაცო! — წამოიძახა თურმე ბატონმა ვასომ და იმავე ტონით, როგორითაც მონოლოგს წარმოთქვამდა, განაგრძო, — ვაა, ტ...ი, ნეტავი ვისია?!

დარბაზის ხარხარს ფარდის დაშვება მოჰყოლია...

თურმე ჟორა შავგულიძე ჩამოკიდებულა თოკზე და ვასოს აგიჟებდა.

ხუთ-ხუთი თუმნით დაუჯარიმებიათო (მაშინ ცოტა არ იყო ხუთი თუმანი!).

„იქაც“ არაფერია?!

„გოფილექტის“ (ფილარმონიის) ბაღის რესტორანში რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე ცუდად გახდა (გული წაუვიდა). როცა მოაბრუნეს, ბატონმა არჩილმა ჰკითხა: — რა ხდება, რა ამბავია?

— სად?! — იკითხა ბატონმა გიგამ.

— იქ, სადაც იყავი და საიდანაც ამ წუთში მოხვედი.

გიგა გონს რომ მოვიდა, გაიცინა და და უპასუხა: — არაფერი, რა უნდა ხდებოდეს...

— როგორ, კაცო „იქაც“ არაფერია?!

მხიარული ამბები გაიხსენა ლევან ჭუბაბრიამ

გიორგი შავგულიძე და ვასო გოძიაშვილი

არჩილ კერესელიძე — მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტი

მსოფლიო ომები

1914 წელს მსოფლიო ორ საბრძოლო ბანაკად იყო დაყოფილი, რადგან იმპერიები და სახელმწიფოები ძალაუფლების, ტერიტორიისა და სიმდიდრისთვის იბრძოდნენ. როდესაც 1914 წელს ომი ევროპულ სახელმწიფოებს შორს დაიწყო, იგი მალე მოედო მთელ მსოფლიოს და დანარჩენი სახელმწიფოებიც ჩაითრია. I მსოფლიო ომი 1918 წელს დასრულდა გერმანიის, ავსტრიისა და თურქეთის დამარცხებით. ომს მრავალ ქვეყანაში შედეგად მოჰყვა ეკონომიკური სიძნელეები, რამაც დიქტატორებს ხელისუფლებაში მოსვლა გაუადვილა. გერმანიაში დიქტატორ ჰიტლერს 1918 წლის მარცხისთვის შურისძიება სურდა. 1939 წელს იგი პოლონეთში შეიჭრა და ასე დაიწყო II მსოფლიო ომი, რომელშიც უფრო მეტი ქვეყანა ჩაერთო, ვიდრე წინა ომის დროს. 1945 წელს, ომის დამთავრების დროს ევროპა ეკონომიკურად და ფიზიკურად გამოფიტული იყო — მილიონობით ადამიანი დაიღუპა.

ბრიტანეთისთვის ომი 1940 წლის ზაფხულის მიწურულს დაიწყო. ოქტომბერში მათ დაამარცხეს გერმანელები და მოიგეს ცაში ომი.

❍ I მსოფლიო ომის მიზეზი იყო საუკუნის დასაწყისში ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული დაპირისპირება. როდესაც 1914 წლის ივნისში ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი მოკლეს, ომი ავსტრიამ დაიწყო სერბეთთან, რუსეთმა კი სერბეთს დახმარება აღუთქვა. 3 აგვისტოს გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს და მის მოკავშირე საფრანგეთს.

❍ საფრანგეთში შეჭრისთვის გერმანელებმა ნეიტრალური ბელგიის ტერიტორიაზე გაიარეს, რამაც ომში ბრიტანეთის ჩაბმა გამოიწვია. მალე დასავლეთის ფრონტზე სანგრების ხაზი გადაიჭიმა ლა-მანშიდან შვეიცარიამდე. მოწინააღმდეგე არმიების ჯარისკაცები სანგრებს თხრიდნენ და ერთმანეთის პირისპირ სანგრებში ისხდნენ თითქმის მთელი ომის განმავლობაში.

❍ აღმოსავლეთის ფრონტზე ერთმანეთის მოწინააღმდეგეები იყვნენ ღერძის ქვეყნები (ავსტრია და გერმანია) და რუსეთი.

❍ ალპებში ღერძის ქვეყნები დაუპირისპირდნენ იტალიას, ხოლო თურქეთში ბრიტანელები ავსტრალიელებთან და ახალზელანდიელებთან ერთად თურქებს ებრძოდნენ.

❍ 1917 წელს ომში მოკავშირეთა მხარეზე ჩაერთო აშშ, რამაც ომის დასრულება დააჩქარა. 1918 წლის 11 ნოემბრის 11 საათზე გერმანიამ ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას.

❍ I მსოფლიოს ომის შემდეგ მთელ მსოფლიოში თავი იჩინა ეკონომიკურმა პრობლემებმა და ამ პერიოდს დიდ დეპრესიას უწოდებენ. გერმანიაში 6 მლნ კაცი უმუშევარი იყო, ამიტომ 1933 წელს პარლამენტის არჩევნებში ხმა მისცეს ნაცისტურ პარტიას. ნაცისტების ლიდერი ჰიტლერი გერმანიის დიქტატორი მმართველი გახდა.

❍ ნაცისტები ემზადებოდნენ ომისთვის, რათა გერმანიას „სასიცოცხლო სივრცე“ მოეპოვებინა. 1936 წელს რაინისპირეთი შეიერთეს, 1918 წელს — ავსტრია და ჩეხოსლოვაკია. 1939 წელს გერმანია ბრიტანეთისა და საფრანგეთის მოკავშირე პოლონეთში შეიჭრა. ასე დაიწყო II მსოფლიო ომი.

❍ სიმშვიდის პერიოდის, ანუ „უცნაური ომის“ შემდეგ გერმანიამ სწრაფად დაიპყრო ნორვეგია და დანია, შემდეგ ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ბელგია

სანგრები იგებოდა მოწინააღმდეგე არმიისგან ჯარისკაცების დასაცავად. სანგრებში საცხოვრებელი პირობები სწრაფად უარესდებოდა: სულ მალე ის ხდებოდა წყლით, ვირთხებით სავსე ტალახიანი ჯურღმული, რომელიც ეპიდემიების გავრცელების ბუდე იყო. ჭამისა და ძილის, ასევე ფეხზე დგომის დროს ჯარისკაცებს ტალახი და ჭუჭყი კოჭებამდე სწვდებოდათ.

დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ № 34-42

ნაწყვეტები წიგნიდან „ცოდნის სამყარო“. გამომცემლობა „პალიტრა L“

წყალქვეშა ნავები

გერმანული წყალქვეშა ნავები I და II მსოფლიო ომების დროს მტრის საბრძოლო და სავაჭრო ხომალდების საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა.

გასაოცარია

ბრიტანეთის საბრძოლო ხომალდ „HMS Hood“-ს ჰქონდა რვა 38 სმ-იანი ქვემეხი და კიდევ სხვა 60 ქვემეხი. 1941 წლის მაისში ის ჩაძირა გერმანული სამხედრო ხომალდიდან, „ბისმარკიდან“ გაშვებულმა ერთადერთმა ყუმბარამ.

აშშ ომში ერთვება

ჰავაიზე, პირლ-ჰარბორში განლაგებული აშშ-ის ფლოტზე იაპონელთა თავდასხმამ აშშ-ის II მსოფლიო ომში ჩართვა გამოიწვია. ამერიკის ომში დანაკარგები იყო 180 სამხედრო თვითმფრინავი და 5000 კაცი, სამხედრო და სამოქალაქო პირი.

და საფრანგეთი. 1940 წლის ოქტომბერისთვის მხოლოდ ბრიტანეთი განაგრძობდა გერმანიის წინააღმდეგ ომს.

❍ იტალია ომში ჩაება გერმანიის მხარეზე. გერმანიამ საჰაერო თავდასხმები დაიწყო ბრიტანეთზე, რათა კუნძულზე შეჭრა მოემზადებინა. ეს იყო ბრიტანეთისთვის ომის პერიოდი. ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალებმა ეს ბრძოლა მოიგო და ჰიტლერმა ბრიტანეთში შეჭრა გადაიფიქრა.

❍ აშშ ომში მას შემდეგ ჩაება, რაც იაპონელებმა 1941 წლის 7 დეკემბერს ჰავაიზე განლაგებული პირლ-ჰარბორის ბაზა დაბომბეს.

❍ გერმანია, იტალია, იაპონია და კიდევ ექვსი ქვეყანა შეადგენდა „ღერძის ქვეყნების“ ბანაკს. ბრიტანეთი, აშშ, სსრკ, ჩინეთი და 50 მცირე ქვეყანა მოკავშირეების ბანაკს ქმნიდა. 1942 წელს მოკავშირეებმა ღერძის ქვეყნები აფრიკაში შეაჩერეს, 1943 წელს შეიჭრნენ იტალიაში და 1944 წელს საფრანგეთში. 1945 წლის 7 მაისს გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. აშშ-მა იაპონიის ქალაქებზე — ჰიროსიმასა და ნაგასაკიზე ატომური ბომბები ჩამოყარა, რამაც 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონია აიძულა, ხელი მოწერა საზავო ხელშეკრულებისთვის.

❍ II მსოფლიო ომში (1929-1945) დაიღუპა 17მლნ ჯარისკაცი, I მსოფლიო ომში — 10 მლნ. ორჯერ მეტი იყო მსხვერპლი სამოქალაქო პირებში შიმშილობის, დაბომბვებისა და მოსახლეობის დაუნდობელი ჟლეტის გამო.

❶ სერ უინსტონ ჩერჩილი (1874-1965) ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი იყო, რომლის სიმამაცე და შთამაგონებელი გამოსვლები ბრიტანელებს გერმანელთა შეტევის მოგერიებაში დაეხმარა. 1953 წელს მან რაინდის ტიტული მიიღო.

უინსტონ ჩერჩილის ცნობილი გამონათქვამები

სავსებით მაკმაყოფილებს ყველაფერი, რაც საუკეთესოა.

ვერაფერს შემოგთავაზებთ სისხლის, დაძაბული მუშაობის, ცრემლებისა და ოფლის გარდა.

რუსეთი თავსატეხია საიდუმლოებით შებურვილი გამოცანის შუაგულში.

ალამეინამდე არ გაგვიმარჯვია, ალამეინის შემდეგ აღარ დავმარცხებულვართ.

სიცრუეს მთელი მსოფლიოს დასაჭერობად ნახევარი გზა უკვე გავლილი აქვს, ვიდრე მას ჭეშმარიტება დაეწევა.

ადამიანებს შორის კონფლიქტების ისტორიას არ ახსოვს სხვა ასეთი შემთხვევა, როდესაც ამდენი ადამიანის ბედი ასეთ მცირე რამეზე იყოს დამოკიდებული.

თუ ჯოჯოხეთის გავლით მიდიხართ, გააგრძელეთ გზა.

ეს არ არის დასასრული, არც დასასრულის დასაწყისი. მაგრამ, სავარაუდოდ, ის დასაწყისის დასასრულია.

სივი ომი

II მსოფლიო ომის შემდეგ აშშ და სსრკ მსოფლიოს ორი უძლიერესი სახელმწიფო გახდა. საბჭოთა კავშირის მმართველობის აზრით, დიქტატორული კომუნიზმი მსოფლიოს დასაპყრობად საუკეთესო გზა იყო, ხოლო აშშ-ს დემოკრატიისა და კაპიტალიზმის სწამდა. II მსოფლიო ომის დამთავრებიდან მცირე ხანში ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს დაუპირისპირდა. დანარჩენი ქვეყნები კამათში ერთ-ერთ მხარეს ემხრობოდნენ და მალე მსოფლიო ორ მოწინააღმდეგე შეიარაღებულ ბანაკად გაითიშა. ეს იყო ცივი ომის პერიოდი — კონფლიქტის, რომელიც არასოდეს გადაზრდილა ნამდვილ ომში. 1990 წელს ეკონომიკური პრობლემების გამო კომუნისტური ბლოკი დაიშალა და ცივი ომიც დასრულდა.

❍ იოსებ სტალინი (1879-1953) 1924 წელს ლენინის გარდაცვალების შემდეგ სსრკ-ის დიქტატორი მმართველი იყო სიკვდილამდე, 1953 წლამდე.

❍ სტალინმა ტერორი გამოიყენა ოპოზიციის თავიდან მოსაცილებლად და რევოლუციის მიღწევების შესანარჩუნებლად. რუსებს შიშის ზარს სცემდა საიდუმლო პოლიცია (შსსკ, შემდეგ — სუკ-ი), მილიონობით ადამიანი დაიღუპა გულაგის ბანაკებში.

❍ აშშ და სსრკ გამალებულ შეიარაღებაში ჩაებნენ, რომ ატომური ბომბი და საბრძოლო რაკეტები დაეშზადებინათ და ერთმანეთისთვის გაესწროთ.

❍ ნამდვილი ომის საფრთხე იყო 1962 წელს, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტმა კენედიმ კატეგორიულად მოსთხოვა სსრკ-ს კუბაზე არსებული ბაზიდან საბრძოლო რაკეტების გატანა და ბაზის დახურვა.

1989 წელს დაინგრა ბერლინის კედელი, რომელიც დასავლეთ და აღმოსავლეთ ბერლინს ყოფდა. სიმბოლურად ეს ცივი ომის დასრულებას ნიშნავდა. მომდევნო თვეებში ევროპის კომუნისტური მმართველობები დემოკრატიულით შეიცვალა.

კომუნიზმი

ცივი ომის პერიოდში დასავლეთში იყვნენ ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერდნენ კომუნიზმს. არგენტინელი კომუნისტი ერნესტო „ჩე“ გევარა კუბის რევოლუციაში მონაწილეობდა და სტუდენტებსა და რადიკალებს კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ აქეზებდა, მოუწოდებდა კომუნიზმისთვის მხარდაჭერას. იგი 1967 წელს პერუში მოწყობილი კომუნისტური ამბოხების დროს მოკლეს.

❍ ცივი ომის დროს ორივე მხარე იყენებდა პროპაგანდასა და ხელოვნებას, ასევე საიდუმლო სამსახურებს საიდუმლო აგენტებითა და მზვერავებით.

❍ ცივი ომი დაობა 1985 წელს სსრკ-ის სათავეში მიხაილ გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ. მან ქვეყანაში რეფორმების გატარება და დასავლეთთან თანამშრომლობა დაიწყო.

გასაოცარია

როდესაც საბჭოელებმა პოლონეთი დაიპყრეს, აპატიმრებდნენ ყველას ვისაც ტელეფონი ჰქონდა — მათი აზრით, ტელეფონი მხოლოდ კომუნისტური რეჟიმის მოწინააღმდეგე მდიდრებს ჰქონდათ.

❍ სსრკ-ში შემავალი რესპუბლიკები დამოუკიდებლობას ითხოვდნენ. 1991 წელს სსრკ დაიშალა, მის ნაცვლად ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა.

❍ გორბაჩოვის რეფორმებმა განარისხა კომუნისტური პარტიის ლიდერები. მათ გადატრიალება მოაწყვეს და გორბაჩოვი თავის აგარაკზე დაატყვევეს, მაგრამ გადატრიალება ჩაშალა ბორის ელცინმა. გორბაჩოვი მოსკოვში დაბრუნდა. ელცინი შემდეგ რუსეთის პირველი პრეზიდენტი გახდა.

მიხაილ გორბაჩოვი

1933 წელს დაბადებული გორბაჩოვი ახალგაზრდობიდანვე კომპარტიის სასარგებლოდ მოღვაწეობდა. 1985 წელს იგი ქვეყნის სათავეში აღმოჩნდა უზარმაზარი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების პირისპირ. მდგომარეობის გამოსწორება კომუნისტური ჩონჩხის შენარჩუნებით, მაგრამ რადიკალური რეფორმების გატარებით სცადა. ამ რეფორმებმა მხოლოდ დემოკრატიული ძალები გააძლიერა, რამაც საბოლოოდ, სსრკ დაანგრია.

❍ 2000 წელს რუსებმა პრეზიდენტად ვლადიმირ პუტინი, მკაცრი მმართველი აირჩიეს იმ იმედით, რომ ქვეყანას კრიზისის დაძლევაში დაეხმარებოდა.

❍ მაო ძე-დუნი (1893-1976) 1949 წელს ჩინეთში მოწყობილ კომუნისტურ გადატრიალებას ხელმძღვანელობდა, შემდეგ რესპუბლიკის სათავეში იყო. ჩინელი ხალხი იმედოვნებდა, რომ კომუნიზმის ეპოქაში სიღატაკეს და ჩაგვრას ბოლო მოეღებოდა. „ჩვენ ყველაფერს დავძლევთ“, — ამბობდა მაო. ჩინეთს კომუნისტური პარტია XXI საუკუნეშიც მართავს.

❍ ვიეტ კონგის პარტიამ სამხრეთ ვიეტნამში ავჯანყება წამოიწყო. მას მხარს უჭერდა ჩრდილოეთ ვიეტნამის კომუნისტური მთავრობა. 1965 წელს აშშ-ის არმიამ ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა დაიწყო, რომელსაც სსრკ და ჩინეთი იარაღს აწვდიდა. 1975 წელს ვიეტ კონგმა დაიპყრო საიგონი, სამხრეთის დედაქალაქი და ქვეყანა გააერთიანა.

❍ ფიდელ კასტრო კუბის პრემიერ-მინისტრი იყო 1959-1976 წლებში. მან ერთპარტიული მმართველობა ჩამოაყალიბა სრული ძალაუფლების შესანარჩუნებლად.

იმპერიების დასასრული

აფრიკის კოლონია	დამოუკიდებლობის მოპოვება
ალჟირი	1962
ანგოლა	1975
ბენინი (ყოფილი დაჰომეი)	1960
ბურკინა (ყოფილი ზემო ვოლტა)	1960
ბურუნდი	1962
კამერუნი	1961
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	1961
ჩადი	1960
ეთიოპია	1941
გაბონი	1968
გამბია	1965
გვინეა	1958
გვინეა ბისაუ	1974
სპილოს ძვლის ნაპირი	1960
კენია	1963
ლიბია	1951
მადაგასკარი	1960
მალი	1960
მავრიტანია	1960
მაროკო	1956
მოზამბიკი	1975
ნიგერი	1960
ნიგერია	1960
რუანდა	1962
სენეგალი	1960
სიერა-ლეონე	1961
სომალი	1960
სუდანი	1956
ტანზანია	1964
ტუნისი	1956
უგანდა	1962
ზაირი (ყოფილი კონგო)	1960
ზამბია	1964

❍ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩამოყალიბებისთვის მაოს ბრძანებით სოფლად მიწების ხელახალი გადანაწილება მოხდა და განადგურდა მემამულეთა კლასი.

ცვალებადი მსოფლიო

საბჭოთა კავშირის დაშლამ სათავე დაუდო სწრაფი ცვლილებების ეპოქას, რომელიც დღემდე გრძელდება. ბევრმა ქვეყანამ, რომელიც ადრე კომუნიზმს უჭერდა მხარს, საბჭოთა ფულისა და იარაღის გარეშე დარჩენილმა, უარი თქვა მემარცხენე-დიქტატორულ რეჟიმზე. ყველაზე რეპრესიულ მემარჯვენე მმართველობებსაც შეეხო ცვლილებები. თუმცა, ზოგიერთმა ქვეყანამ ამ ცვლილებებით ისარგებლა და მეტი სარგებლის მისაღებად მეზობელ ქვეყნებთან ომები გააჩაღა. ამგვარი ქმედების შედეგად მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ლოკალური ომები დაიწყო.

ევროკომისიის შტაბბინა სტრასბურგშია, ევროპარლამენტის — ბრიუსელში, ევროპის სასამართლოსი — ლუქსემბურგში.

❍ 1789 წელს საფრანგეთი გაკოტრების პირას იყო, ამიტომ მეფე ლუი XVI-მ 175-წლიანი პაუზის შემდეგ გენერალური შტატები (პარლამენტი) მოიწვია.

❍ 1970-1980-იან წლებში სამხრეთ აფრიკაში იზრდებოდა უკმაყოფილება აპარტეიდის (რასობრივი დიფერენციაცია) რეჟიმის გამო. აპარტეიდის მიზანი იყო ერთ ქვეყანაში სხვადასხვა ხალხისთვის მათი კულტურის განვითარებისა და განცალკევებული ეკონომიკური არსებობის შესაძლებლობა მიეცა. მაგრამ პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს რასისტული სისტემა იყო, რომელიც შავკანიანებს ჩაგრავდა.

❍ 1980-1990-იან წლებში ეკონომიკურმა დაღმასვლამ ხელისუფლებას ჩამოაშორა ლათინური ამერიკის დიქტატორები, მათ შორის — გენერლები გალტიერი არგენტინაში (1983) და პინოჩეტი ჩილეში (1990). ისინი დემოკრატიული გზით არჩეულმა პრეზიდენტებმა შეცვალეს.

❍ 1990 წლის 2 აგვისტოს ერაყის ჯარები მოულოდნელად ქუვეითში შეიჭრნენ. ასე დაიწყო სპარსეთის ყურის ომი. აშშ, ნატოსა და არაბული ქვეყნების ნაწილი გაერთიანდა ქუვეითის დასაცავად სადამ ჰუსეინისა და მისი რეჟიმისაგან.

❍ 1990 წელს ნასა-მ კოსმოსში გაუშვა ჰაბლის კოსმოსური ტელესკოპი. იგი დედამიწას 600 კმ სიმაღლეზე გარემოექცევა. ასტრონომები ტელესკოპის დახმარებით ციური სხეულების გამოსახულებებს იღებენ და აკვირდებიან მოვლენებს, რომელთა თვალის მიდევნება მანამდე შეუძლებელი იყო.

❍ 1997 წლის 1-ელ ივლისს ბრიტანეთმა 50-წლიანი მმართველობის შემდეგ ჰონგკონგი ჩინეთს დაუბრუნა. შეიქმნა ჩინეთის მთავრობის პირდაპირ კონტროლს დაქვემდებარებული სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი. ტუნ ჩე-ჰუა ჰონკონგის ახალ ლიდერად ითვლება.

ნელსონ მანდელა

ნელსონ მანდელა 26 წელი ციხეში იყო, რადგან აპარტეიდის წინააღმდეგ გამოდიოდა. აპარტეიდი სამხრეთ აფრიკაში არსებულ სოციალურ სისტემას წარმოადგენდა, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავდა თეთრკანიანებსა და შავკანიანებს. მანდელა 1964 წელს დააპატიმრეს, როგორც აფრიკის ეროვნული კონგრესის ერთ-ერთი მთავარი წევრი. 1990 წელს სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტმა ფრედერიკ ლე კლერკმა მანდელა გაათავისუფლა. 1994 წელს მანდელა სამხრეთ აფრიკის პირველი შავკანიანი პრეზიდენტი გახდა. ქვეყანაში აპარტეიდი ნელ-ნელა ქრება.

გასაოცარია

1999 წელს მთელი მსოფლიო პანიკამ მოიცვა „ათასწლეულის ვირუსის“ გამო, რომელსაც თითქოს მწყობრიდან უნდა გამოეყვანა ყველა კომპიუტერი 1999 წლის 31 დეკემბრის შუაღამეს. სინამდვილეში, არაფერი მომხდარა.

1945 წლის აპრილში 50-მა სახელმწიფომ სან-ფრანცისკოში ხელი მოაწერა გაეროს ქარტიას. მალე ქარტიას პოლონეთი შეუერთდა და გაეროს 51-ე წევრი გახდა. წინა წლებში გაეროს სამშვიდობო ძალები მსოფლიოს მრავალ კუთხეში მიმდინარე კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგებაში ჩაერია. ასე იყო სომალიში, რუანდაში, კოსოვოში, ბოსნიაში, სიერა-ლეონესა და აღმოსავლეთ ტიმორში.

❍ 2001 წლის 11 სექტემბერს მუსლიმმა თვითმკვლელმა ტერორისტებმა „ალ-ქაიდას“ ტერორისტული ორგანიზაციიდან, რომელსაც უსამა ბინ-ლადენი ხელმძღვანელობდა, თვითმფრინავები გაიტაცეს და ნიუ-იორკში მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაციის კოშკებსა და ვაშინგტონში პენტაგონის შენობას შეაჯახეს. ამ მოვლენამ სათავე დაუდო პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ გამოცხადებულ ტერორიზმთან ბრძოლის ფართომასშტაბიან კამპანიას.

❍ 2002 წელს აშშ-მა დაბომბა „ალ-ქაიდასა“ და ისლამური მთავრობის სამხედრო ბაზები ავღანეთში. ამერიკელთა მხარდაჭერით აჯანყებულებმა ქვეყანაზე კონტროლი დაამყარეს და დახურეს ტერორისტთა ყველა ბაზა. უსამა ბინ-ლადენი დღეს ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მისი ორგანიზაცია განაგრძობს ტერორისტულ აქტებს.

❍ 2003 წლის 4 აპრილს ამერიკის ჯარები და ტანკები ერაყის დედაქალაქ ბაღდადში შევიდა და აეროპორტი დაიკავა. ათასობით ერაყელი ქალაქიდან გაიქცა. მომდევნო დღეს ამერიკელთა და ქურთების ძალები ქალაქ მოსულში შევიდა.

❍ 2004 წლის 4 იანვარს აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს, ნასას მიერ გაშვებული ექსპორბლიანი ყველგანმავალი მარსის ზედაპირზე დაეშვა.

❍ 2004 წლის 27 ივნისს ერაყში ამერიკის ადმინისტრაციამ მოქმედება შეწყვიტა და ქვეყნის მართვის სადავეები ადგილობრივ მთავრობას გადასცა.

ევროკავშირი

ევროკავშირს ევროპის 27 სახელმწიფო შეადგენს. მას ოთხი მმართველი ორგანო აქვს: ევროკომისია, მინისტრთა საბჭო, ევროპული სასამართლო და პარლამენტი. 17 საგანგებო რწმუნებული საბჭოს ეფექტურად აღსრულებისთვის კანონებს გადასცემს. პარლამენტი ყოველწლიურად სულ უფრო მეტად ძლიერდება. 1999 წელს ევროკავშირში მიმოქცევაშია ევრო, ერთიანი ფულადი ერთეული. 2004 წელს ევროკავშირის ლიდერებმა შეიმუშავეს კონსტიტუციის პროექტი, რომლის მიხედვით ევროკავშირი უნდა გახდეს ორგანიზაცია, სადაც დამოუკიდებელი სახელმწიფოები თანაბარი უფლებების მქონე შტატებად იქცევა. პროექტს მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, რომლებსაც ურჩევნიათ მათმა ქვეყნებმა დამოუკიდებლობა შეინარჩუნონ.

ქრონოლოგია

ძვ. წ. 1 500 000 აფრიკაში მობინადრე Homo Erectus პირველი სახეობაა, რომელმაც ცეცხლი გამოიყენა.

ძვ. წ. 9000 თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ადამიანებმა პირველად დათესეს ხორბალი და ქერი.

ძვ. წ. 500-350 საბერძნეთის იმპერიის ძლიერების პერიოდი.

1438 პერუში ინკებმა იმპერიას ჩაუყარეს საფუძველი.

1250 მონღოლებმა რუსეთის სამხრეთი დაიპყრეს.

1700-იანი წწ. აგრარული რევოლუცია ინგლისში.



1770 კაპიტანმა კუკმა აღმოაჩინა ავსტრალია.

ძვ. წ. 3000 ინგლისში აიგო სტოუნჰენჯი.

ძვ. წ. 2600 ეგვიპტეში ააშენეს გიზის პირამიდები.

500 თანამედროვე მექსიკაში მდებარე ტეოტიუაკანი ძველი მსოფლიოს უდიდესი ქალაქია.

790 ვიკინგებმა ევროპის სანაპიროებზე თავდასხმები დაიწყეს.

1492 კოლუმბმა აღმოაჩინა კარიბის ზღვაში ვესტ-ინდოეთის კუნძულები.

1519-1534 ესპანელმა კონკისტადორებმა დაიპყრეს მექსიკის ტერიტორიაზე მცხოვრები აცტეკები.

1805 ესპანეთის ნაპირებთან, ტრაფალგარის ბრძოლაში, ადმირალმა ნელსონმა დაამარცხა ნაპოლეონი.

1854-1869 ეგვიპტეში სუეცის არხი აშენდა.

ქრონოლოგია

ძვ. წ. 1200 თანამედროვე სირიისა და ლიბანის ტერიტორიაზე მცხოვრები ფინიკიელები დახელოვნებულ მეზღვაურებად და ვაჭრებად ჩამოყალიბდნენ.

ძვ. წ. 509 რომი რესპუბლიკა ხდება.

1096 დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობები წმინდა მიწის მუსლიმთაგან გასათავისუფლებლად.

1215 ინგლისში მეფემ ხელი მოაწერა თავისუფლების დიდ ქარტიას.

1630-იანი წწ. იტალიელი გალილეი ირწმუნება, რომ დედამიწა გარემოექცევა მზეს.

1914-1918 I მსოფლიო ომი
1939-1945 II მსოფლიო ომი



1990 ნასა-მ კოსმოსის გამოსაკვლევად გაუშვა ჰაბლის ტელესკოპი.

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

არსენალი

ყოველთვიური ჟურნალი!

იკითხეთ პრესის გამავრცელებლებთან!

ELVA.GE პრესა და წიგნები ადგილზე მიწოდებით, ფასნამატის გარეშე ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge



წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:
1. იანკი; 2. კონკისტადორები; 3. ვანო; 4. ონნა; 5. კლანი; 6. ცა; 7. ლიმიტირება; 8. შაორი; 9. ლირიკოსი; 10. იარისი; 11. მერხი; 12. არსი; 13. მაკარ; 14. ამაო; 15. მისია; 16. კოდი; 17. მატე; 18. ტამიში; 19. სვირი; 20. მავრი; 21. ალიბი; 22. ველი; 23. ბი; 24. შუბლი; 25. ილია. სწორპასუხი: დედა ტერეზა.